პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

8 დეკემბერი **სამშაბათი** 2009

№289 (12968) ფასი 60 თეთრი



## შავი ზღვის თასი თბილისში

>> გვერდი 13

## ინგლისი, შვედეთი და პოლონეთი საქართველოში

UEFA UNDER17 CHAMPIONSHIP

UEFA UNDER19 CHAMPIONSHIP

წილისყრა >> გვერდი 5

### ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპის გადამწყვეტი დღე

# იუვენტუსი თუ ბაიერნი?

>> გვერდი 6



განგაში იუვეს ზურგში: კიელინი არ იქნება. ბუფონიც?

UEFA CHAMPIONS LEAGUE



## ახალი სანაკრებო სტრატეგია

ძიუდო. ინტერვიუ ამირან ტოტიკაშვილთან

>> გვერდი 11

MS კომფორტული
დინამიური
MS ხელმისაწვდომი
MS
MS
MS ძვირფასი
MS უნიკალური
საპარმებელი
MS ლამაზი
კლმოვკჩინე...

# ოლიმპი ზამთრის ოლიმპზე

...ცამეტდღიან ინტერვალში გუნდი სამივე პრინციპულ მეტოქეს (ანუ, უშუალო კონკურენტს) რომ დაამარცხებს, ესე იგი, მართლაც, ღირსი ყოფილა ერთპიროვნული ლიდერობისა! რუსთავის „ოლიმპზე“ ვლაპარაკობთ, პირველი ეტაპის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე „ზამთრის ჩემპიონის“ არაოფიციალურ ტიტულს რომ დაეუფლა; თან, სრულიად დამსახურებულად: ჩემპიონატში ყველაზე მეტი მოგება აქვს, ყველაზე ნაკლები წაგება, ყველაზე მეტი გოლი გატანილი და ყველაზე ნაკლები („დინამოს“ მსგავსად) გაშვებული; ამასთან, „ოლიმპმა“ უახლოესი მდევარი უკვე შვიდი ქულით ჩამოიტოვა და, ცოტა არ იყოს, ძნელადაც წარმოგვიდგენია, რომ ჩემპიონობისთვის მებრძოლმა გუნდმა ამხელა უპირატესობა გაფლანგოს. საერთოდაც, - სხვა განსაკუთრებული არაფერი რომ არ მომხდარიყო, უკანასკნელი ტური მხოლოდ „ზამთრის ჩემპიონის“ გამოვლენითაც იქნებოდა აღსანიშნავ-დასამახსოვრებელი; სხვა, მეტ-ნაკლები მნიშვნელობის მოვლენის მომსწრენიც გავხდით: ზოგმა საკუთარი შედეგი გააუმჯობესა, ზოგმა საკუთარი „თავი შეგვახსენა“, ორ მწვრთნელს დებიუტი ჰქონდა და ასე შემდეგ. თუმცა, ტურის მთავარი მოვლენა, რაღა თქმა უნდა, ჩემპიონატის ორი ლიდერის და ორი ფავორიტის შეხვედრა იყო; ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ჩვენი მიმოხილვაც ამ მატჩით უნდა დავიწყოთ; თუმცა, მანამდე ის რამდენიმე ფაქტორიც გვინდა ვახსენოთ ტურის (და საერთოდ - მეორე წრის) ამ ცენტრალურ დაპირისპირებას დამატებით ინტრიგას რომ მატებდა...

## შეხვედრა წარსულთან

...ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ფეხბურთელები ყოველთვის განსაკუთრებულად მოტივირებულნი ასპარეზობენ; აბა, რა მიხვედრა სჭირდებოდა, რომ „ოლიმპის“ ორი ფეხბურთელი, - **გრიგოლ ჭანტურია** და **სევასტი თოდუა** „ზესტაფონის“ წინააღმდეგ მაქსიმალურად შეეცდებოდნენ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას. მით უფრო, რომ ორივე ეს გამოცდილი ფეხბურთელი „ზესტაფონიდან“ საკუთარი სურვილით ნამდვილად არ წამოსულა...

ასევე ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ასპარეზობდნენ სტუმართა ფეხბურთელებიც: **გიორგი ონიანი, თორნიკე აფციაური** და **ჯაბა დვალი**. ოღონდ, ამ სამეულმა „ოლიმპი“ სხვადასხვა დროს დატოვა და იმავე ჭანტურიასა თუ თოდუასგან განსხვავებით, მათი წამოსვლა სკანდალური არ ყოფილა...

ისე როგორც ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრის წინ, ახლაც საინტერესო იყო... მამა-შვილის დაპირისპირება: **ოთარ კორღალიძე** „ოლიმპის“ სპორტული დირექტორია, მისი ვაჟი - **ლევანი** კი „ზესტაფონში“ თამაშობს; თუმცა, მთავარი ინტრიგა მაინც **თემურ მახარაძის** ფაქტორი იყო: ამ გამოცდილი მწვრთნელისათვის „ზესტაფონი“ მხოლოდ კონკურენტი თუ მოწინააღმდეგე გუნდი ნამდვილად ვერ იქნებოდა! შორს წაგვიყვანს იმის მტკიცება, თუ რამდენად ნაყოფიერად იმუშავა მახარაძემ „ზესტაფონში“, სადაც მთავარი მწვრთნელის რანგში უკანასკნელი შეხვედრა ერთი წლის წინ (2008 წლის 30 ნოემბერს) ჩაატარა...

...მახარაძე-მწვრთნელი დიდხანს იყო დაუსაქმებელი, ვიდრე ამ სეზონის დაწყებამდე ბოლნისის „სიონში“ არ მიიწვევდნენ; ჰოდა, კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ მახარაძის ფეხბურთში დაბრუნება ორი კაცის დამსახურებაა: ჩვენ მიერ უკვე ნახსენები ოთარ კორღალიძისა და ქვემო ქართლის გუბერნატორ **დავით კირკიტაძის**.

...ვიდრე „ოლიმპში“ გადმოვიდოდა, მახარაძე ერთხელ უკვე დაუპირისპირდა „ზესტაფონს“, როცა „სიონმა“ საშინაო მატჩში ფრედ დაასრულა შეხვედრა ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტთან. და აი, მეორე წრის გადამწყვეტ შეხვედრაში, ოღონდ უკვე სხვა გუნდის თავკაცის რანგში შეძლო ყოფილი გუნდის დამარცხება და ფეხბურთელებთან ერთად, მისი დიდი დამსახურებაც არის, „ოლიმპმა“ რომ „ზამთრის ჩემპიონის“ არაოფიციალური ტიტული მოიპოვა!

აქვე, მცირე სტატისტიკური მონაცემებიც გვინდა შემოგთავაზოთ: თემურ მახარაძის ხელმძღვანელობით „ოლიმპმა“ ზედიზედ მეექვსე მატჩი მოიგო და ბურთების სხვაობაც შთამბეჭდავზე მეტია (19:1); თან, ამ ექვსი შეხვედრიდან „ოლიმპმა“ სამი მატჩი უშუალო კონკურენტებს („ვიტ ჯორჯიას“, „დინამოს“, „ზესტაფონს“) მოუგო და ამით, ალბათ, ყველაფერი ნათქვამია...

## ლოგიკა და ტაქტიკა

როგორც წესი, ასეთი შინაარსის მატჩებში სანახაობრივი მხარე უკანა პლანზე გადადის ხოლმე; თუმცა, ამას „შეგუებულნიც“ ვიყავით - ორივე გუნდისთვის უმთავრესი ხომ სასურველი შედეგის მიღწევა იყო. ისიც ვაღიაროთ, რომ მასპინძლებისთვის (რუსთავიდან ორგანიზებულად ჩამოყვანილი ქომაგების მხარდაჭერა გარანტირებული რომ ჰქონდათ) ფრეც მისაღები შედეგი უნდა ყოფილიყო; მატჩის პირველმა ტაიმმაც სწორედ ისე ჩაიარა, ბევრნი რომ ვვარაუდობდით: „ოლიმპმა“ მეტოქეს, თითქოსდა შეგნებულად დაუთმო სათამაშო უპირატესობა. ალბათ, ამის გამოც იყო, რომ შეხვედრის პირველ 45 წუთში სტუმრები შედარებით უკეთ და, რაც მთავარია, აქტიურად გამოიყურებოდნენ. **გია გეგუჩაძის** გუნდმა პირველ ტაიმში „ოლიმპის“ კართან სამი სახიფათო მომენტი შექმნა, საიდანაც ორ შემთხვევაში გრიგოლ ჭანტურიამ ჩინებულად ითამაშა, ერთხელ კი **ნიკა გელაშვილს** მიზანმა მცირედით უმტყუნა.

„ოლიმპი“ კი შეტევებზე არც ფიქრობდა და **დავით იმედაშვილის** ორ დარტყმას თუ არ ჩავთვლით, **ზურაბ მამალაძე** არც შეუწუხებია. ისე, იმედაშვილზე ცალკე უნდა ითქვას: მახარაძის მოსვლის შემდეგ ეს უნივერსალი ფეხბურთელი ჩინებულად ათამაშდა და ნახევარდაცვის ფლანგებზე იქნება თუ მოედნის ცენტრში, ყველგან სასარგებლოდ ირჯება. პირველი ტაიმის მიწურულს კი „ზესტაფონი“ უმცირესობაში დარჩა - **შოთა გრიგალაშვილს** საფეხბურთო ოსტატობა არ დაეწუნება, მაგრამ, ალბათ, დროა, ნერვების მოთოკვა ისწავლოს; აბა, 20 წუთის განმავლობაში ორ ყვითელ ბარათს რომ მიიღებ (თან, ასეთ მატჩში) სხვა რა უნდა ვთქვათ? თუმცა ეს არ ყოფილა ამ მატჩში ერთადერთი გაძევება - მეორე ტაიმში ასევე მეორე ყვითელი ბარათისათვის არბიტრმა **ლევან კვარაცხელიამ** (ვისაც ზედიზედ მეორედ მოუწია „ოლიმპის“ მატჩების მსაჯობამ) ამჯერად „ოლიმპის“ ახალგაზრდა ფეხბურთელი **გიორგი რეხვიაშვილი** გააძევა. სხვისი რა მოგახსენოთ და, ჩვენი აზრით, ორივე შემთხვევაში კვარაცხელიამ აბსოლუტურად მართებული გადაწყვეტილება მიიღო.

აი, რაც შეეხება მატჩის გადამწყვეტ მომენტს (სტუმართა კარში დანიშნულ პენალტს ვგულისხმობთ), ამაზე თავს ვერ დავდებთ; ყოველ შემთხვევაში, ტელეეკრანზე თუ ნათლად არ ჩანდა წესების დარღვევა, სტადიონზე მყოფი უმრავლესობა საპირისპირო აზრის იყო. ასეთი შინაარსის მატჩებში კი ერთი გოლი ძალიან ბევრს ნიშნავს, ჰოდა, **აკინოს** მიერ ზუსტად შესრულებული პენალტი მართლაც გადამწყვეტი აღმოჩნდა. შესაძლოა, ვინმემ თქვას, რომ „ოლიმპის“ გამთამაშებელი ამ მატჩში შთამბეჭდავად ვერ გამოიყურებოდა; თუმცა, ვერ დავეთანხმებით: აკინომ, გადამწყვეტი გოლის გარდა, ორი ზღაპრული პასიც გააკეთა, მაგრამ **შოთა ბაბუნაშვილსა** და **გიორგი ჭედიას** სულ ცოტა დააკლდათ გოლის გატანამდე; ერთ ეპიზოდში თვითონ აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაზე, მაგრამ ბოლნისის სტადიონის მოედნის საფარმა „თავის სიტყვა“ თქვა - ბრაზილიელმა ბურთი ვერ დაიმორჩილა...

ჰო, მეორე ტაიმში „ოლიმპი“ აშკარად უკეთ თამაშობდა და ამაში მეტოქის გადაღლილობამაც დიდი როლი შეასრულა; „ზესტაფონს“ ხომ ამ მატჩამდე სამი დღით ადრე მომქანცველი სათასო შეხვედრა ჰქონდა „ვიტ ჯორჯიასთან“, მაშინ, როცა რუსთაველი გუნდის ერთი კვირის განმავლობაში ემზადებოდა პრინციპული მატჩისათვის. ჰოდა, სწორედ მეორე ტაიმში გამოჩნდა თემურ მახარაძის ტაქტიკური ჩანაფიქრის მართებულობა; თუმცა, იმასაც ვერავინ იტყვის, რომ სტუმრები მარცხს შეეგუვნენ - მატჩის მიწურულს რამდენიმეწამიან ინტერვალში „ოლიმპის“ კარში, გოლი მართლაც, სასწაულებრივად არ გავიდა! ლევან კორღალიძისა და **ჯაბა დვალის** აქტიურობის შემდეგ ბურთი მასპინძელთა კარის ძელს მოხვდა, დამატებაზე ყველას **თორნიკე აფციაურმა** დაასწრო, მაგრამ ბურთი ამჯერად უკვე ხარიხას მოხვდა! აი, ასე დასრულდა მეტად საინტერესო და დაძაბული შეხვედრა, საბოლოოდ, მაინც ლოგიკური ანგარიშით რომ დასრულდა; ამ გამარჯვებით კი „ოლიმპმა“ საჩემპიონო გზაზე მეტად და მეტად „დიდი ნაბიჯი“ გადადგა...



ოლიმპი-ზესტაფონი 1:0

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## ორი დებიუტი და ძველი სახეები

განვლილ ტურში ორი სამწვრთნელო დებიუტი შედგა: **კახა კარანაძემ** („გაგრა“) და **გელა გომელაურმა** („ვიტ ჯორჯია“) თავიანთ გუნდებს პირველად უხელმძღვანელეს. ოღონდ, ორი სპეციალისტის სადებიუტო შეხვედრა სხვადასხვა შედეგით დასრულდა: „გაგრამ“ კვლავ ვერ შეძლო გამარჯვება და ისევ სახიფათო ზონაში დარჩა; აი, „ვიტ ჯორჯიამ“ კი სამი დღით ადრე სათასო წარმატებას ჩემპიონატში მოგებაც დაუმატა. თან, ახალგაზრდა მწვრთნელის, გელა გომელაურის სადებიუტო შეხვედრას იოლი ნამდვილად არ ეთქმოდა, მაგრამ „ვიტ ჯორჯიამ“ შეძლო და **ვახტანგ კვარაცხელიას** ერთადერთი გოლის წყალობით ზუგდიდიდან სამი ქულა წამოიღო. ამ წარმატებით კი მოქმედი ჩემპიონი მეორე ადგილზე მყოფ „ზესტაფონს“ მიუახლოვდა და ახლა მხოლოდ სამი ქულითღა ჩამორჩება. თავის მხრივ, „ვიტ ჯორჯიას“ ამდენითვე ჩამორჩება თბილისის „დინამოც“, ლამის ორთვიანი პაუზის შემდეგ რომ შეძლო დიდი ანგარიშით გამარჯვება.

ეგ კი არა, **კახა კაჭარავას** გუნდი (ამჯერადაც ექსპერიმენტულ-გადახალისებული შემადგენლობით რომ ასპარეზობდა) ბევრად შთამბეჭდავი სხვაობითაც მოიგებდა, რომ არა „ლოკომოტივის“ მეკარე **მაქსიმე ქვილითაიას** თავგანწირული თამაში. ჰო, ესეც ხდება ხოლმე, როცა გუნდი სამბურთიანი სხვაობით მარცხდება და საუკეთესო... მეკარეა! ქვილითაიამ საკუთარი კარი არაერთხელ იხსნა, მაგრამ **ჯორჯ აკირემის, გურამ კაშიასა** და **გიორგი მერებაშვილის** დარტყმებთან უძლური აღმოჩნდა. ისე, აკირემიმ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ გაიხსენა „გოლის გემო“, რასაც ვერ ვიტყვით „დინამოს“ ცენტრალურ მცველსა და ახალ კაპიტანზე გურამ კაშიაზე, ვინც ამ ბოლო დროს შესაშური შედეგიანობით გამოირჩევა. ცალკე გვინდა ვთქვათ გიორგი მერებაშვილზე -მას ჩემპიონატში ზედიზედ მეორე მატჩში გააქვს გოლი და გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, ამპლუის შეცვლაც ხშირად უხდება. ამას გარდა, „დინამოს“ ქომაგებს უთუოდ გაახარებდათ ის ფაქტიც, რომ ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ მოედანზე გამოჩნდნენ გუნდისთვის ასე საჭირო ფეხბურთელები - **მათე ვაწაძე** და **ნიკა ფირცხალავა**.

...აკირემი და მისი ხანგრძლივი უგოლო სერია ვახსენეთ და ამ ტურში კიდევ ერთმა ფეხბურთელმა „შეგვახსენა“ თავი; **რევაზ გოცირიძეს** ვგულისხმობთ, მან ასევე დიდი ხნის შესვენების შემდეგ გამოიჩინა თავი და მისი „დუბლით“ „სპარტაკმა“ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. არადა, თასზე უმძიმესი მატჩის შემდეგ ბევრი არ ვარაუდობდა „სპარტაკის“ გამარჯვებას, მაგრამ ამ გუნდის მთავარი მწვრთნელისთვის **ვლადიმერ ხაჩიძისთვისაც** „გაგრასთან“ მატჩს სატურნიროს გარდა, სხვა დატვირთვაც ჰქონდა; ჯერ ერთი, ამ შემთხვევაშიც ინტრიგა იყო - „სპარტაკში“ მისვლამდე ვლადიმერ ხაჩიძე ხომ „გაგრაში“ მუშაობდა; ამას გარდა, ჩემპიონატში „სპარტაკს“ ხანგრძლივი მოუგებელი სერია ჰქონდა და აი, 26 სექტემბრის შემდეგ, როგორც იქნა, გუნდმა გამარჯვება მოიპოვა. ამ წარმატებით კი „სპარტაკმა“ სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილი დაიკავა და ერთი ქულით ჩამოიტოვა „სამტრედია“.

დაბოლოს, „სიონიც“ უნდა ვახსენოთ: **გიორგი ყიფშიძის** გუნდმა, ეტყობა კრიზისი დაძლია და ზედიზედ ოთხი მარცხის შემდეგ ორი შეხვედრა ფრედ დაამთავრა. არადა, ბოლნისური გუნდი, შემადგენლობიდან გამომდინარე, სატურნირო ცხრილში უფრო მაღალ ადგილს იმსახურებს...

**გია ტუხაშვილი**

### XVII ტურის სიმბოლური ნაკრები




მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში გადაბეჭდვა და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ტურის მწვრთნელი

# თემურ მახარაძე
# აქამდე სულ ხანძარს ვაქრობდი...
## მახარაძემ დაცვითი ტაქტიკა შეგნებულად აირჩია



თემურ მახარაძე საქართველოს ჩემპიონატში გამორჩეული მწვრთნელი რომ არის, ეს ბევრჯერ დაამტკიცა, თუნდაც მიმდინარე სეზონში: უფულო და უხელფასო ბოლნისის „სიონით" რამდენიმე სენსაცია მოახდინა და სწორედ ამის შემდეგ ჩააბარეს რეგიონის მთავარი გუნდი - რუსთავის „ოლიმპი".

აქედან მოყოლებული, რუსთაველები მახარაძისეულ პრაგმატულ და შედეგზე ორიენტირებულ ფეხბურთს თამაშობენ. ზედიზედ ექვსი ტურია, „ოლიმპს" არ წაუგია, რაც მთავარია, უშუალო კონკურენტები - „ვიტ ჯორჯია" და „ზესტაფონი" მიჯრით დაამარცხა, უშუალო მდევარს 7 ქულით გაუსწრო და ზამთრის ჩემპიონობაც დაიბევა. პირველი ეტაპის დასრულებამდე დარჩენილია ერთი ტური, რამაც ხსენებული სხვაობა შეიძლება შეამციროს ან გაზარდოს, თუმცა საერთო სურათი უცვლელი დარჩება...

**- ბატონო თემურ, დავიწყოთ „ზესტაფონთან" დაყენებული საკმაოდ უცნაური შემადგენლობით - მარჯვენა ნახევარმცველი ჯერონიმო მარჯვენა მცველად დააყენეთ, შოთა ბაბუნაშვილი კი თავიდან მის პოზიციაზე, ხოლო გიორგი რეხვიაშვილი ნახევარდაცვის მარცხენა ფრთაზე გაამწესეთ. ეს მეტოქისთვის წინასწარ მომზადებული სიურპრიზი იყო?**

- დავიწყოთ იმით, რომ ყველა ეს გადაადგილება იძულებითი ნაბიჯი იყო. მოგეხსენებათ, ვალერი აბრამიძემ წინა ტურში მესამე ყვითელი ბარათი მიიღო და დაცვის ცენტრში სევასტი თოდუას შემოყვანა მოგვიხდა. აქვე შემიძლია გითხრათ, რომ თოდუამ ამ დავალებას მშვენივრად გაართვა თავი - ძალიან მაღალ დონეზე ითამაშა. რაკი ის ცენტრში დავაყენეთ, იძულებულნი გავხდით, ჯერონიმო უკან, მარჯვენა მცველის ადგილზე გადაგვეყვანა. ბაბუნაშვილს კი თამაშის დროს ფეხი ასტკივდა, ამიტომ, მას და რეხვიაშვილს პოზიციები შევუცვალეთ.

**- „ზესტაფონთან" პირველ ტაიმში „ოლიმპმა" ფაქტობრივად „კატენაჩო" ითამაშა - ლიდერის ასეთი ფრთხილი თამაშის მიზეზი გასაგებია, მაგრამ საინტერესოა - რატომ გეგონათ, რომ „ზესტაფონს" მეორე ტაიმში გაუჭირდებოდა?**

- დაცვითი ფეხბურთი იმიტომ ვითამაშეთ, რომ დარწმუნებული ვიყავით - „ზესტაფონს" მეორე ტაიმში გაუჭირდებოდა, პირველ ნახევარში კი მთელი ძალით შემოგვიტევდა. ვაფრთხილებდი ფეხბურთელებს, მეტოქე ძალიან კარგი გუნდია და განსაკუთრებული ყურადღებით სწორედ ამ პერიოდში უნდა ვითამაშოთ-მეთქი. მთლიანობაში, ბიჭებმა ამ დავალებას თავი გაართვეს.

**- ალბათ, გულისხმობთ იმას, რომ „ზესტაფონმა" წინა სამშაბათს სათასო შეხვედრა გამართა და გადაღლილი იქნებოდა...**

- რა თქმა უნდა, სწორედ ამას ვგულისხმობდი. „ზესტაფონმა" „ვიტ ჯორჯიასთან" ურთულესი სათასო მატჩი გადაიტანა, თავისი დამატებითი დროით, შესაბამისად, უდიდესი ენერგია დახარჯა. თანაც, 3:0 გამარჯვების შემდეგ მოულოდნელი მარცხი იწვნიეს და თასიდან გავარდნენ. რასაც ვვარაუდობდი, რომ მეტოქეს მეორე ტაიმში ძალები არ ეყოფოდა, მართლაც ასე მოხდა, ეს პერიოდი ჩვენი უპირატესობით წარიმართა.

**- სწორედ ამ გათვლით, პირველ ნახევარში ტერიტორიული უპირატესობა შეგნებულად დათმეთ?**

- დიახ, მეტოქეს ტერიტორიული უპირატესობა დავუთმეთ. „ზესტაფონი" ბურთს ისედაც კარგად აგორებს და სივრცეები მივეცით, სამაგიეროდ, უკანა ხაზი საიმედოდ გადავუკეტეთ, ბურთი რომ არ გაგვეშვა.

**- რაც „ოლიმპის" მწვრთნელი ხართ, ზედიზედ 6 მატჩია, გუნდს არ წაუგია. „ოლიმპი" მანამდეც არ გამოიყურებოდა ურიგოდ, მაგრამ ყველა მწვრთნელი თავის სიახლესა და სტილს ნერგავს. თქვენ რა შეცვალეთ?**

- საერთოდ, აქამდე რომელ კლუბშიც მივდიოდი, თითქმის ყველგან „ხანძარი" მხვდებოდა და, ფაქტობრივად, თავიდან მიწევდა გუნდის მშენებლობა. რუსთავის „ოლიმპი" იშვიათი და ბედნიერი გამონაკლისი აღმოჩნდა - გუნდი ლიდერებში იყო, რისთვისაც ოთარ კორღალიძეს მადლობა უნდა გადავუხადო. მხოლოდ ერთი ფაქტორს აღვნიშნავ - გუნდი ჩემპიონობისთვის იბრძოდა და შინაგანი დაძაბულობა იგრძნობოდა, ფეხბურთელები დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდნენ და ნერვიულობდნენ. ეს არც გამკვირვებია. როცა კლუბი ამბიციურია, თითოეული ქულის დაკარგვაც მტკივნეულად აღიქმება, ყველა შეხვედრა გადამწყვეტია. ჩვენი - ხელმძღვანელობისა და ფეხბურთელების ერთობლივი მონდომებით ეს პრობლემაც მოიხსნა და ბიჭები უფრო თავისუფლად ათამაშდნენ.

**- ბევრჯერ გითქვამთ, სეზონის მსვლელობისას ნებისმიერ გუნდში მწვრთნელად მისვლა გილიოტინაზე თავის დადებას ნიშნავსო. თუმცა წელს ორი ასეთი გუნდი ჩაიბარეთ - ბოლნისის „სიონი" და რუსთავის „ოლიმპი".**

- მწვრთნელისთვის ყველაზე დიდი უბედურება უმუშევრობა და სახლში ჯდომაა. მადლიერი ვარ ოთარ კორღალიძის, რომელმაც თავის დროზე „სიონში" გამიწია რეკომენდაცია, შემდეგ კი „ოლიმპში". მერწმუნეთ, ასე ბევრი ვერ და არ მოიქცეოდა. რა თქმა უნდა, იყო სპორტული ჟინიც, სოლიდურ კლუბში მუშაობისა და სამწვრთნელო სარბიელზე დაბრუნების სურვილიც. ბოლოს და ბოლოს, ეს ჩემი საყვარელი საქმეა.

**- „ოლიმპში" მისვლის შემდეგ ერთი მნიშვნელოვანი გადაადგილება მოახდინეთ - დავით იმედაშვილი დაცვიდან ნახევარდაცვაში გადაიყვანეთ. აშკარაა, რომ ის ამ პოზიციაზე უფრო ნაყოფიერად ეხმარება გუნდს. დღეს რით ახსნით ამ ნაბიჯს?**

- იმედაშვილი დღეს არ გამიცნია. მას ჯერ კიდევ „ვიტ ჯორჯიაში" თამაშის დროს ვაკვირდებოდი და ძალიანაც მომწონდა. ის დაცვაშიც სასარგებლო იყო, მაგრამ მივიჩნიე, რომ მოედნის ცენტრშიც გამოგვადგებოდა და კარგია, რომ ჩვენი მოლოდინი გამართლდა.

**- პირველი წრე მალე დამთავრდება და ყველა იმას ელოდება, თუ რა ცვლილებები მოხდება „ოლიმპში"...**

- ცვლილებები აუცილებლად იქნება, მაგრამ ახლა კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით, გამოცხადდება შესვენება, დავსხდებით, დავილაპარაკებთ და ყველაფერს გავარკვევთ.

**- პირველ რიგში, რომელი რგოლის გაძლიერება გსურთ?**

- ახლა ამ თემაზე ლაპარაკი არაკორექტულია. თუმცა ზოგადად შემიძლია გითხრათ, რომ გუნდი აუცილებლად გაძლიერდება.

**- გია გურულმა განაცხადა, რომ „ოლიმპის" ხელმძღვანელობა შეეხმიანა და რამდენიმე ფეხბურთელის შერჩევა სთხოვა, თან დააკონკრეტა, რომ აფრიკის სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონატში მოთამაშე 5-6 მოთამაშეს გულისხმობდა...**

- დიახ, ასე იყო. გია გურულთან საქმიანი ურთიერთობა ჯერ კიდევ „ზესტაფონში" მუშაობის დროიდან მაქვს და ვიცი, რომ ფეხბურთელების შერჩევაში დიდი ალღო გააჩნია. ასე რომ, მისი და კლუბის თანამშრომლობა „ოლიმპს" უნდა წაადგეს.

ინტერვიუ



## ბექა გოცირიძე
# ვივარჯიშებ და იმედს გაძლევთ, მაგრად დავიწყებ
## უფეხბურთობით დაღლილი გოცირიძე ვარჯიშს შეუდგა

ბექა გოცირიძე უზომოდ გახარებულია - ექვსთვიანი პაუზის შემდეგ, საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და დნეპროპეტროვსკის „დნიპროს" თავდამსხმელს ექიმებმა ვარჯიშის უფლება დართეს. ახალი თაობის ერთ-ერთმა ყველაზე ნიჭიერმა თავდამსხმელმა თავისი საჭიროება „დნიპროსა" და ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობასაც დაუმტკიცა, საუცხოო ფორმაშიც იყო, მაგრამ...

**და აი, გუშინ ახალი ამბავი შევიტყვეთ და პირველწყაროსაც დავუკავშირდით...**

- დიახ, საბედნიეროდ, ვარჯიში უკვე დავიწყე, შაბათს იპოდრომზე პირველად ვირბინე და უზომოდ ბედნიერი ვარ.

**- თავს როგორ გრძნობდი?**

- სიმართლე გითხრათ, ჯერ მაინც შიში მქონდა, რაიმე გართულება არ გამოეწვია. ერთი წრე რომ გავირბინე, ძალიან დავიღალე, მაგრამ რაც მთავარია, თავს საუცხოოდ ვგრძნობ. ადრე 8-9 წრეს დავრბოდი და ასე არ ვიღლებოდი, მაგრამ 6 თვის უვარჯიშებელი ვარ, პირველად გავიქეცი და, ალბათ, გადაღლა ბუნებრივიც იყო. იმ ავარიის შემდეგ ხომ პირველად ვივარჯიშე.

**- ალბათ, ექიმებისგან ვარჯიშის ნებართვა მიიღე...**

- რა თქმა უნდა, ავარიის შემდეგ, ნახევარი წელი გავიდა და შემიძლია, დავიტვირთო.

**- ახლა რამდენი წუთი შეგიძლია ვარჯიში?**

- საერთოდ, ეროვნული ნაკრების ექიმ დიმიტრი ზაალიშვილის რჩევებით ვსარგებლობ. მან მითხრა, 15 წუთი ივარჯიშეო. იანვრიდან აუზზე ვივლი და ნელ-ნელა რეაბილიტაციის პროცესსაც დავასრულებ.

**- ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი ახლა შენი საკლუბო კარიერაა. მოსამზადებელ ეტაპს „დნიპროში" გაივლი?**

- დიახ და ახლა სწორედ იმისთვის ვემზადები, რომ დნეპროპეტროვსკში ნორმალურ ფორმაში მყოფი ჩავიდე. 5 იანვარს უკრაინაში გავემგზავრები და ყველაფერს ადგილზე გავარკვევ.

**- როგორც ვიცით, უკრაინელები ხშირად გეხმიანებიან და ხელფასის გადახდაც არ შეუწყვეტიათ.**

- ისინი ძალიან კარგად მეპყრობიან. არ მეგონა, თუ კონტრაქტს არ გამიწყვეტდნენ, მაგრამ ხელფასსაც მიხდიდნენ და არც ყურადღებას მაკლებდნენ. დიმიტრი ზაალიშვილი „დნიპროს" ექიმს ელაპარაკება და ყველაფრის საქმის კურსში აყენებს.

**- ალბათ, ექვსთვიანმა იძულებითმა შესვენებამ მოედანი მოგანატრა...**

- საშინლად მომენატრა ფეხბური! ყოველდღიური უსაქმურობითა და უფეხბურთობით დავიღალე. ამის გამოა, ბოლნისში „ოლიმპისა" და „ზესტაფონის" შეხვედრას რომ დავესწარი, მაგრამ არანაკლები ტანჯვაა, როცა ფეხბურთს უყურებ და ვერ თამაშობ. მინდა, მოედანზე შევვარდე, მაგრამ ვინ მომცა ამის უფლება? არაფერია, ვივარჯიშებ და იმედს გაძლევთ, მაგრად დავიწყებ.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

გამოხმაურება

# თორნიკე აფციაური:
# რას გვერჩის კვარაცხელია?!



მარცხნივ თორნიკე აფციაური — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

„ოლიმპსა" და „ზესტაფონს" შორის XVII ტურის ბოლნისურმა დაპირისპირებამ ქართული საფეხბურთო საზოგადოების დიდი ყურადღება მიიპყრო. ზესტაფონიდან და რუსთავიდან ორივე გუნდს 700-მდე გულშემატკივარი ამხნევებდა. სტუმართა ქომაგებმა თავისიანები ტაშით გააცილეს, რაკი მიიჩნიეს, რომ წაგებას არ იმსახურებდნენ.

მატჩის არბიტრმა **ლევან კვარაცხელიამ** წითელ-ყვითელი ბარათები ორივე მხარეს უხვად აფრიალა. სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას - ჩვენი აზრით, უმრავლეს შემთხვევაში კვარაცხელიამ სწორი გადაწყვეტილებები მიიღო. თუმცა „ზესტაფონის" ფეხბურთელები მის მიმართ უკმაყოფილებას ვერ მალავდნენ და ხშირადაც ეკამათებოდნენ. მათი აზრით, კვარაცხელია მასპინძლებისკენ „იხრებოდა". „ზესტაფონის" ლიდერი **თორნიკე აფციაური** ფიქრობს, რომ ფიფას არბიტრი მათ გუნდს არ სწყალობს.

*„წაგება ყოველთვის დასანანია, მით უფრო, უშუალო კონკურენტთან და თანაც, ისეთი თამაშის შემდეგ, როგორიც ბოლნისში ვაჩვენეთ. ვიბრძოლეთ და მოგება გვინდოდა, მაგრამ არაფერია. მთელი მეორე წრე წინაა, კარგად მოვემზადებით, თამაშს დავხვეწთ და „ოლიმპს" ჩემპიონობას უბრძოლველად არ დავუთმობთ. საერთოდ, გუნდში მსაჯებზე ლაპარაკს ვერიდებით, მაგრამ ის, რაც ბოლო დროს ხდება, იმავე „ოლიმპთან" მატჩსაც თუ დავუმატებთ, უკვე აუტანელია. ლევან კვარაცხელიას შეეძლო, არ გაეძევებინა შოთა გრიგალაშვილი, მაგრამ მაინც გაგვიგდო. ხოლო ამის შემდეგ საკამათო პენალტი „დაგვიდო". ასე აღარ შეიძლება! კვარაცხელიას მოქმედებები გაუგებარია. არ ვიცი, „ზესტაფონს" ვერ იტანს თუ რა არის მიზეზი, მაგრამ რამდენჯერაც გვიმსაჯა, იმდენი წითელი ბარათი გამოიყენა, ზედაც ხუთი ყვითელი ბარათით"*, - აღშფოთებულია აფციაური.

ვიტ ჯორჯია

## გელა გომელაური
# ნახევარფინალში გასვლა ჩემი დამსახურებაცაა და კოჭლაშვილისაც

### გომელაურისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება ვიტ ჯორჯიას მთავარი მწვრთნელი

ზამთრის პაუზამდე ბოლოსწინა ტურში მოქმედ ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას", „ბაიასთან" გასვლით მატჩში, გელა გომელაურმა უთავკაცა. მერაბ კოჭლაშვილი, რომელიც მანამდე ხელმძღვანელობდა გუნდს, ზუგდიდში არ ჩასულა. ამ დროს ის თბილისში, „ლოკომოტივი"-"დინამოს" მატჩს ესწრებოდა და რაღაცებს ინიშნავდა. მოგეხსენებათ, „ლოკომოტივი" ვიტელთა მომავალი მეტოქეა...

ბუნებრივია, ამ ფაქტმა ეჭვები გააჩინა - თითქოს, „ვიტ ჯორჯიას" მთავარი მწვრთნელი უკვე გელა გომელაურია და ეს სეზონის პირველი ნახევრის დასრულების შემდეგ ოფიციალურად გაცხადდება.

არსებობს ვერსიაც, თითქოს კოჭლაშვილი შეუძლოდ იყო, თუმცა როგორც გითხარით, ის „ლოკომოტივი"-"დინამოს" მატჩს ესწრებოდა. იმასაც ამბობენ, რომ ეს უბრალოდ ექსპერიმენტი იყო. მაგრამ აქ ისმის ერთი კითხვა - „ვიტ ჯორჯია" სერიოზული კლუბია და ასეთ დროს ხელმძღვანელობა ვითომ ექსპერიმენტისთვის მოიცლიდა?

ამასობაში კი კულისებიდან გამოჟონა ინფორმაციამ, აქაოდა, „ზესტაფონთან" თასის საპასუხო 1/4 ფინალში ბრწყინვალე გამარჯვება (4:0 დამატებითი დროის შემდეგ) გომელაურის აქტივია და საერთოდაც, ბოლო მატჩებში ვიტელთა შემტევი ფეხბურთი სწორედ გომელაურის ხელწერააო...

ერთი სიტყვით, სიმართლის ბოლომდე გარკვევა ჯერ ვერ ხერხდება. მანამდე დროს ნუ დავკარგავთ და გელა გომელაურს გავესაუბროთ...



გელა გომელაური

**- დავიწყოთ კითხვით, რომელიც ბევრს აინტერესებს - შეიცვალა თუ არა მთავარი მწვრთნელი „ვიტ ჯორჯიაში"? ამბობენ, თითქოს ეს მისია თქვენ დაგეკისრათ, მაგრამ მიზეზთა გამო, კლუბი ამას ჯერ არ ახმოვანებს...**

- მე კი იმით დავიწყებ, რომ უკვე წლებია, „ვიტ ჯორჯია" სტაბილური კლუბია, გამორჩეულია ფეხბურთელებით, თამაშის მანერით, ბრძოლისუნარიანობით... კლუბში სალ აზრს ყოველთვის პატივს სცემენ და ითვალისწინებენ... ერთი სიტყვით, გარკვეული ფაქტორების გათვალისწინებით, გადაწყდა, რომ „ბაიასთან" გასვლითი მატჩისთვის გუნდი მე უნდა მომემზადებინა და თამაშისთვისაც მეხელმძღვანელა.

**- შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ეს ერთგვარი ექსპერიმენტი იყო?**

- არა, ამას ექსპერიმენტს ვერ დავარქმევდი. არც მერაბ კოჭლაშვილს აკლია გამოცდილება და არც მე ვარ დამწყები მწვრთნელი - უკვე 19 წელია, ამ საქმეს ვემსახურები. ჩვენი ცოდნა-გამოცდილება გუნდის სასარგებლოდ რომ გამოვიყენოთ, ვფიქრობ, ამაში უცნაური არაფერია.

**- ალბათ, სწორედ ამიტომ ითქვა საფეხბურთო კულისებში - თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩში „ზესტაფონთან" 4:0 გამარჯვება სწორედ გელა გომელაურის დამსახურება იყოო, როგორც კი საშუალება მიეცა, გუნდს თავისი ხელი დაეტყოო...**

- წელანაც გითხარით და კიდევ ერთხელ გავიმეორებ - ეს გამარჯვება და ნახევარფინალში გასვლა, ჩემი დამსახურებაცაა და მერაბისაც. წარმატებამდე ერთობლივი ძალით მივედით. რაც შეეხება გუნდის თამაშს, უკვე გადაწყვეტილია, რომ „ვიტ ჯორჯია" შემტევ სტილში ითამაშებს.

**- თუ კლუბში ცვლილება არ მომხდარა და საამისოდ არც რაიმე საფუძველი არსებობს, მაშინ საინტერესოა, რა საჭიროებას წარმოადგენდა, რომ ზუგდიდში გუნდისთვის თქვენ გეხელმძღვანელათ?**

- სეზონის პირველ ნახევარს „ლოკომოტივთან" მატჩით ვამთავრებთ. ამ შეხვედრაში დისკვალიფიკაციის გამო კიდევ დაგვაკლდებიან ფეხბურთელები. მეტოქეზე მეტი ინფორმაცია რომ გვქონოდა, გადავწყვიტეთ, ამ ეტაპზე გუნდს მე გავძღოლოდი, მერაბი კი თბილისში დარჩენილიყო და „ლოკომოტივი" დაეზვერა.

**- ჭაბუკთა ნაკრებებსა და პირველი ლიგის გუნდებს კი ხელმძღვანელობდით, მაგრამ უმაღლესი ლიგის კრებულს პირველად უთავკაცეთ. არ გაგიჭირდათ? სხვაობა დიდია?**

- მთავარი მწვრთნელის ამპლუა ჩემთვის უცხო ნამდვილად არ არის. პირველ ლიგაში „თბილისი" ჩემი ხელმძღვანელობით რომ თამაშობდა, სწორედ ჩემს გუნდში იყვნენ დღეს ცნობილი ფეხბურთელები - დავით დევდარიანი, ვახტანგ კვარაცხელია, მიხეილ ალავიძე, „ზესტაფონის" ახლანდელი მცველი გიორგი ხიდეშელი და სხვები. ასე რომ, მთავარმწვრთნელობის გარკვეული გამოცდილება ნამდვილად მაქვს. თუმცა უმაღლესი ლიგის გუნდის ხელმძღვანელობა, თანაც მოქმედი ჩემპიონის, რა თქმა უნდა, ასჯერ მეტი პასუხისმგებლობაა, ეს სხვა სამყაროა... რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, ვერ ვიტყოდი, რომ გამიჭირდა და განსაკუთრებულ სიძნელეებს წავაწყდი...

**- „ვიტ ჯორჯიას" თავკაცის პოსტზე თქვენი დებიუტი წარმატებული აღმოჩნდა. „ბაიასთან" მატჩს დღეს როგორ იხსენებთ?**

- თასის მეოთხედფინალმა დიდი ენერგია წაგვართვა და ეს ზუგდიდურ მატჩშიც გვეტყობოდა. მხოლოდ ეპიზოდებში ვითამაშეთ ჩვენეული ფეხბურთი. ისიც უნდა ვთქვა, რომ კარგად გამოიყურებოდა „ბაიაც". მსაჯებზე ლაპარაკი არ მჩვევია, მაგრამ მხოლოდ ერთს ვიტყოდი - უკეთესი მსაჯობაც შეიძლებოდა. ეს განსაკუთრებით ლაინსმენებს ეხებათ.

**- ბევრი ამბობს, შემტევი ტაქტიკა გომელაურის ხელწერააო. კიდევ რა შეცვალეთ გუნდში?**

- ზუგდიდში შემტევი ფეხბურთი ვითამაშეთ და როგორც ზემოთ გითხარით, სწორედ ამ კურსს გააგრძელებს ჩვენი გუნდი... რაც შეეხება ცვლილებას, აქამდე მარჯვენა მცველად თამაშობდა ბეჭვაია, რომელიც ზუგდიდში მარჯვენა ნახევარმცველად გავამწესეთ, ამ ფლანგზე კი დაცვაში ხურცილავა ვათამაშეთ. ეს მცველი ადრე ახალგაზრდულ ნაკრებში იყო მიწვეული, თუმცა ბოლოს აღარ გამოუძახიათ, არადა, ასაკით კიდევ შეუძლია 21-წლამდელებში თამაში. მას არაერთი კარგი თვისება აქვს, კერძოდ - სისწრაფე, ორთაბრძოლებს არ ერიდება, შეტევებში ჩართვაც შეუძლია... თუმცა მარგი ქმედების კოეფიციენტი ნაკლები ჰქონდა. არადა, როცა ასეთი კარგი მონაცემები აქვს ფეხბურთელს, მას შეუძლია, მარგი ქმედების კოეფიციენტი გაზარდოს და ძალიან გვინდა, რომ ხურცილავამ ეს მოახერხოს.

**- ვინ უხელმძღვანელებს „ვიტ ჯორჯიას" „ლოკომოტივთან" მატჩში?**

- მართალი გითხრათ, ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვინ უხელმძღვანელებს გუნდს ამ შეხვედრაში. მთავარია, „ვიტ ჯორჯიამ" სანახაობრივი და წარმატებული ფეხბურთი ითამაშოს, გულშემატკივარი ნასიამოვნები დატოვოს... სამწუხაროდ, ვახტანგ კვარაცხელია და გიგა ბეჭვაია გამოგვაკლდებიან. სამაგიეროდ, დაგვემატება გიორგი დათუნაიშვილი, რომელსაც დისკვალიფიკაცია ჰქონდა.

**- როგორც ამბობენ, „ვიტ ჯორჯიას" მთავარი მწვრთნელი მალე გელა გომელაური გახდება და ეს მალე გაცხადდებაო...**

- ვერაფერს გეტყვით... მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ ამაზე უფრო მეტ მნიშვნელობას „ვიტ ჯორჯიას" წარმატებებს ვანიჭებ.

**დავით ცაბაძე**



გი რუ

პირველი გოლი გიორგი მაკარიძის კარში

ლეგიონერი

# გი რუ: მე დღეს აღმოვაჩინე მაკარიძე

19 წლის **გიორგი მაკარიძემ** მეორედ ითამაშა საფრანგეთის ჩემპიონატში. ამჯერად, ქართველი გოლკიპერის „ლე მანი" სტუმრად 1:2 დამარცხდა მეორეადგილოსან „მონპელიესთან". *„მავი ლე მანმა" ჩვენებურს გუნდში ერთ-ერთი ყველაზე ცუდი შეფასება - 4 ბალი დაუწერა და მიზეზიც იქვე ახსნა: „პირველ გაშვებულ გოლში დამნაშავეა. ამის შემდეგ ახალგაზრდა ქართველმა რამდენჯერმე დამაჯერებლად ითამაშა. მის გამოსვლას კარგს ვუწოდებდით, რომ არა მატჩის დასაწყისში გაშვებული გოლი".* „მავი ლემანს" ეთანხმება „ეკიპიც", ამ გამოცემამაც 4-იანი დაუწერა ჩვენებურს.

ამ მატჩს „ოსერის" ყოფილი მწვრთნელი, ლეგენდარული **გი რუ** ესწრებოდა, რომელმაც „მავისთან" ინტერვიუში, მოულოდნელად, მაკარიძეზე წამოიწყო საუბარი: *„მე დღეს აღმოვაჩინე მაკარიძე. ის პირველი გოლი, რომელიც მან გაუშვა, მხოლოდ მისი ბრალი არ იყო. შემდეგ კი მაკარიძემ რამდენჯერმე იხსნა „ლე მანი".*

მოდით, პირველი გაშვებული გოლის ეპიზოდი კიდევ ერთხელ აღვწეროთ - მე-12 წუთზე „მონპელიეს" ფორვარდმა **ქარიმ აიტ-ფანამ** საკუთარი საჯარიმოდან მიიღო შორეული პასი, მცველებს ის თამაშგარეში ეგონათ, აიტ-ფანამ კი საჯარიმოს მარცხენა კუთხიდან გიორგის თავზე გადაუგდო ბურთი. ვერც იმას ვიტყვით, რომ ქართველი წინ იყო გამოსული. ზუსტად 12 წუთში კი მაკარიძემ გუნდი მეორე გაშვებული გოლისგან იხსნა, **ალბერტო კოსტამ** მას მარჯვენა დაბალ კუთხეში დაურტყა, ქართველმა ბურთი მარჯვნივ მოიგერია, მაგრამ ყველას აიტ-ფანამ დაასწრო და დაახლოებით 2 მეტრიდან დაარტყა, მაკარიძემ კვლავ იყოჩაღა. სულ, ლიგა 1-ის ოფიციალური საიტის მტკიცებით, ჩვენებურმა ოთხჯერ მოიგერია ბურთი, ერთხელ კი სახიფათო ჩაწოდება ჩაჭრა, მაკარიძე ბურთს თამაშში 26-ჯერ შეეხო. ეს ქართველის მესამე თამაში იყო „ლე მანის" ძირითად გუნდში (ერთი ლიგის თასზე), 3 თამაშში მან 3 გოლი გაუშვა.

ახლა ყველანი **პაულო ჟორჟე დუარტეს** ვერდიქტს ველით, თუკი მწვრთნელი 12 დეკემბერსაც გიორგი მაკარიძეს დააყენებს „ვალანსიენის" წინაალმდეგ, სამეკარეო კრიზისში მყოფ ქართველებს მოსალოცად გვაქვს საქმე...

6 დეკემბერს „ლე მანის" მეორე გუნდმა „იზორთან" 2:2 ითამაშა. მასპინძელთა რიგებში **ამირან სანაია** შეუცვლელად გაისარჯა, ოღონდ, მან ჩვეული მარცხენა ფლანგის ნაცვლად, დაცვის მარჯვენაზე ითამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რეალური პერსპექტივა

# სპარტაკი ელიტრაუნდის შემდეგ

### მოსკოვში ყაზაიშვილი და ხოჭოლავა მოეწონათ

ნოემბრის ბოლოს, მოსკოვის „სპარტაკში" საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებისა და საფეხბურთო კლუბ „საბურთალოს" ოთხი ფეხბურთელი ისინჯებოდა - მცველი **აჩიკო ტვილდიანი**, ნახევარმცველები - **ვაკო ყაზაიშვილი, ლევან კოშაძე** და თავდამსხმელი **დავით ხოჭოლავა**.

ოთხეულის გასინჯვა რუსეთის სახალხო გუნდმა ზაფხულში, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მიერ პალანგის ტურნირის მოგების შემდეგ გადაწყვიტა. ოთხივე მათგანმა სპეციალისტებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ქართველები „სპარტაკმა" მაშინვე მიიწვია.

„საბურთალოს" ხელმძღვანელობა მოსკოველთა წინადადებას კი დათანხმდა, მაგრამ ამავდროულად 17-წლამდელთა ნაკრების ინტერესიც გაითვალისწინა და მოთამაშეების ჩაყვანაზე მხოლოდ შესარჩევი ეტაპის დასრულების შემდეგ შეუთანხმდა.

ოთხეული, რომელსაც „საბურთალოს" გენერალური მდივანი **კახა ჭუმბურიძე** ახლდა, მოსკოვში 15 ნოემბერს ჩავიდა. ბიჭები „სპარტაკის" ბაზაზე, ტარასოვკაში დააბინავეს და დუბლშემადგენლობასთან ერთად ავარჯიშეს. ამას გარდა, დუბლებში ორკარა ორჯერაც ათამაშეს: პირველში კოშაძემ გოლიც გაიტანა. 25 ნოემბერს გამართულ შეხვედრაში კი თავი უკვე ხოჭოლავამაც გამოიჩინა. ამის შემდეგ ისინი თბილისში დაბრუნდნენ და „სპარტაკის" თავკაცთა გადაწყვეტილებას ელოდნენ.



კახა ჭუმბურიძე

*„თავიდანვე შევთანხმდით, რომ ფეხბურთელებს გასინჯავდნენ, მაგრამ ელიტრაუნდისთვის მზადებაში საქართველოს 17-წლამდელთა მთავარ მწვრთნელ გიორგი დევდარიანს ხელი რომ არ შეშლოდა, უკან წამოვიყვანდით და მხოლოდ ელიტრაუნდის შემდეგ დაბრუნდებოდნენ. ეს მოსკოველებსაც აწყობდათ, რადგან უკეთ დაკვირვების საშუალება მიეცემოდათ. ჩვენი ბიჭები ხომ სამი წლით უფროსებში, „სპარტაკის" დუბლებში უნდა აიყვანონ. მათ ყაზაიშვილი და ხოჭოლავა მოეწონათ და ტრანსფერის საკითხს ელიტრაუნდის შემდეგ გადაწყვეტენ. არ შემიძლია, არ აღვნიშნო მოსკოველთა ვიცე-პრეზიდენტ ევგენი სმოლენცევის გულიანი დახვედრა და მასპინძლობა. ძალიან კარგად მიგვიღო, ყურადღებას არ გვაკლებდა",* - გვითხრა კახა ჭუმბურიძემ.

ჭუმბურიძემ კიდევ ერთი სიახლე გვამცნო - „საბურთალოს" წევრი **მამუკა კობახიძე** 9 დეკემბერს ესპანეთში მიემგზავრება. 16 წლის ფეხბურთელს „სარაგოსაში" გასინჯავენ.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

# ცხადაძე: ჩემპიონები გავხდებით

აზერბაიჯანული პრემიერლიგის მე-13 ტურის ცენტრალურ მატჩში **კახა ცხადაძის** „ინტერი" ლენქორანის „ხაზარს" დაუზავდა - 1:1. „შაფას" სტადიონზე მატჩს 5 ათასი გულშემატკივარი დაესწრო. ქართველმა მწვრთნელმა მხოლოდ ერთი თანამემამულე - **დავით ოდიკაძე** ათამაშა და ისიც შესვენებისას შეცვალა, **გიორგი ლომაია** და **კახა მჟავანაძე** კი სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ.

პირველ ტაიმში „ხაზარი" ბრაზილიელი **მარიო სოუზას** გოლით დაწინაურდა. 50-ე წუთზე ანგარიში „ინტერის" ბრაზილიელმა ლეგიონერმა **ლეონარდო როშამ** გაათანაბრა. „ინტერი" 27 ქულით კვლავ პირველია, ამდენივე ქულა მოაგროვა „ყარაბახმაც".

*„ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ. თუ ასევე გავაგრძელეთ, მიუხედავად იმისა, რომ დღეს 2 ქულა დავკარგეთ, მაინც ჩემპიონები გავხდებით"*, - თქვა ცხადაძემ პრესკონფერენციაზე.

ტურში ერთი ქართული გოლი გავიდა - „ოლიმპიკმა" „ქარვანს" 4:0 მოუგო. გამარჯვებულთა შორის ბოლო გოლი 69-ე წუთზე **ნუგზარ კვირტიამ** (90 წუთი ითამაშა) გაიტანა. სტუმართა რიგებში შეუცვლელად გაისარჯა **ალექსანდრე ინწკირველიც**. „ოლიმპიკი" (16 ქულა) ცხრილში მერვეა, „ქარვანი" (5 ქულა) კი ბოლო.

ზაქათალის „სიმურგი" „მუღანს" ესტუმრა და 2 ქულა დაკარგა - 0:0. **კახაბერ ჩხეტიანმა** და **დავით ბოლქვაძემ** 90-90 წუთი ითამაშეს, ხოლო **თეიმურაზ ღონღაძე** და **რომან ახალკაცი** სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ.

„გაბალამ" ქულები აართვა „ყარაბახს" - 1:1. ტრავმამოშუშებული **რევაზ გეწაძე** 55-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში, **გოგა ბერაიამ** კი სრულად ითამაშა.

„სტანდარდმა" მედგარი ბრძოლა გაუმართა „ბაქოს" - 3:4. მასპინძელთა ქართული კვარტეტიდან მხოლოდ **სერგი ორბელაძემ** ითამაშა, სტუმართა შორის კი **გიორგი ადამია** 88-ე წუთზე შეცვალეს. **ამირან მუჯირი** სათადარიგო იყო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ვიზიტი ევროპაში



თეოდორის თეოდორიდისი (მარცხნივ) და რევაზ არველაძე

# ინგლისს, შვედეთსა და პოლონეთს საქართველო უმასპინძლებს

## სიჭინავა და არველაძე დღეს პლატინის შეხვდებიან

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** და გენერალური მდივანი **რევაზ არველაძე** ნიონში უეფას ხელმძღვანელობასთან საქმიან შეხვედრებს მართავენ. როგორც ვწერდით, დაგეგმილი იყო შეხვედრები ჩვენი ფედერაციის უცხოელ პარტნიორებთანაც. სიჭინავასა და არველაძეს გუშინ რამდენიმე მოლაპარაკება ჰქონდათ და ახლა სწორედ ამაზე უნდა გიამბოთ.

როგორც ფედერაციის პრეზიდენტის თანაშემწე **თათია ბურდულმა** გვითხრა, სიჭინავა და არველაძე გუშინ შვეიცარიულ კომპანია „ინფრონტის" ერთ-ერთ ხელმძღვანელ **მარტინ რუუსს** შეხვდნენ. მოქმედი კონტრაქტის თანახმად, „ინფრონტი" ჩვენი ეროვნული ნაკრების მატჩების ტელეტრანსლაციის ექსკლუზიურ უფლებას ფლობს. სხვათა შორის, ფედერაციას „ინფრონტის" ვალი მართებს. ბატონ რუუსთან შეხვედრის თემა სწორედ ამ ვალის გასასტუმრებელი გრაფიკის შეთანხმება იყო. მაგრამ მარტო ეს არა - განიხილეს მომდევნო საკვალიფიკაციო ეტაპზე თანამშრომლობის პირობებიც.

„ინფრონტის" შემდეგ სიჭინავა და არველაძე UBS ბანკის წარმომადგენელ **კრისტიან ფურერს** შეხვდნენ. ჩვენს ფედერაციას ამ ბანკისგან 900 ათასი ევრო აქვს სესხად აღებული. ბუნებრივია, მოლაპარაკებების თემა ამ თანხის დაფარვა იყო. აქვე შეგახსენებთ, რომ უცხოურის გარდა, ფეხბურთის ფედერაციას ქართული ბანკების ვალიც მართებს - „ტაოპრივატბანკისთვის" 300 ათასი ევრო აქვს გასასტუმრებელი, „საქართველოს ბანკისთვის" კი 2 მილიონი დოლარი.

ვალებზე გვეყოფა და ახლა ერთი სასიხარულო ამბავიც უნდა გამცნოთ - გუშინ ნიონში 17-წლამდელთა შორის ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა რომ გაიმართა და მეტოქეებად ინგლისი, პოლონეთი და შვედეთი გვერგო, უკვე გადაწყვეტილია, რომ გაისად ამ ჯგუფის მატჩებს (18, 20 და 23 ოქტომბერი) თბილისი უმასპინძლებს.

რაც შეეხება დღევანდელი შეხვედრების განრიგს. სიჭინავა და არველაძე უეფას ეროვნულ ასოციაციათა განყოფილების ხელმძღვანელ **თეოდორის თეოდორიდისთან** უნდა შეხვდნენ. ცნობისათვის, ეს ის თეოდორიდისია, რომელიც მალტის ფედერაციის შეფ **ჯოზეფ მიფსუდთან** ერთად უეფამ 1 ოქტომბერს ჩატარებულ ფეხბურთის ფედერაციის ყრილობაზე დამკვირვებლებად მოავლინა.

თეოდორიდისის შემდეგ კი, ნაშუადღევს, ნიონის სტუმრებს თვით უეფას პრეზიდენტ **მიშელ პლატინისა** და ვიცე-პრეზიდენტ **ჯანი ინფანტინოსთან** ერთად საქმიანი სადილი ელით.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება საღამოს შეხვედრებიც. სიჭინავა და არველაძე სპორტული ეკიპირების მწარმოებელ სამ კომპანიასთან გამართავენ მოლაპარაკებას. მათგან ერთ-ერთია JAKO იქნება. ფეხბურთის ფედერაციას ამ კომპანიის ვალიც აქვს, თან JAKO-სთან კონტრაქტის ვადაც ამოიწურა. როგორც სიჭინავამ შვეიცარიაში გამგზავრებამდე გვითხრა, ტექნიკურ სპონსორობაზე იმ ფირმასთან გაფორმდება კონტრაქტი, რომელიც ქართულ მხარეს უფრო მისაღებ პირობებს შესთავაზებს.

**დავით ცაგაძე**

ჭაბუკთა ლიგა

92-93 წლიანები

XIV ტური

| | |
|---|---|
| სიონი-გაგრა | 0:3 |
| სამტრედია-ლოკომოტივი | 0:1 |
| ბაია-სპარტაკი | 4:0 |
| ვიტ ჯორჯია-დინამო | 0:3 |
| ოლიმპი-ზესტაფონი | 7:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაია | 14 | 12 | 2 | 0 | 43-16 | 38 |
| 2. დინამო | 14 | 11 | 2 | 1 | 48-18 | 35 |
| 3. გაგრა | 14 | 7 | 1 | 6 | 30-25 | 22 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 14 | 7 | 1 | 6 | 26-25 | 22 |
| 5. ზესტაფონი | 14 | 6 | 1 | 7 | 21-36 | 19 |
| 6. ოლიმპი | 14 | 5 | 3 | 6 | 32-30 | 18 |
| 7. სამტრედია | 14 | 5 | 3 | 6 | 27-25 | 18 |
| 8. ლოკომოტივი | 14 | 5 | 3 | 6 | 22-24 | 18 |
| 9. სიონი | 14 | 2 | 1 | 11 | 16-42 | 7 |
| 10. სპარტაკი | 14 | 1 | 1 | 12 | 5-29 | 4 |

94-95 წლიანები

XIV ტური

| | |
|---|---|
| სიონი-გაგრა | 4:0 |
| სამტრედია-ლოკომოტივი | 0:2 |
| ბაია-სპარტაკი | 4:0 |
| ვიტ ჯორჯია-დინამო | 3:4 |
| ოლიმპი-ზესტაფონი | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 14 | 12 | 2 | 0 | 42-6 | 38 |
| 2. ბაია | 14 | 10 | 2 | 2 | 37-12 | 32 |
| 3. დინამო | 14 | 9 | 3 | 2 | 25-17 | 30 |
| 4. ლოკომოტივი | 14 | 8 | 2 | 4 | 25-10 | 26 |
| 5. სიონი | 14 | 5 | 3 | 6 | 17-26 | 18 |
| 6. სპარტაკი | 14 | 5 | 1 | 8 | 13-26 | 16 |
| 7. სამტრედია | 14 | 5 | 0 | 9 | 15-20 | 15 |
| 8. ვიტ ჯორჯია | 14 | 3 | 3 | 8 | 11-20 | 12 |
| 9. გაგრა | 14 | 1 | 3 | 10 | 8-32 | 6 |
| 10. ზესტაფონი | 14 | 1 | 3 | 10 | 8-32 | 6 |

ბიზნესის ჩემპიონთა ლიგა

SBM

რეგულარული ჩემპიონატი 2009/10

IV ტური

**სპორტმედია-პეპსი 2:4**

1:0 მეკოკიშვილი (8), 1:1 ხუჯაძე (12), 2:1 ედიშერაშვილი (17), 2:2 ძაბირაძე (19), 2:3, 2:4 მიზანდარი (24, 29)

**PSP-AMTS 5:2**

1:0 მაჭავარიანი (2), 1:1 აფციაური (3), 2:1 მაჭავარიანი (9), 2:2 აფციაური (12), 3:2 ჭიაურელი (17), 4:2 ტარიელაშვილი (21), 5:2 მაჭავარიანი (26)

**ალგორითმი-ფალავანი 4:1**

1:0 კახელაშვილი (7), 1:1 ზარქუა (11), 2:1 ისაკაძე (17), 3:1, 4:1 გონჩაროვი (21, 30)

**პატრული-ცხუმი 4:2**

1:0 თავაძე (9), 2:0 მარლიშვილი (11), 2:1 კვარაცხელია (18), 3:1 ცხაკაია (20), 3:2 ჯამარაული (22), 4:2 მამფორია (25)

**მითანა-გიგაბაიტი 5:5**

0:1 ჯინიკაშვილი (3), 1:1 მორჩილაძე (8), 2:1 ხუროშვილი (14), 3:1 ქარქაშაძე (18), 4:1 ბაბულაიძე (19), 4:2 სიგუნავა (20), 5:2 ბაბულაიძე (21), 5:3 ჯინიკაშვილი (22), 5:4 სიგუნავა (24), 5:5 ჯინიკაშვილი (30)

**სეუ-ბაზისბანკი 5:1**

1:0 ნ. ჩალაძე (3), 1:1 ჭითანავა (12), 2:1 რევაზიშვილი (17), 3:1 ცნობილაძე (24), 4:1 გოგოლაძე (28), 5:1 რევაზიშვილი (30)

**TBC ბანკი-ავტობილდი 4:1**

1:0 კარბაია (21), 2:0 კუხიანიძე (23), 3:0 კარბაია (26 პენ), 4:0 ნოზაძე (30), 4:1 ბიბილეიშვილი (30)

**ვისოლი-დინამო 5:0**

*ტექნიკური შედეგი*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პეპსი | 4 | 4 | 0 | 0 | 14-6 | 12 |
| 2. მითანა | 4 | 3 | 1 | 0 | 16-9 | 10 |
| 3. ალგორითმი | 3 | 3 | 0 | 0 | 17-4 | 9 |
| 4. TBC ბანკი | 4 | 3 | 0 | 1 | 10-6 | 9 |
| 5. გიგაბაიტი | 4 | 2 | 2 | 0 | 12-7 | 8 |
| 6. ვისოლი | 3 | 2 | 1 | 0 | 13-2 | 7 |
| 7. საქ. უნივერ. | 3 | 2 | 0 | 1 | 17-4 | 6 |
| 8. სეუ | 3 | 2 | 0 | 1 | 10-6 | 6 |
| 9. პატრული | 4 | 2 | 0 | 2 | 7-6 | 6 |
| 10. ფალავანი | 4 | 2 | 0 | 2 | 13-13 | 6 |
| 11. სპორტმედია | 4 | 2 | 0 | 2 | 11-13 | 6 |
| 12. PSP | 4 | 1 | 0 | 3 | 9-10 | 3 |
| 13. ავტობილდი | 4 | 1 | 0 | 3 | 7-16 | 3 |
| 14. ცხუმი | 3 | 0 | 0 | 3 | 4-12 | 0 |
| 15. დინამო | 3 | 0 | 0 | 3 | 4-14 | 0 |
| 16. ბაზისბანკი | 4 | 0 | 0 | 4 | 6-23 | 0 |
| 17. AMTS | 4 | 0 | 0 | 4 | 4-23 | 0 |

ბომბარდირები

| | |
|---|---|
| გონდო გოცირიძე (ფალავანი) | 8 |
| გიორგი ბაბულაიძე (მითანა) | 6 |
| ბაჩო კოზიძე (სეუ) | 6 |
| გიორგი ჩანთლაძე (ალგორითმი) | 5 |
| ანდრო მიზანდარი (პეპსი) | 5 |
| ბორის გონჩაროვი (ალგორითმი) | 5 |
| ნიკა ჩალაძე (სეუ) | 5 |

U 17, U 19. წილისყრა

# ფორტუნამ ზურგი შეგვაქცია

## დღეს ელიტრაუნდის წილისყრაა

დღეს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მეტოქეები უნდა გაირკვეს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდში. გუშინ კი არანაკლებ მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩატარდა. ნიონში მდებარე უეფას შტაბბინაში 17 და 19-წლამდელთა მომდევნო ჩემპიონატების პირველი შესარჩევი ეტაპის წილისყრა გაიმართა.

თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ ჩვენს 17-წლამდელებს ძალიან არ გაუმართლათ. თავად განსაჯეთ, მე-3 ჯგუფში **გიორგი დევდარიანის** გუნდის მეტოქეები ინგლისი, პოლონეთი და შვედეთი იქნებიან. ჩვენი ნაკრების იმედი, რაღა თქმა უნდა, გვაქვს, მაგრამ დაგვეთანხმებით, ელიტრაუნდში გასვლა არცთუ იოლი იქნება. პირველ ეტაპზე სულ 13 ჯგუფია, საიდანაც ელიტრაუნდში თამაშის უფლებას თითოეული ჯგუფიდან ორ-ორი გუნდი მოიპოვებს. ამას დაემატება ორი საუკეთესო მესამეადგილოსანი. შესარჩევი ტურნირისგან გათავისუფლებულია 2011 წლის ფინალური ეტაპის მასპინძელი სერბეთი.

აქვე აუცილებლად უნდა ვთქვათ უსამართლო განთესვაზე. წილისყრის ორგანიზატორებმა ნაკრებები მხოლოდ ორ კალათად გაყვეს და ჯგუფებში თითო კალათიდან ორ-ორი გუნდი მოახვედრეს. ამან კი „სიკვდილის ჯგუფების" შექმნის დიდი ალბათობაც გამოიწვია და სუსტი ოთხეულების ჩამოყალიბებისაც. რეალურად, მართლა ასე მოხდა. ერთი შეხედვით, ჩვენი ჯგუფი ყველაზე ძლიერია, ხოლო მაგალითად, მე-10 ჯგუფში სლოვაკეთი, უნგრეთი, ფარერები და ანდორა ითამაშებენ. დაგვეთანხმებით, ამ ორი ჯგუფის შედარებაც კი არ შეიძლება. არანაკლებ სუსტი ჯგუფებია მე-4 და მე-6 (იხილეთ ჯგუფების შემადგენლობა).

ახლა ისღა დაგვრჩენია, იმედი დავიტოვოთ, რომ ელიტრაუნდის წილისყრისას უფრო გაგვიმართლებს. იმასაც შეგახსენებთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა შვეიცარიაში იმყოფება და შეეცდება, 17-წლამდელთა და 19-წლამდელთა რომელიმე ჯგუფის საქართველოში მასპინძლობის უფლება მოიპოვოს. ცხადია, საუბარი იმ ჯგუფებზეა, სადაც საქართველოს ნაკრებები ითამაშებენ.

გადავინაცვლოთ 19-წლამდელთა ნაკრებზე. როგორც იცით, **გელა შეყილაძის** გუნდმა მოახლოებული ელიტრაუნდის საგზური ვერ მოიპოვა და ამიტომაც ამ ეტაპის წილისყრა, რომელიც დღეს გაიმართება, ამ ასაკში ჩვენთვის ნაკლებად საინტერესოა. სამაგიეროდ, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა გუშინდელ წილისყრას.

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მე-3 ჯგუფში მეტოქეებად საბერძნეთი, პორტუგალია და აზერბაიჯანი გვერგო. ესეც საკმაოდ ძლიერი ჯგუფია, მაგრამ შეიძლებოდა შეგვხვედროდა როგორც უფრო ძლიერი, ასევე უფრო სუსტი მეტოქეები. 19-წლამდელთა პირველ ეტაპზე წილისყრის პროცედურა და ნაკრებებისა და ჯგუფების რაოდენობა 17-წლამდელთა ანალოგიური იყო. შესარჩევ ტურნირში არ მონაწილეობს ფინალური ეტაპის მასპინძელი რუმინეთი.

ჯგუფების კალენდარი და მასპინძელი ქვეყნები უახლოეს პერიოდში დადგინდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**U17**

I ჯგუფი. საბერძნეთი, ხორვატია, ბულგარეთი, ისრაელი

II ჯგუფი. ავსტრია, გერმანია, ბოსნია, ესტონეთი

III ჯგუფი. პოლონეთი, ინგლისი, საქართველო, შვედეთი

IV ჯგუფი. ნორვეგია, ირლანდია, ალბანეთი, მალტა

V ჯგუფი. პორტუგალია, ჩრდ. ირლანდია, აზერბაიჯანი, ჩერნოგორია

VI ჯგუფი. რუმინეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, ლიხტენშტეინი

VII ჯგუფი. ჩეხეთი, თურქეთი, ისლანდია, სომხეთი

VIII ჯგუფი. ბელგია, უელსი, ლიტვა, დანია

IX ჯგუფი. საფრანგეთი, იტალია, სლოვენია, კვიპროსი

X ჯგუფი. სლოვაკეთი, უნგრეთი, ფარერები, ანდორა

XI ჯგუფი. უკრაინა, ჰოლანდია, სან მარინო, ლატვია

XII ჯგუფი. შვეიცარია, შოტლანდია, ლუქსემბურგი, მაკედონია

XIII ჯგუფი. რუსეთი, ესპანეთი, ფინეთი, მოლდოვა

**U19**

I ჯგუფი. თურქეთი, ისლანდია, უელსი, ყაზახეთი

II ჯგუფი. შოტლანდია, ნორვეგია, ლიხტენშტეინი, ესტონეთი

III ჯგუფი. საბერძნეთი, პორტუგალია, საქართველო, აზერბაიჯანი

IV ჯგუფი. რუსეთი, უკრაინა, შვედეთი, დანია

V ჯგუფი. ბელარუსი, ჩეხეთი, ბოსნია, მაკედონია

VI ჯგუფი. უნგრეთი, პოლონეთი, მოლდოვა, ფინეთი

VII ჯგუფი. იტალია, ხორვატია, ლატვია, ფარერები

VIII ჯგუფი. ბელგია, ინგლისი, კვიპროსი, ალბანეთი

IX ჯგუფი. ჰოლანდია, სლოვაკეთი, სლოვენია, მალტა

X ჯგუფი. ირლანდია, სერბეთი, ლუქსემბურგი, ბულგარეთი

XI ჯგუფი. ესპანეთი, ისრაელი, ლიტვა, სომხეთი

XII ჯგუფი. საფრანგეთი, ავსტრია, სან მარინო, ჩერნოგორია

XIII ჯგუფი. გერმანია, შვეიცარია, ანდორა, ჩრდ. ირლანდია

ლეგიონერი

# ანანიძე საუკეთესო დუბლიორია

რუსეთში მორიგი საფეხბურთო სეზონი დასრულდა და მიმომხილველები შეჯამების გარდა საუკეთესოების გამორჩევით არიან დაკავებულები. ამ პროცესში კლუბებიც ჩაერთვნენ. მოსკოვის „სპარტაკის" ოფიციალურმა ვებგვერდმა 2009 წლის საუკეთესოები გამოარჩია, როგორც მთავარ გუნდში, ასევე დუბლებში. მთავარ კრებულში საუკეთესოდ ბრაზილიელი ლეგიონერი **ალექსი** დაასახელეს. მან 4 997 ხმა, ანუ 60 % მოაგროვა. მეორეზე **ველიტონი** გავიდა, მესამეზე კი **პარშივლიუკი**. გამოკითხულთა 72%-მა „სპარტაკის" დუბლშემადგენლობის საუკეთესო ფეხბურთელად **ჯანო ანანიძე** დაასახელა.



ჯანო ანანიძე

**დავით ცაგაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტურის წინ

# ნერვების ქიდილი ტურინში: ბაიერნი თუ იუვენტუსი?

## ვან გაალი: უნდა მოვიგოთ, მორჩა და გათავდა! ფერარა: ეს ჩვენი მატჩია!

თუ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გასვლა უნდა, მიუნხენის „ბაიერნმა" დღეს ტურინში უნდა მოიგოს - ვერაფერს იტყვი, ლუის ვან გაალის გუნდს ძალიან რთული ამოცანა აქვს გადასაჭრელი. შედარებით მარტივად აქვს საქმე მეორე გერმანულ კლუბ „ვოლფსბურგს", რომელიც „მანჩესტერს" მასპინძლობს. C ჯგუფში „მილანია" წნეხის ქვეშ, D ჯგუფში კი ყველაფერი გარკვეულია, გარდა იმისა, თუ ვინ ითამაშებს ევროპის ლიგაში.



ისინი ერთმანეთს ემუქრებიან: ბაიერნის ლიდერი არიენ რობენი და იუვენტუსის ხერხემალი ფელიპე მელო

### A ჯგუფი

### იუვენტუსი-ბაიერნი

ეს არის მატჩი, რომელიც შეგვიძლია, თამამად მოვნათლოთ ჯგუფური ეტაპის ერთ-ერთ უმთავრეს დაპირისპირებად. ისე კი, „იუვენტუსისა" და „ბაიერნის" ჯახი ბოლო ტურის ცენტრალური მატჩია. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის წილისყრის შემდეგ ბევრს ეგონა, რომ „იუვე" და „ბაიერნი" ამ ჯგუფში პირველ ორ ადგილს არავის დაუთმობდნენ, მაგრამ იტალიის და გერმანიის რეკორდსმენმა კლუბებმა იმედები ვერ გაამართლეს. საფრანგეთის ჩემპიონმა „ბორდომ" ორივეს აჯობა და მერვედფინალში თამაში ნაადრევად გაინაღდა, რის გამოც, ტურინელები და მიუნხენელები მეორე ადგილისთვის ბრძოლაში ერთმანეთს შეატოვა. დღევანდელი შეხვედრის წინ, „იუვენტუსი" აშკარად უკეთეს მდგომარეობაშია, რადგან ჯერ ერთი, საკუთარ მოედანზე თამაშობს და ესეც რომ არ იყოს, **ჩირო ფერარას** გუნდს ჯგუფიდან გასასვლელად ფრეც აძლევს ხელს. აი, „ბაიერნმა" კი აუცილებლად უნდა მოიგოს, თუ მერვედფინალში თამაში უნდა. ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ გერმანელებმა „ბორდოსთან" ორივე თამაში წააგეს, „იუვენტუსმა" კი ჟირონდელებს ტურინში ფრე გაუხერხა.

ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში, „ბაიერნმა" ჯგუფური ეტაპი მხოლოდ ერთხელ ვერ გადალახა. ეს 2002/03 წლების სეზონში მოხდა და მაშინ მიუნხენელები ბოლო ადგილზე გავიდნენ („მილანის", „დეპორტივოსა" და „ლანსის" შემდეგ). ექვსი წლის წინანდელისგან განსხვავებით, დღეს გერმანულ გრანდს მესამე ადგილზე გასვლა და შესაბამისად, ევროპის ლიგაში გადასვლა განაღდებული აქვს, მაგრამ მიუნხენელთათვის ეს ვერაფერი შელავათი იქნება. ერთი სიტყვით, გერმანული გრანდი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია, რადგან ტურინში მოგება ურთულესი საქმეა.

გერმანელების ჰოლანდიელი მწვრთნელი **ლუის ვან გაალი** დღეს ნამდვილად ვერ გამოიყენებს **ფრანკ რიბერის**, რომელმაც ტრავმა ვერ მოიშუშა. „ბაიერნს" იტალიაში არც **ლუკა ტონი** გაჰყვა, ოღონდ იმ მიზეზით, რომ იტალიელი სამშობლოში ვან გაალმა არ წაიყვანა. სამაგიეროდ, მიუნხენური კლუბის ექიმებმა მწვანე შუქი აუნთეს „ბაიერნის" დაცვის ბურჯ **დანიელ ვან ბუიტენს**, რომელმაც პარასკევს, მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან" მატჩში (2:1 მიუნხენელთა სასარგებლოდ), სახის ტრავმა მიიღო. ვან გაალის გუნდმა ბოლოს ზედიზედ სამი ოფიციალური მატჩის მოგება მოახერხა და შესაბამისად, ბაიერნელები ძალიან კარგ ხასიათზე არიან.

*„უკან დასახევი გზა მოჭრილია. ტურინში აუცილებლად უნდა მოვიგოთ. ჩვენ გვაქვს იმის პოტენციალი, რომ „იუვენტუსი" მისსავე მოედანზე დავამარცხოთ. დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება,"* - ასეთი პირდაპირი განცხადება გააკეთა გუშინ ბავარიელთა თავდამსხმელმა **მარიო გომესმა**. ჰოლანდიელი გარემარბი **არიენ რობენი** კი ვან გაალს ეხვეწება, „იუვესთან" ძირითად შემადგენლობაში მათამაშეო. რობენმა ტრავმა კი მოიშუშა, მაგრამ ასი პროცენტით მზად არ არის, რის გამოც „გლადბახთანაც" სათადარიგოთა სკამზე იყო გამწესებული და თამაშში მხოლოდ მეორე ტაიმში ჩაერთო. მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ვან გაალმა რობენი დღეს სასტარტო შემადგენლობაში დააყენოს.

*„უნდა მოვიგოთ, მორჩა და გათავდა. სხვა შედეგი მიუღებელია!"* - ამბობს ვან გაალი.

რაც შეეხება ტურინულ გრანდს: „იუვემ" შაბათს „ინტერთან" უმძიმესი ბრძოლა გადაიტანა და რაც ამ გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ეს ბრძოლა მოიგო - 2:1. მაგრამ ტურინელთა თავკაცი ფერარა ამბობს, თუ სამშაბათს „ბაიერნთან" დავმარცხდებით და ჩემპიონთა ლიგიდან გავარდებით, „ინტერთან" მოპოვებულ ბრწყინვალე გამარჯვებას აზრი და მნიშვნელობა დაეკარგებაო. *„ჩვენ უნდა გავიდეთ მერვედფინალში, ჩვენ არ უნდა წავაგოთ „ბაიერნთან". მხოლოდ ამის შემდეგ ვიტყვი, რომ კმაყოფილი ვარ. „ინტერთან" ბრწყინვალე გამარჯვება მოვიპოვეთ, მაგრამ მე მხოლოდ „ბაიერნთან" მატჩის შემდეგ დავმშვიდდები,"* - ამბობს ფერარა.

დღეს ტურინელთა კარს ამ წელს უკანასკნელად დაიცავს **ჯიჯი ბუფონი**. მსოფლიოს საუკეთესო მეკარე „ბაიერნთან" მატჩის შემდეგ ოპერაციას გაიკეთებს. თუმცა დიდი შანსია, მიუნხენურ გრანდის წინააღმდეგაც ვერ ითამაშოს. საქმე ისაა, რომ „იუვენტუსის" ექიმები ჯიჯის მუხლის გამო ერთობ შფოთავენ და ოპერაციის გადადებას არ ურჩევენ.

თუკი ბუფონის გამო დიდი ეჭვებია, უკვე 100 პროცენტითაა გარკვეული, რომ ფერარა ვერ გამოიყენებს წამყვან მცველ **ჯორჯო კიელინის**, რომელსაც კუნთის პრობლემის გამო 20-დღიანი დასვენება აქვს გამოწერილი. შესაბამისად, დაცვის ბურჯ **ფაბიო კანავაროს ნიკოლა ლეგროტალიე** შეუწყვილდება. „იუვენტუსი" სავარაუდოდ ისევ 4-3-1-2 სქემით ითამაშებს, რომელშიც საყრდენ სამეულს **ფელიპე მელო, მომო სისოკო** და **კლაუდიო მარკიზიო** შეკრავენ. ამ უკანასკნელმა „ინტერთან" შესანიშნავად ითამაშა და უიშვიათესი სილამაზის გოლი გაიტანა. გამორიცხული არაა, რომ თავდასხმაში ფერარამ **ალექს დელ პიეროს** არა **კარვალიო ამაური**, რომელიც ბოლო დროს საკუთარ თავს აღარ ჰგავს და მოედანზე ტყუილად დაბაჯბაჯებს ხოლმე, არამედ გამოცდილი **დავიდ ტრეზეგე** შეუწყვილოს.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**იუვენტუსი (4-3-1-2):** ბუფონი (ან მანინგერი) - კასერესი, ფ. კანავარო, ლეგროტალიე, გროსო - ფელიპე მელო, სისოკო, მარკიზიო - დიეგო - დელ პიერო, ამაური (ან ტრეზეგე).

**ბაიერნი (4-2-2-2):** ბუტი - ლამი, ვან ბუიტენი, დემიკელისი, ბადშტუბერი - ვან ბომელი, შვაინშტაიგერი - თ. მიულერი, პრანიჩი (ან რობენი) - გომესი, ოლიჩი.

**არბიტრი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

### მაქაბი-ბორდო

ჯგუფის მეორე მატჩი სატურნირო თვალსაზრისით აბსოლუტურად უმნიშვნელოა, მაგრამ ჩვენთვის, ქართველებისთვის ამ შეხვედრას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. საქმე იმაშია, რომ „მაქაბის" ხუთ თამაშში არც ერთი გოლი არ აქვს გატანილი და რაკი ამ გუნდში ჩვენებური თავდამსხმელი **ლადო დვალიშვილი** თამაშობს, მის გოლს ვქომაგობთ. „ბორდოს" კარში გოლის გატანა ძალიან რთულია, რაც ამ სეზონში არაერთხელ დამტკიცდა, მაგრამ ბოლო მატჩი ფრანგებისთვისაც უმნიშვნელოა („ბორდოს" არა მარტო ჯგუფიდან გასვლა, არამედ პირველი ადგილიც განაღდებული აქვს), რის გამოც, ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ ჟირონდელები მეორე შემადგენლობით ითამაშებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დვალიშვილს გოლის გატანის მეტი შანსი ექნება. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: „მაქაბი" ძალიან ახლოა ანტირეკორდთან. ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ გუნდი ჯგუფური ეტაპიდან უქულოდ და უგოლოდ გავარდნილიყოს.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**მაქაბი (4-4-2):** დავიდოვიჩი - მეშუმარი, კეინანი, ტეიშეირა, მასილელა - კულმა, ბოკოლი, ოსმანი, რაფაელოვი - დვალიშვილი, არბაიტმანი.

**ბორდო (4-4-2):** რამე - გლომბარი, ჟურიეტი, სანე, პლასენტე - ტრაორე, ჟუსი, ფერნანდო, ვენდელი - კავენაგი, ბელიონი.

**არბიტრი:** იონას ერიქსონი (შვედეთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორდო | 5 | 4 | 1 | 0 | 8-2 | 13 |
| 2. იუვენტუსი | 5 | 2 | 2 | 1 | 3-3 | 8 |
| 3. ბაიერნი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-4 | 7 |
| 4. მაქაბი | 5 | 0 | 0 | 5 | 0-7 | 0 |

### B ჯგუფი

### ვოლფსბურგი-მანჩესტერი

შედარებით მარტივად აქვს საქმე მეორე გერმანულ კლუბს, ბუნდესლიგის მოქმედ ჩემპიონ „ვოლფსბურგს", რომელიც „ფოლკსვაგენარენაზე" „მანჩესტერ იუნაიტედს" მასპინძლობს. „ვოლფსბურგს" მოგება სჭირდება იმისათვის, რომ მერვედფინალში გავიდეს, მაგრამ ამ ჯგუფში საქმე ისეა, რომ შესაძლოა, „მგლები" წაგების შემთხვევაშიც გავიდნენ ჯგუფიდან. ასეთ შემთხვევაში „ვოლფსბურგს" „ბეშიქთაშის" დახმარება დასჭირდება, რომელიც პარალელურ მატჩში მოსკოვის ცსკა-ს მასპინძლობს.

მაგრამ „მგლები" ამაზე არ ფიქრობენ და „მანჩესტერ იუნაიტედის" დამარცხება სურთ. სხვათა შორის, „ვოლფსბურგი" „ოლდ ტრაფორდზეც" იგებდა და მხოლოდ 2:1 დამარცხდა. ასე რომ, თუ **არმინ ფეეს** სამწყსო **სერ ალექს ფერგიუსონის** გუნდს ორი მატჩის ჯამშიც დაამარცხებს, გერმანელები ჯგუფში სულაც პირველ ადგილს დაიკავებენ!

*„ეს იქნება ისტორიული, უდიდესი მატჩი. ჩვენ, რა თქმა უნდა, გამარჯვება და ჯგუფიდან გასვლა გვსურს,"* - აცხადებს „ვოლფსბურგის" ფლეიმეიკერი **ზვიეზდან მიშიმოვიჩი**. „ვოლფებს" ძირითად შემადგენლობაში ბრაზილიელი გოლეადორი **გრაფიტე** უბრუნდებათ, რომელმაც დისკვალიფიკაცია მოიხადა.

ფერგიუსონს დაცვაში უჭირს, რადგან ერთდროულად რამდენიმე უკანახაზელი გამოაკლდა. სწორედ ამიტომ, მანკუნიანელთა თავკაცი შეგირდებს დაცვაში ყურადღებით ყოფნისკენ მოუწოდებს. *„ჯერაც არ ვიცი, მოვახერხებ თუ არა სამშაბათისთვის ოთხი მცველის შეკრებას,"* - წუხდა ფერგი „ვესტ ჰემთან" მოგებული (4:0) მატჩის შემდეგ. თუმცა ფერგიუსონს სანერვიულო არაფერი აქვს - რაც არ უნდა იყოს, მისი გუნდი უკვე მერვედფინალშია და დღეს მხოლოდ პირველი ადგილის დაკარგვის საფრთხე ემუქრება.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ვოლფსბურგი (4-1-2-1-2):** ბენალიო - რიტერი, რ. კოშტა, ბარძალი, ჯონსონი - ჟოსუე - ჰასებე, გენტნერი - მიშიმოვიჩი - გრაფიტე, ჯეკო.

**მანჩესტერი (4-4-2):** კუშჩაკი - ფლეტჩერი, ქერიკი, ვიდიჩი, ევრა - ვალენსია, გიბსონი, ანდერსონი, ველბეკი - ბერბატოვი, ოუენი.

**არბიტრი:** ბიორნ კუიპერსი (ჰოლანდია)

### ბეშიქთაში-ცსკა

პარალელურ მატჩში „ბეშიქთაში" ცსკა-ს მასპინძლობს და თურქებს ჯერ კიდევ აქვთ იმის შანსი, რომ მესამე ადგილზე გადავიდნენ და ევროპის ლიგაში გადაინაცვლონ. თუმცა ცსკა მერვედფინალის საგზურისთვის იბრძვის და მოსკოველებს მხოლოდ სამი ქულა დააკმაყოფილებთ. თან იმის იმედიც აქვთ, რომ „ვოლფსბურგი" „მანჩესტერ იუნაიტედს" ვერ დაამარცხებს.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ბეშიქთაში (4-2-3-1):** რუშტუ - კაში, თორამანი, ფერარი, იუზულმეზი - ფინკი, ერნსტი - დაგი, ტელო, კოიბასი - ნიჰათი.

**ცსკა (4-2-3-1):** აკინფეევი - ა. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ვ. ბერეზუცკი, შჩენნიკოვი - შემბერასი, ალდონინი - კრასიჩი, ძაგოევი, მამაევი - ნეციდი.

**არბიტრი:** მარტინ ჰანსონი (შვედეთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-5 | 10 |
| 2. ვოლფსბურგი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-5 | 7 |
| 3. ცსკა | 5 | 2 | 1 | 2 | 8-9 | 7 |
| 4. ბეშიქთაში | 5 | 1 | 1 | 3 | 2-6 | 4 |

### C ჯგუფი

### მარსელი-რეალი

მადრიდელებს თამამად შეუძლიათ, შამპანური მატჩის დაწყებამდე ჩააციონ. მართალია, ჯერ კიდევ არსებობს თეორიული შანსი იმისა, რომ „რეალი" ჯგუფში ჩარჩეს, მაგრამ ამისათვის მარსელის „ოლიმპიკმა" სამეფო გუნდი ოთხბურთიანი სხვაობით უნდა დაამარცხოს, რაც, დაგვეთანხმებით, უტოპიაა.

„მარსელი" 2010 წელს აუცილებლად ითამაშებს ევროპაში, მაგრამ საკითხავია, სად, ჩემპიონთა ლიგაში, თუ ევროპის ლიგაში. „რეალის" ოთხბურთიანი სხვაობით დამარცხების თვითონ ველოდრომელებსაც არ სჯერათ. ფაქტია, რომ „მარსელს" მოგება სჭირდება და თან „ციურიხის" ეიმედება, რომელიც „მილანს" ეთამაშება.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**მარსელი (4-4-2):** მანდანდა - ბონარი, დიავარა, ჰაინცე, ტაივო - აბრიელი, მბია, ლუჩო გონსალესი, შეირუ - ნიანგი, ბრანდაო.

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - სერხიო რამოსი, პეპე, ალბიოლი, არბელოა - ჩაბი ალონსო, ლ. დიარა - კ. რონალდო, რაული, მარსელო - იგუაინი.

**არბიტრი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

### ციურიხი-მილანი

„მილანს" უფრო რთულად აქვს საქმე, ვიდრე „რეალს". იმისათვის, რომ „სხვების" დახმარებაზე არ იყვნენ დამოკიდებულები, იტალიელებმა „ციურიხს" უნდა მოუგონ, მაგრამ თუ „მარსელმა" „რეალთან" წააგო, „როსონერის" მერვედფინალში გასასვლელად ციურიხში წაგებაც კი ეყოფა! შეგახსენებთ, რომ პირველ წრეში შვეიცარიელებმა „სან სიროდან" 3 ქულა წაიღეს, მაგრამ ეს არაფერში წაადგათ. „ციურიხის" ერთადერთი მიზანი დღეს ჩემპიონთა ლიგასთან ვაჟკაცური გამოთხოვებაა.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ციურიხი (4-2-3-1):** ლეონი - სტაჰელი, ბარმეტლერი, ტიჰინენი, კოხი - ეგერტერი, ოკონკვო - ფონლანტენი, მარგაირასი, დიურიჩი - ალფონსი.

**მილანი (4-3-3):** დიდა - აბატე, ნესტა, სილვა, ძამბროტა - ამბროზინი, ზეედორფი, პირლო - პატო, ბორიელო, რონალდინიო.

**არბიტრი:** პედრო პროენცა (პორტუგალია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 5 | 3 | 1 | 1 | 12-6 | 10 |
| 2. მილანი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-6 | 8 |
| 3. მარსელი | 5 | 2 | 1 | 2 | 9-7 | 7 |
| 4. ციურიხი | 5 | 1 | 0 | 4 | 4-13 | 3 |

### D ჯგუფი

### ჩელსი-აპოელ

ამ ჯგუფში კი დიდი ხანია, ყველაფერი გარკვეულია. „ჩელსის", როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ადგილი განაღდებული აქვს და აპოელ-თან ერთგვარი ტესტ-მატჩი ელის, „პორტუ" კი მეორე ადგილზეა და მერვედფინალში თამაში ასევე გარანტირებული აქვს. გასარკვევი მხოლოდ ისაა, ვინ ითამაშებს ევროპის ლიგაში - „ატლეტიკო" თუ აპოელ-ი...

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ჩელსი (4-4-2):** ჩეხი - ივანოვიჩი, კარვალიო (ან ბელეტი), ტერი, ე. კოული - ესიენი, ბალაკი, ლემპარდი, დეკუ - ანელკა, დროგბა.

**აპოელ (4-4-2):** კიოტისი - გრნჩაროვი, მორაიში, ჰაში, პურსაიტიდესი - ხარალამბიდისი (ან პაულისტა), პინტუ, კონტისი, ალეშანდრუ - კოსოვსკი, მიროსავლიევიჩი.

**არბიტრი:** მატეო ტრეფოლონი (იტალია)

### ატლეტიკო-პორტუ

...ამ მხრივ „ატლეტიკო" უკეთეს მდგომარეობაშია, რადგან აპოელ-ზე ერთით მეტი ქულა აქვს აქტივში. დღეს კი მადრიდელები „პორტუს" მასპინძლობენ და წესით, მოგება აღარ უნდა გაუჭირდეთ, რადგან „პორტუ" უკვე უმოტივაციოა.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ატლეტიკო (4-4-2):** სერხიო ასენხო - უიფალუში, ხუანიტო, პერეა, ალვარო დომინგესი - რეიესი, სიმაო, ხურადო, ასუნსაო - აგუერო, ფორლანი.

**პორტუ (4-3-3):** ჰელტონი - ფუსილე, ბრუნო ალვეში, როლანდო, ა. პერეირა - ბელუში, ფერნანდო, რაულ მეირელეში - ჰალკი, ფალკაო, მარიანო.

**არბიტრი:** სტეფან ლანუა (საფრანგეთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 5 | 4 | 1 | 0 | 9-2 | 13 |
| 2. პორტუ | 5 | 3 | 0 | 2 | 5-3 | 9 |
| 3. ატლეტიკო | 5 | 0 | 3 | 2 | 3-9 | 3 |
| 4. აპოელ | 5 | 0 | 2 | 3 | 2-5 | 2 |

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხმაურება

# ოთხში ორი ინგლისელი

ფრენკ ლემპარდმა „მანჩესტერ სიტისა“ და „ჩელსის“ შეხვედრაში პენალტი ვერ გაიტანა - პრემიერლიგის ლიდერმა ანგარიშის გათანაბრება ვერ შეძლო და დამარცხდა, ამის შემყურე ინგლისელ მიმომხილველებს კი სულ სხვა რამ გაახსენდათ. მოგეხსენებათ, სეზონი რომ დასრულდება მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება, ლემპარდი კი ინგლისის ნაკრების წევრი და პენალტისტია..

სტატისტიკოსებმა მყისვე ჩაიხედეს დავთრებში და ნახეს, რომ მათი ქვეყნის ეროვნულ გუნდს, 1990 წლის შემდეგ დიდ ტურნირებზე ხუთჯერ გადახდომია პენალტების ლატარია თავს. პირველად ეს „იტალია 90“-ზე მოხდა, როდესაც ინგლისელებმა ნახევარფინალში გერმანიის, უფრო სწორად კი მაშინ ჯერ კიდევ დასავლეთ გერმანიის ნაკრებთან 4:3 წააგეს. შემდეგ იყო „ევრო 96“ სადაც იგივე განმეორდა: ნახევარფინალში გერმანიასთან წაგება. მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატზე ინგლისი მეორე ეტაპზე 4:3 დამარცხდა არგენტინასთან, ევრო 2004-ზე კი მეოთხედფინალში პორტუგალიასთან მოეცარა ხელი (6:5). დაბოლოს, მსოფლიოს 2006 წლის პირველობაზე კვლავ პორტუგალიასთან და კვლავ მეოთხედფინალში წააგო - 3:1.

თუმცა, დავუბრუნდეთ ლემპარდს, რომლის მიერ შესრულებული თერთმეტმეტრიანი დარტყმის შემყურე „მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელს, **მარკ ჰიუზს** დარჩა შთაბეჭდილება, რომ ინგლისელთა პენალტისტს ნერვების პრობლემა აქვს. დაამატეთ ამას ის, რომ იმავე ტურში, „ევერტონისა“ და „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ შეხვედრაში პენალტი ვერც ტოტენჰემელმა **ჯერმაინ დეფომ** შეაგდო და გაგიჩნდებათ ეჭვი, რომ ნაკრების მწვრთნელმა **ფაბიო კაპელომ** რაღაც უნდა მოიფიქროს.

ეჭვი არ არის, ინგლისელების იტალიელმა მწვრთნელმა კარგად იცის იმ ხუთი დიდი ხელმოცარვის ამბავი, რომელიც ზემოთ ჩამოგითვალეთ, ხოლო იმან, რომ ჩვეულებრივ საიმედო ლემპარდმა ვერ გაიტანა, მხოლოდ „ჩელსის“ ქომაგთა შორის კი არა, მთელ ინგლისში გამოიწვია შეშფოთება და ჩურჩული. წელან რომ ჰიუზი ვახსენეთ, მან ბრძანა:

*„ფრენკს კარგად ესმოდა 83-ე წუთზე დანიშნული პენალტის მნიშვნელობა. გოლი რომ გაეტანა, ეს იქნებოდა შეხვედრის მთავარი ეპიზოდი და ვინ იცის, სწორედ ამ ამბავმა დაძაბა ის, ცოტა არ იყოს, ზედმეტად“.*

ლემპარდმა პენალტი უსუსურად რომ შეასრულა თვით „ჩელსის“ იტალიელმა თავკაცმა **კარლო ანჩელოტიმაც** კი აღნიშნა.

*„ეს იყო ცუდად დარტყმული პენალტი. ფრენკს უნდა გაეტანა, არ მეთანხმებით? პენალტი გოლის გასატანად საუკეთესო საშუალებაა და ჩვენ ის ვერ გამოვიყენეთ“.*

გავიხსენოთ მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატი, სადაც, როგორც მოგახსენეთ, ინგლისის ნაკრებმა პენალტების სერიაში პორტუგალიასთან წააგო. მაშინ თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან ვერ გაიტანეს **სტივენ ჯერარდმა, ჯეიმი კარაგერმა** და უკვე ხსენებულმა ლემპარდმა. როგორც ხედავთ, „ჩელსის“ ნახევარმცველისთვის ეს პენალტიდან ვერგატანის პირველი შემთხვევა არ იყო, მაგრამ მას გერმანელი თანაგუნდელი **მიხაელ ბალაკი** გამოექომაგა. თან იხუმრა:

*„გასულ კვირაში მეც ვერ გავიტანე პენალტი. აი, ახლა ფრენკსაც მოეცარა ხელი და, როგორც გავიგე, კიდევ ერთ ვარსკვლავს აუცილებია მიზნისთვის. რას იზამ, ფეხბურთია და ასეთი რამეები ხდება. ხომ ხედავთ, ჩვენ, გერმანელებიც კი ვაცილებთ ხანდახან“.*

რასაკვირველია, პენალტი გახლავთ საფეხბურთო ეპიზოდი, რომელიც ბურთის კარში შევარდნით უნდა დამთავრდეს და თუ ასე არ ხდება, ეს იმას ნიშნავს, რომ თავად დარტყმა გამოვიდა უხეირო. და მაინც, ნუ დავუკარგავთ ამაგს მეკარესაც. ლემპარდის შემთხვევაში ლაპარაკია **შეი გივენზე**, რომელსაც მეკარეების მწვრთნელ **კევინ ჰიჩკოკთან** ერთად „ლურჯების“ ნახევარმცველის სტილი საგანგებოს შეუსწავლია და მომზადებულა. ჰიუზმა დასძინა:

*„ამას მარტო „მანჩესტერ სიტიში“ როდი ვაკეთებთ. ჩვენ ისეთი დონის შეჯიბრებაში ვმონაწილეობთ, რომ ვალდებულნი ვართ ყველა წვრილმანი შევისწავლოთ და გავითვალისწინოთ. ხანდახან, დიდი გამარჯვება შეიძლება, ერთი შეხედვით, სულ უმნიშვნელო დეტალმა მოიტანოს“.*

შეი გივენი: *„იმაში, რომ დღეს მე პენალტი მოვიგერიე, დიდი დამსახურება კევინ ჰიჩკოკს მიუძღვის. ეს მან შეისწავლა, როგორ ურტყამს ლემპარდი და მამეცადინა როგორ უნდა მოვქცეულიყავი იმ შემთხვევაში თუ „ჩელსისთან“ შეხვედრაში ჩვენს კარში პენალტს დანიშნავდნენ“.*

როგორც მოგახსენეთ, პრემიერლიგის მეთხუთმეტე ტურში ინგლისის ნაკრების ფეხბურთელთაგან პენალტი „სფურზის“ ჯერმაინ დეფომაც ვერ გაიტანა. ის თერთმეტმეტრიანის დასარტყმელად იმიტომ მივიდა, რომ **რობი კინი** სათადარიგოთა სკამზე იჯდა. დეფომ პირდაპირ დაარტყა, ამერიკელმა მეკარე **ტიმ ჰოვარდმა** კი ბურთი ფეხით მოიგერია.

აღსანიშნავია, რომ ამ უქმეებზე, პრემიერლიგაში, ფეხბურთელებმა ოთხი პენალტი ვერ გაიტანეს. ინგლისელი მიმომხილველები ღმერთს მადლობას ეუბნებიან, რომ ლემპარდისა და დეფოს გარდა ამცილებელთაგან მათი თანამემამულე მეტი არავინ ყოფილა. დანარჩენი ორიდან ერთი გახლდათ სპილოსძვლისნაპირელი ანუ იგივე კოტდივუარელი **არუნა დინდანე**, ხოლო მეორე ესპანელი **სესკ ფაბრეგასი**. დინდანემ „ბარნლისთან“ შეხვედრაში „პორტსმუთის“ მესამე გოლი ვერ შეაგდო, ხოლო ფაბრეგასმა „სტოკთან“ თამაშში ვერ გააკეთა იგივე - ორივე შეხვედრა 2:0 დასრულდა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ტური ინგლისელთათვის მხოლოდ პენალტების თვალსაზრისით არ ყოფილა უიღბლო. გადახედეთ ტრავმებს: „მანჩესტერ სიტის“ **უეინ ბრიჯმა** მუხლის მყესი დაიზიანა და ახალ წლამდე ველარ ითამაშებს, მუხლი იტკინა მისმა თანაგუნდელმა **მიკა რიჩარდსმაც**, თუმცა, დეტალურმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ისტლენდელი მალე გამოჯანმრთელდება. კარგი ამბები თქვეს **ჯონ ტერის** ექიმებმაც. ისინი დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ „ჩელსისა“ და ინგლისის ნაკრების მუხლნატკენი კაპიტანი შემდეგ ტურში მოედანზე იქნება.



ფრენკ ლემპარდის უხეირო პენალტი



პენალტი, რომელიც ჯერმაინ დეფომ ვერ გაიტანა

# მაინც, რომელს უნდა მოეგო?

რაჩაიდინა „ტოტენჰემმა“ კვირა საღამოს ქალაქ ლივერპულის „გუდისონ პარკზე“, „ლელოს“ მკითხველებს კარგად მოგეხსენებათ - ლონდონელები „ევერტონს“ 2:0-ს უგებდნენ, მაგრამ ორი გოლი გაუშვეს და მოგება ქარს გაატანეს. ამას დაამატეთ ისიც, რომ შეხვედრის მიწურულს სტუმრებს მოგების კიდევ ერთი შანსი მიეცათ, მაგრამ რად გინდა - **ჯერმაინ დეფომ** პენალტი ვერ გაიტანა. ჰოდა, რა გასაკვირია, ლონდონელთა თავკაცი **ჰარი რედნაპი** მეტისმეტად რომ განრისხებულიყო, თუმცა თავის მოთამაშეებზე არანაკლებ, მწვრთნელი ტელევიზორიდან ყურმოკრულმა ფრაზამ გააღიზიანა. მის გუნდს ცუდი უწოდეს.

უფრო ზუსტად ასე იყო: როდესაც მატჩის შემდეგ რედნაპი საპრესკონფერენციო ოთახში ჟურნალისტებთან სალაპარაკოდ შევიდა, ტელევიზორში Sky-ის მიმომხილველი **რიჩარდ კეისი** ასრულებდა შეხვედრის იმ ნაწილის ანალიზს, რომელშიც „ტოტენჰემმა“ დამსახურებული უპირატესობა მოიპოვა. ამის შემდეგ კი ტელეწამყვანმა თქვა, ახლა, მოდი, ცუდი „ტოტენჰემი“ ვნახოთო და მატჩის იმ ნაწილზე გადავიდა, როდესაც ლონდონელებმა ორი გოლი გაუშვეს და, როგორც მოგახსენეთ, პენალტი ვერ გაიტანეს.

სწორედ ამან გააბრაზა რედნაპი, რომელიც დარწმუნებულია, რომ მისი გუნდის ეს ხელმოცარვა სულაც არ აყენებს ეჭვქვეშ „სფურზის“ კლასსა და პრემიერლიგის ტოპოთხეულში შესვლის შესაძლებლობას. შესაძლოა, რედნაპის ნათქვამში საკუთარი თავის გამომრიცხავი მოსაზრებებიც იპოვოთ, მაგრამ აქ უკვე ჩვენ ვერაფერს ვიზამთ.

*„სულაც არ ვფიქრობ, რომ შემაძრწუნებლად ბევრი შეცდომა დავუშვით. 2:0-ზე თამაში დამთავრებული იყო. მეტიც, რამდენჯერმე კიდევ ერთი გოლის გატანა და ანგარიშის 3:0-მდე გაზრდაც კი შეგვეძლო. მაგრამ ამ დროს დაუდევრობის გამო გოლი გავუშვით, რის შედეგადაც ანგარიში 2:1 გახდა, რაც უკვე სახიფათო გახლდათ. ასეთმა ანგარიშმა ევერტონელებსაც ჩაუსახა იმედი, იმპაზე მოიყვანა და მთელი ძალებით შემოგვიტიეს კიდეც. და აქ, რატომღაც კიდევ ერთი საცოდავი გოლი გავუშვით. არადა, თუ გახსოვთ, მსაჯის დამატებულ დროშიც კი გვქონდა მომენტები, გამარჯვება სულ ბოლო წამამდე შეგვეძლო. ახლა რაც შეეხება პენალტს, რომელიც ვერ გავიტანეთ. ჩვენი გუნდის პენალტისტი, ტრადიციულად, რობი კინია, მაგრამ ის დღეს მოედანზე არ იყო და ამიტომ დარტყმა ჯერმაინ დეფოს ვთხოვეთ. ვიფიქრეთ, რომ დეფო ამ შეხვედრაში კიდევ ერთ გოლს გაიტანდა. სამწუხაროდ, მისი დარტყმული ბურთი მეკარეს ფეხებში მოხვდა. რა გაეწყობა, ასეთი რამ ხდება ხოლმე და ამას, შეძლებისდაგვარად, მშვიდად უნდა შეხედო. ბოლოს და ბოლოს, „ჩელსიში“ ფრენკ ლემპარდმა ვერ გაიტანა პენალტი. როდის მოხდა ასეთი რამ ბოლოს, ვინმეს ახსოვს? (ცნობისთვის, რედნაპი ლემპარდის დეიდის ქმარია) მაგრამ დღევანდელმა ფრემ მაინც ძალიან დამწყვიტა გული, რადგან მოწინააღმდეგეს მთელი 80 წუთის განმავლობაში აშკარად ვჯობდით“.*

თავისი კოლეგისგან განსხვავებით, „ევერტონის“ მწვრთნელს, დევიდ მოიესს არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო იმისა, რომ ტელევიზიით მატჩის გმირად მისი მცველი **სიმუს კოულმენი** დაასახელეს. აბა, რატომ უნდა ჰქონოდა საწინააღმდეგო, როდესაც გამოუცდელმა, 21 წლის სათადარიგო ფეხბურთელმა ლივერპულელთა ორივე გოლში მიიღო მონაწილეობა.

მოიესმა თქვა: *„ტელემიმომხილველები საკმაოდ კარგად აფასებენ თამაშს. კოულმენი მართლაც ფანტასტიკური იყო, მან თამაში შემოატრიალა და დამარცხებისგან გვიხსნა. ჩვენ ძალიან ძლიერად ვიბრძოლეთ, 2:0 ჩამორჩენა 2:2 ფრედ ვაქციეთ და, მე თუ მკითხავთ, ანგარიშის გათანაბრების შემდეგ, თუკი ვინმეს გამარჯვება შეეძლო და ეკუთვნოდა, ეს ჩვენ ვიყავით. რაც შეეხება ყბადაღებულ პენალტს, დარწმუნებული ვარ, რომ ის საერთოდ არ იყო დასანიშნი. ორი ფეხბურთელი ბურთზე გაიწია და ერთმა მეორეს მიასწრო... მოკლედ პენალტი თითიდან იყო გამოწოვილი და „ტოტენჰემს“ რომ გაეტანა, დიდი უსამართლობა იქნებოდა“.*

კონფლიქტი

# მიდი, მოადე!



ტონი პულისი

ინგლისელი ჟურნალისტებისთვის დაფარული არაფერი რჩება: გაირკვა, რომ „ემირეიტ სთედიუმზე“, შაბათს, „არსენალთან“ 2:0 დამარცხების შემდეგ, „სტოკ სიტის“ მწვრთნელი **ტონი პულისი** და ფეხბურთელი **ჯეიმს ბიტი** ერთმანეთს დაეტაკნენ. მიზეზი: მწვრთნელს ფეხბურთელებისთვის ორშაბათს დამატებითი ვარჯიში დაუნიშნავს.

მავანმა შეიძლება იკითხოს, რად უნდა ლაპარაკი „სტოკი“ „არსენალთან“ რომ წააგებდა, ამის გულისთვის ჩხუბი როგორ შეიძლებოდაო, მაგრამ ნუ იჩქარებთ. ახლავე მოგახსენებთ, სინამდვილეში რა მოხდა და რატომ დასჭირდათ ფეხბურთელებს 51 წლის მწვრთნელისა და 31 წლის თავდამსხმელის გაშველება, თან რამდენჯერმე.

როგორც ინგლისური ტაბლოიდები იუწყებიან, შაბათს, ლონდონში (როგორც ჩანს, „არსენალთან“ თამაშის შემდეგ) „სტოკ სიტის“ ფეხბურთელებს საშობაო ქეიფი ჰქონიათ დანიშნული. ჰოდა, „ემირეიტზე“, გასახდელში შესულ და სავარაუდოდ, წაგებით გაღიზიანებულ პულისს გამოუცხადებია, რომ ორშაბათი - რომელიც წინასწარი შეთანხმებით დასვენების დღე უნდა ყოფილიყო - გამოსასვლელი აღარ იქნება და ყველანი ვარჯიშზე უნდა გამოცხადნენ. ამას, ვეტერანი ბიტი, რომელსაც 2003 წელს ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში 5 თამაში აქვს ჩატარებული, გაუბრაზებია და მწვრთნელისთვის შეუღრენია. მწვრთნელსაც უპასუხია, ვალში არც ერთი დარჩენილა, რასაც მოჰყოლია და მოჰყოლია.

რასაკვირველია, „სტოკ სიტის“ ბანაკში ამტყდარი ჩხუბი (როგორც გითხარით, მწვრთნელი და ფეხბურთელი მუშტებით გაექაჩნენ ერთმანეთს) კითხვებს ბადებს: რა ბედი ეწევა ამიერიდან ბიტის? დატოვებს მას მწვრთნელი გუნდში? შეგახსენებთ, რომ პულისმა ბიტი ამა წლის იანვარში „შეფილდ იუნაიტედისგან“ 3,5 მილიონ ფუნტად იყიდა.

ადრე ბიტი თამაშობდა „ბლექბერნში“, „საუთჰემპტონსა“ და „ევერტონში“. როგორც საქმეში გარკვეული ადამიანები ამბობენ, შაბათამდე მას და „სტოკის“ მწვრთნელს შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდათ.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



ჯეიმს ბიტი




დრამა ლილში

# ლიონის ძაღლური ცხოვრება

გარდა იმისა, რომ საფრანგეთის პირველობა სიურპრიზებით ალსავსეა, ორ-სამ ტურში ერთხელ ლიგა 1 ერთ სუპერთამაშს მაინც გვჩუქნის გულშემატკივრებს - ამჯერად, ასეთი საფრანგეთის უკიდურეს ჩრდილოეთში გამართული „ლილი"-"ლიონის" შეხვედრა გამოდგა. გუნდებმა 7-გოლიანი ტრილერი შემოგვთავაზეს, „ლე დოგო" („ძაღლები", „ლილის" მეტსახელია) უკვე 35-ე წუთისთვის 1:3-ს აგებდა ფავორიტთან. სამივე გოლი სტუმართაგან არგენტინელი **ლისანდრო ლოპესის** ანგარიშზეა. წარმოიდგინეთ, ფორვარდმა მატჩის დასაწყისშივე ჰეტ-თრიკი შეასრულა და მისმა გუნდმა მაინც წააგო - 3:4. მატჩის გმირიც სხვა გახდა, კოტ დ'ივუარის ნაკრებისა და „ლილის" ფორვარდი **ჟერვაის იაო კოუასი,** რომელსაც გულშემატკივარი **ჟერვინიოს** სახელით იცნობს.

შვიდგზის ჩემპიონმა ანგარიში მე-2 წუთზე გახსნა, **კიმ კალსტრიომის** პასს პენალტის ნიშნულთან ლისანდრო ლოპესმა მიუსწრო, შემოტრიალდა და აულებლად დაარტყა. 20 წუთში ლისანდრომ დუბლი შეასრულა, **ლუდოვიკ ობრანიაკმა** ხელით ითამაშა საჯარიმოში და ლოპესმა პენალტი გაიტანა. ორ წუთში სამგზის ჩემპიონმა ერთი გოლით უპასუხა „ლიონს", **უგო ლორისმა იოან კაბაიეს** თავური კი მოიგერია, მაგრამ **პიერ-ალენ ფროს** დარტყმულს ველარაფერი მოუხერხა. 35-ე წუთზე ლოპესის ჰეტ-თრიკიც შედგა - ასისტენტი ისევ კალსტრიომი იყო, ლისანდრო მცველებს გასცდა და **მიკაელ ლანდროს** ახლო კუთხეში გაუტანა - 1:3.

ეს შედეგი, მიუხედავად „ლილის" გაafთრებული შეტევებისა, ტაიმში ალარ შეცვლილა. მეორე ტაიმის მე-8 წუთზე ჟერვინიოს დროც მოვიდა. აფრიკელი აქამდეც ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე, ახლა კი საერთოდ ველარ გააჩერეს. **რიო მავუბას** შორეული პასის შემდეგ ჟერვინიომ **ჟან-ალენ ბუმსონგიც** მოატყუა, უგო ლორისს კი ბურთი თავზე გადაუგდო.

70-ე წუთზე „ძაღლებმა" გაათანაბრეს - ლიონელებმა საჯარიმოში **მატიო დებიუში** წააქციეს და იოან კაბაიემ პენალტი უნაკლოდ შეასრულა - 3:3. მაგრამ მთავარი წინ გველოდა, ლორისმა სასწაულებრივ აულო ბელგიელ თინეიჯერ **ედენ ჰაზარდს,** შემდეგ კი - ჟერვინიოს. მაგრამ მატჩის მე-2 დამატებულ წუთზე საფრანგეთის ნაკრების გოლკიპერიც უძლური იყო, რამე ელონა - ჰაზარდმა სისწრაფეში დაჩაგრა **ფრანსის კლერი,** „მოჰპარა" მას ბურთი და იუველირული სიზუსტით გადააწოდა ჟერვინიოს, რომელსაც მხოლოდ ბურთისთვის ფეხის დახვედრებაღა დასჭირდა - 4:3. უცუდესი სტარტის მერე **რუდი გარსიას** გუნდი ნელ-ნელა გამოდის კრიზისიდან, ბოლო 4 მატჩიდან „ძაღლებმა" 3 მოიგეს და მე-10 ადგილზე გადაინაცვლეს. „ლიონი" 26 ქულით მეოთხეა. სხვათა შორის, „ეკიპმა" ლისანდრო ლოპესს საფრანგეთის საუკეთესო ფეხბურთელი უწოდა.

**რუდი გარსია:** *„ჩვენ დღეს ორი ექსტრაკლასის ფეხბურთელის გუნდი დავამარცხეთ. მხედველობაში ლისანდრო ლოპესი და უგო ლორისი მყავს. უდიდესი მატჩი იყო, რომელშიც დიდი სულიერი სიძლიერე გამოვავლინეთ და ამის ხარჯზე ვიმარჯვეთ".*

ერთი თვის წინათ „ლიონმა" „მარსელთან" საუკუნის მატჩი ითამაშა, როცა 2:4-ის მერე შეხვედრა 5:5 დასრულა. **კლოდ პუელი** განბილებული ჩანდა: *„შესანიშნავი შანსი გვქონდა 4:1 დავწინაურებულიყავით, მაგრამ არ გამოვიყენეთ. რაღაც დაიკარგა, ვერც ნერვებს ვაკონტროლებდით და ვერც ბურთს. მატჩის სადავეები ხელიდან ასე როგორ უნდა გაგვეშვა".* შარშანდელ სეზონში ფრანგული პრესა ბევრს აკრიტიკებდა პუელს, რადგან გუნდი ნაკლებად სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობდა. ახლა სანახაობა იმდენია, მთელ სეზონს ეყოფა - „ლიონის" 15 შეხვედრაში 49 გოლი გავიდა, შედეგი ოდნავ მოისუსტებს, „ლიონი" ლიდერ „ბორდოს" 5 ქულით ჩამორჩება. საფრანგეთის ჩემპიონატის მოყვარულებს შემდეგ ტურში არანაკლები სანახაობა ელით - „სტად ჟერლანს" ქვეყნის ჩემპიონი და ერთპიროვნული ლიდერი „ბორდო" ეწვევა.

„ბორდომ" ტურის ცენტრალურ მატჩში „პარი სენ ჟერმენი" მინიმალური სხვაობით დაამარცხა - 1:0. მატჩის გმირი 27 წლის ჩეხი ნახევარმცველი **იაროსლავ პლაშილი** გახდა, რომელმაც 24-ე წუთზე გამარჯვების გოლი გაიტანა. „პარი სენ ჟერმენს" „სტად შაბანდელმაზე" 2005 წლის მერე არ მოუგია. პლაშილმა 22-ე წუთზე **ბენუა ტრემულინასის** ჩაწოდებას თავური დაუხვედრა, ასე გავიდა გამარჯვების გოლი. 77-ე წუთზე გუნდის ლიდერ **იოან გურკუფს** უპირატესობის ორამდე გაზრდა შეეძლო, მან ერთმანეთზე მიაწყო მცველები, მაგრამ შემდეგ უადვილესი პოზიციიდან ააცილა ბურთი.

**ლორან ბლანი:** *„პირველ ტაიმში ჩვენ ვაჯობეთ თამაშით მეტოქეს, მეორეში უკვე „პარი სენ ჟერმენმა" იმძლავრა. ძალიან მოხარული ვარ იმ თამაშით, რაც პირველ ტაიმში ვაჩვენეთ, მნიშვნელოვანი გოლიც გავიტანეთ, მაგრამ მეორეში წავაგეთ მოედნის ცენტრი. სხვა გზა არ გვქონდა, კონტრშეტევებზე უნდა გვეთამაშა. სიმართლე ითქვას, შედეგი არაკანონზომიერია, მეტოქე ქულას იმსახურებს. ორივე გუნდმა შემტევი, ღია თამაში ითამაშა. დარწმუნებული ვარ, გულშემატკივრებმა ისიამოვნეს ასეთი ფეხბურთით".*

**ანტუან კამბუარე:** *„მწარე მარცხია, სავსებით ვიმსახურებდით ფრეს. გაშვებული გოლი თამაშის მიმდინარეობიდან ამოვარდნილი იყო და უფრო ჩვენი სულელური შეცდომების ნაყოფია. ჩვენი გეგმა ასეთი იყო, „ბორდოსთვის" შეგვეტია და კვეიძულებინა ჩემპიონი უმთავრესად თავის დაცვაზე ეზრუნა. რაც შევასრულეთ კიდეც. როგორც ჩანს, თავისი შედეგი მაინც მათი ვარსკვლავების ინდივიდუალურმა კლასმა გამოილო. დასანანია, რომ მუხლის ტრავმის გამო შეტევაში ერდინგი დავკარგეთ".*

**დიდიე დეშამის** „მარსელმა" სტუმრად 10 კაცის ამარა დარჩენილი „ნიცა" დაამარცხა - 3:1. **მამადუ ნიანგი** „ნიცოლოგად" იქცა, ფორვარდმა ამ კლუბთან მე-6 დაპირისპირებაში მე-6 გოლი გაიტანა. სხვა გოლები **ლუჩო გონსალესის** და **ბაკარი კონეს** ანგარიშზეა.

**დიდიე დეშამი:** *„პირველ ტაიმში მეტოქე გაგვიძალიანდა, საპასუხო გოლიც გაიტანა. მეორეში კი კარგად ვითამაშეთ. ძალიან ბევრი ქულა დავკარგეთ, ასე რომ, მიზანი ასეთი გვაქვს - დეკემბერში ქულა არ უნდა დავკარგოთ".*

224-დღიანი შესვენების შემდეგ ლიგა 1-ში პირველად მოიგო „გრენობლმა", ბუნებრივია, ეს გუნდის პირველი გამარჯვებაა ამ სეზონში. სხვათა შორის, „გრენობლს" უკვე ოთხი თამაშია არ წაუგია, ამ ტურში კი მათი მსხვეპრლი საკმაოდ ყოჩაღი „ტულუზი" აღმოჩნდა.

ცოტაოდენი სტატისტიკაც - „მონპელიემ" ზედიზედ მე-6 მატჩი მოიგო, მაშინ როცა მისი მეტოქე „ლე მანი" უკვე 8 ტურია ვერ იგებს. **გიორგი მაკარიძის** გუნდს ჯერ ქულაც კი არ მოუპოვებია სტუმრად.

„ეკიპის" XVI ტურის სიმბოლური ნაკრები: **ჟანო** (სენტ ეტიენი, 8.0) - **მატერი** (ვალანსიენი, 7.0), **ფანი** (რენი, 7.0), **ლაშო** (ბულონი, 7.0), **ბაალი** (ლე მანი, 7.0) - **აბრიელი** (მარსელი, 7.0), **პლაშილი** (ბორდო, 7.0), **პიტრო** (მონპელიე, 7.0) - **გუფრანი** (ბორდო, 7.0), **ლოპესი** (ლიონი, 8.0), **ოდელი** (ვალანსიენი, 8.0).

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### მომდევნო ტური

**12 დეკემბერი. ლე მანი-ვალანსიენი, ლანსი-ნიცა, მარსელი-ბულონი, ნანსი-რენი, ლორიანი-ოსერი. 13 დეკემბერი. მონაკო-მონპელიე, პარი სენ ჟერმენი-სენტ ეტიენი, სოშო-გრენობლი, ტულუზი-მონპელიე, ლიონი-ბორდო.**

### რენი-ლორიანი 1:0

**რენი (4-3-3):** დუშეზი - დანზე, ფანი, ჰანსონი, ბოკანეგრა - ლემოანი, მეილა, ტეტეი - სოუ (67. ბანგურა), ასამოა გიანი (84. კემბოეკოკო), მარვო (87. ტეოფილი).

**ლორიანი (4-4-2):** კაპონი - ბაკა, ჭარშალი, კოშილნი, ლე ლანი - ამალფიტანო, დიუკასი (70. საკუვაჰა), მვუემბა, მონტერუბიო (54. დიარა) - ვაირუა (84. ფანშონი), გამეირო.

**გოლი:** 1:0 სოუ (3)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 6-7; **ჯარიმა:** 14-16; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 25-9 (11-0); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 24 459

### მონპელიე-ლე მანი 2:1

**მონპელიე (4-3-3):** ჟურდრენი - იანგამბივა, ჯოდიჩი, სპაჰიჩი, ჟენშამი (51. კოლინი) - მარვო (77. საიჰი), პიტრო, კოშტა - ბელჰანდა (65. კომპანი), კამარა, აიტ-ფანა.

**ლე მანი (4-2-3-1):** მაკარიძე - ლუვიონი (61. კორჩია), ანდრადე, სერდანი, ბაალი - ლორიო (61. ლამა), კეიტა - დოსევი, ტომასი, ლე ტალეკი - მაიგა.

**გოლები:** 1:0 აიტ-ფანა (12), 1:1 ლე ტალეკი (62), 2:1 კომპანი (73)

**გაძევება:** დოსევი (43. ლე მანი)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 19-16; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 13-10 (8-3); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 13 272

### ვალანსიენი-მონაკო 3:1

**ვალანსიენი (4-3-2-1):** ნდი ასემბე - მატერი, ბიზევაცი, შმიტცი, ტიენე - კოადი (88. ბალდე), გომისი, სანჩესი - დიუკურტუა (68. ბენ ხალფალაჰი), ოდელი - პუჟოლი (75. სამასა).

**მონაკო (4-2-3-1):** რუფიე - ადრიანო, მონგონგუ, პიუგრენიე, ლოლო - პერესი, კოშტა - მოლო (87. ნიმანი), კუტადო (35. ჰარუნა), ნენე - პარკი.

**გოლები:** 1:0 დიუკურტუა (27), 1:1 ნენე (50-პენ), 2:1 სამასა (85), 3:1 ბენ ხალფალაჰი (94)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 21-13; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 20-11 (7-6); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 12 466

### ნიცა-მარსელი 1:3

**ნიცა (4-2-3-1):** ოსპინა - მაბიალა, აპამი, პეისლი, გასი - კულიბალი (83. ტრაორე), დიაკიტე - ფაე (83. ბენ საადა), ელბიკი, მუნიე (83. მულუნგუი) - ბაგაიოკო.

**მარსელი (4-4-2):** მანდანდა - ბონარი (82. კაბორე), დიავარა, ჰაინცე, ტაივო - აბრიელი, სისე (66. ვალბუენა), გონსალესი, შეირუ - ბრანდაო, ნიანგი (85. კონე).

**გოლები:** 0:1 ნიანგი (19), 1:1 კულიბალი (31), 1:2 გონსალესი (76), 1:3 კონე (86)

**გაძევება:** აპამი (45. ნიცა)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 22-25; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 5-10 (1-5); **ბურთის ფლობა:** 32%-68%.

**მაყურებელი:** 15 047

### სენტ ეტიენი-სოშო 0:0

**სენტ ეტიენი (4-4-1-1):** ჟანო - ოტკო, ბენალუანი, ნდავი, მატუიდი - მირალაში (71. პაიე), ფერნანდესი, ლანდრინი, საკო (84. რივიერი) - ილანი - ბერხესიო.

**სოშო (4-3-3):** რიშერი - სტევანოვიჩი, ფატი, პერკისი, დრამე - მარტინი, კარლაო, დალმა - მორის-ბელაი (79. ნოგეირა), სვერკოში (79. ბუტენი), მიკარი.

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 19-10; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 18-11 (4-5); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 21 518

### ბორდო-პარი სენ ჟერმენი 1:0

**ბორდო (4-1-3-2):** კარასო - შალმე, სიანი, პლანიუ, ტრემულინასი - დიარა - პლაშილი, გურკუფი, სერტიჩი (66. ტრაორე) - გუფრანი, შამახი.

**პსჟ (4-2-3-1):** ედელი - სეარა, ტრაორე, სახო, არმანი - მაკელელე (76. ჟალე), კლემანი (68. სანხარე) - შანტომი, ლუინდულა, ხესენიონი - ერდინგი (32. მორისი).

**გოლი:** 1:0 პლაშილი (24)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 14-21; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 12-7 (4-1); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 32 826

### ოსერი-ნანსი 1:3

**ოსერი (4-4-2):** სორენი - ენგბარი, კულიბალი, მინიო, გრიხტინგი (85. ლეჟონი) - ბირსა, ნდინგა, შაფნი (65. ბურჟუა), კაპუე (46. ოლიეჩი) - ნიკულაე, კონტუტი.

**ნანსი (4-2-3-1):** ბრასილიანო - მაკალუსო, ოადო, ანდრე ლუისი, ლემაიტრი (4. ტრაორე) - კა, ბერენგერი - ბრიზონი, დია (85. ფერე), მალონგა (79. ლოტიე) - ჰაჯი.

**გოლები:** 0:1 ანდრე ლუისი (25), 1:1 ბირსა (35), 1:2 ოადო (50), 1:3 ჰაჯი (87)

**გაძევება:** კა (90. ნანსი)

**გაფრთხილება:** 3-5; **კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 12-18; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 13-8 (5-4); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 10 483

### გრენობლი-ტულუზი 1:0

**გრენობლი (4-3-3):** ლე კრომი - კალვე, სესარი, პაილო, სოჟე - დიოზი, აკრური, მაკე - ბატლე, ლიუბოია, მატსუი (86. რავე).

**ტულუზი (4-1-4-1):** ბლონდელი - ებონდო, კაპუე, ნუნკეუ, მბენგუე - ბერსონი (85. სუკუნა) - ბრაატენი (76. მაშადო), სისოკო, დიდო, ტაბანუ (85. ნგადი კაკუ) - ჟინიაკი.

**გოლი:** 1:0 დიოზი (81)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 4-10; **ჯარიმა:** 12-22; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 13-16 (5-7); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 13 865

### ბულონი-ლანსი 2:1

**ბულონი (5-4-1):** ბედენიკი - ადეფემი, პერინელი, ლაშო, დემბელე, ნდიაე - ლეკოინტი (77. ბორნი), და როშა (85. სუმარე), მარკი, კუვილიე - კარუჩუ (62. დიუკატელი)

**ლანსი (4-2-3-1):** რუნიე - დემონი, იაია, სარტრი, რამოსი - ერმაში (70. ჟემაა), სოუ (46. კოვაჩევიჩი) - ბუკარი, რუდე, აკალე (46. მონე-პაკე) - ედუარდო.

**გოლები:** 0:1 დემბელე (22-საკ. კარში), 1:1 კარუჩუ (40), 2:1 სარტრი (45-საკ. კარში)

**გაძევება:** ნდიაიე (18. ბულონი)

**გაფრთხილება:** 5-2; **კუთხური:** 1-7; **ჯარიმა:** 18-16; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 9-16 (3-3); **ბურთის ფლობა:** 26%-74%.

**მაყურებელი:** 13 719

### ლილი-ლიონი 4:3

**ლილი (4-3-3):** ლანდრო - ვანდამი, რამი, ჩედჯუ, დებიუში - ბალმონი (64. დე მელო), მავუბა, კაბაიე - ობრანიაკი (87. ტურე), ფრო (65. ჰაზარდი), ჟერვინიო.

**ლიონი (4-4-2):** ლორისი - გასამა (80. კლრერი), კრისი, ბუმსონგი, რევეიერი - გოვუ, მაკუნი, პიანიჩი (73. დელგადო), კლასტრიომი - ლ. ლოპესი, გომისი (60. ედერსონი).

**გოლები:** 0:1 ლოპესი (2), 0:2 ლოპესი (21-პენ), 1:2 ფრო (24), 1:3 ლოპესი (35), 2:3 ჟერვინიო (53), 3:3 კაბაიე (70-პენ), 4:3 ჟერვინიო (92)

**გაფრთხილება:** 3-5; **კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 14-23; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 23-11 (14-3); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 14 031

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორდო | 15 | 10 | 1 | 4 | 24-10 | 31 |
| 2. მონპელიე | 14 | 8 | 3 | 3 | 23-17 | 27 |
| 3. ვალანსიენი | 15 | 8 | 2 | 5 | 27-21 | 26 |
| 4. ლიონი | 15 | 7 | 5 | 3 | 27-22 | 26 |
| 5. ოსერი | 15 | 8 | 2 | 5 | 16-14 | 26 |
| 6. ლორიანი | 15 | 7 | 4 | 4 | 24-14 | 25 |
| 7. მარსელი | 14 | 7 | 4 | 3 | 26-17 | 25 |
| 8. რენი | 15 | 6 | 5 | 4 | 21-14 | 23 |
| 9. პსჟ | 15 | 6 | 4 | 5 | 23-16 | 22 |
| 10. ლილი | 15 | 6 | 4 | 5 | 22-19 | 22 |
| 11. მონაკო | 14 | 7 | 1 | 6 | 17-16 | 22 |
| 12. ტულუზი | 15 | 6 | 3 | 6 | 15-12 | 21 |
| 13. ნანსი | 15 | 6 | 2 | 7 | 21-23 | 20 |
| 14. ნიცა | 15 | 6 | 2 | 7 | 17-25 | 20 |
| 15. სოშო | 14 | 6 | 1 | 7 | 14-19 | 19 |
| 16. ლანსი | 15 | 5 | 3 | 7 | 15-23 | 18 |
| 17. სტ. ეტიენი | 15 | 4 | 3 | 8 | 11-18 | 15 |
| 18. ბულონი | 15 | 3 | 3 | 9 | 13-29 | 12 |
| 19. ლე მანი | 15 | 2 | 3 | 10 | 13-23 | 9 |
| 20. გრენობლი | 15 | 1 | 3 | 11 | 9-26 | 6 |

**ბომბარდირები:** 10 - ნენე (მონაკო); 8 - ასამოა გიანი (რენი), ლ. ლოპესი (ლიონი); 7 - ნიანგი (მარსელი), ფრო (ლილი), გამეირო (ლორიანი), ჟერვინიო (ლილი), რემი (ნიცა), ჰაჯი (ნანსი); 6 - სისოკო (ტულუზი), ვაირუა (ლორიანი), სამასა (ვალანსიენი).

## ლიგა 2

### XVII ტური

**ნიმი-სტრასბური 2:1**

**გოლები:** 0:1 სტოშიჩი (10-საკ. კარში), 1:1 მუკანჯო (19), 2:1 მანდრიჩი (41)

**გაძევება:** პიშო (58. სტრასბური)

**მეცი-აიაჩო 2:0**

**გოლები:** 1:0 როში (44), 2:0 სისე (80)

**ლავალი-ანჟერი 2:2**

**გოლები:** 1:0 რადასი (85), 2:0 აგუი (88), 2:1 შარბონიე (89-პენ), 2:2 მოდესტე (90-პენ)

**გენგამი-სედანი 2:2**

**გოლები:** 0:1 დიალო (30-საკ. კარში), 1:1 ოგუნბი (48), 1:2 მოკაკე (60), 2:2 გრაქსი (71)

**დიჟონი-ვანი 0:0**

**ბასტია-კლერმონი 1:3**

**გოლები:** 0:1 იატაბარე (3), 0:2 ბრაჰიმი (16), 0:3 აკუინი (42), 1:3 ჰარეკი (56)

**ტური-ბრესტი 0:1**

**გოლი:** გრუჟი (19)

**ლე ავრი-შატორუ 2:2**

**გოლები:** 1:0 და გრაკა (22), 1:1 გრანჟე (74), 2:1 დიალო (87), 2:2 ბუენგო (90)

**ისტრი-კაენი 2:1**

**გოლები:** 1:0 დუმბია (39), 2:0 მესლუბი (43-პენ), 2:1 სობე (53)

**ნანტი-არლი 1:0**

**გოლი:** 1:0 დარშევილი (86)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კაენი | 17 | 11 | 4 | 2 | 28-13 | 37 |
| 2. ბრესტი | 17 | 8 | 5 | 4 | 23-16 | 29 |
| 3. მეცი | 17 | 8 | 5 | 4 | 21-18 | 29 |
| 4. ლე ავრი | 17 | 8 | 4 | 5 | 21-18 | 28 |
| 5. ნანტი | 17 | 7 | 6 | 4 | 24-23 | 27 |
| 6. არლი | 17 | 7 | 6 | 4 | 20-19 | 27 |
| 7. ტური | 17 | 6 | 8 | 3 | 22-16 | 26 |
| 8. ლავალი | 17 | 5 | 8 | 4 | 23-19 | 23 |
| 9. ნიმი | 17 | 6 | 5 | 6 | 18-22 | 23 |
| 10. შატორუ | 17 | 5 | 6 | 6 | 25-25 | 21 |
| 11. დიჟონი | 17 | 4 | 9 | 4 | 17-18 | 21 |
| 12. გენგამი | 17 | 5 | 6 | 6 | 17-19 | 21 |
| 13. ვანი | 17 | 5 | 6 | 6 | 22-26 | 21 |
| 14. ანჟერი | 17 | 5 | 5 | 7 | 19-21 | 20 |
| 15. კლერმონი | 17 | 5 | 4 | 8 | 21-23 | 19 |
| 16. სედანი | 17 | 4 | 7 | 6 | 19-23 | 19 |
| 17. აიაჩო | 17 | 4 | 6 | 7 | 18-17 | 18 |
| 18. ისტრი | 17 | 4 | 5 | 8 | 13-23 | 17 |
| 19. სტრასბური | 17 | 3 | 7 | 7 | 18-23 | 16 |
| 20. ბასტია | 17 | 2 | 4 | 11 | 14-21 | 10 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოლანდია



რონალდ კუმანი ალკმაარის მწვრთნელი აღარ არის

# კუმანს კარი მიუხურეს

მე-16 ტურის დასრულების შემდეგ, ერედივიზიონში ნათლად გამოიკვეთა ლიდერთა დუეტი - „ტვენტე" და „ეინდჰოვენი" ზამთრის ჩემპიონის არაფორმალურ ტიტულს გაითამაშებენ.

ბოლო ტურებში წარმატებით მოთამაშე „ვაალვიკმა" ვერაფერი დაუპირისპირა მძლავრ „ეინდჰოვენს", თუმცა სტუმრებს საათზე მეტი დასჭირდათ აუტსაიდერის კარის ასაღებად, საერთო ჯამში კი **ფრედ რუტენის** გუნდის გამარჯვება სავსებით კანონზომიერი იყო.

„ნიიმეგენი" აგრძელებს შედეგიანი თამაშით მეტოქეთა გაოცებას. ლიდერმა „ტვენტემ", რომელმაც წინა 15 მატჩში მხოლოდ 11 გოლი გაუშვა, ამჯერად სამი ბურთი მიიღო საკუთარ კარში და სამივე პირველ ტაიმში, რაც **სტივ მაკლარენის** გუნდის დაცვისთვის ნამდვილი კატასტროფა იყო. ლიდერთა საბედნიეროდ, შეტევის ხაზი უნაკლოდ ასრულებდა თავის საქმეს, წინაალმდეგ შემთხვევაში „ტვენტე" შერცხვენას ვერ გადაურჩებოდა. ვიცე-ჩემპიონმა მეტოქის სამ გოლს ოთხით უპასუხა და ცხრილში პირველი ადგილი შეინარჩუნა.

გუშინ საინტერესო ცნობა გაავრცელა ჰოლანდიურმა პრესამ. „ტვენტე" მეორე წრისთვის შეტევის კიდევ უფრო გაძლიერებას აპირებს. ერედივიზიონის ლიდერი „მილანთან" აწარმოებს მოლაპარაკებას **კლაას-იან ჰუნტელაარის** სეზონის ბოლომდე არენდასთან დაკავშირებით. ჰოლანდიელ ფორვარდს იტალიაში სათამაშო პრაქტიკა აკლია, რაც ეჭვქვეშ აყენებს მსოფლიოს ჩემპიონატზე „ნარინჯისფერთა" საბოლოო განაცხადში მოხვედრას. ამიტომაც „ტვენტეს" ვარიანტი თვავად ჰუნტელაარისთვისაც მომგებიანი უნდა იყოს. თუ ჰოლანდიელ ჟურნალისტებს დავუჯერებთ, მოლაპარაკებების პროცესი ისე შორს წავიდა, რომ ამ გარიგების ოფიციალურ დადასტურებას კვირის ბოლოს უნდა ველოდოთ.

გარკვეული ჩავარდნის შემდეგ, „უტრეხტი" ისევ იმ თამაშს დაუბრუნდა, რომლითაც სეზონის სტარტზე იწონებდა თავს. შესაბამისად, **ტონ დე შატინიეს** გუნდმა პირველი წრის დასრულებამდე ტურით ადრე შინ „აიაქსის" დამარცხება შეძლო.

„აიაქსი" საერთოდ არ ჰგავდა საკუთარ თავს. გამორიცხული არ არის, რომ **იოლის** შეგირდებმა ვერ მოასწრეს რუმინეთში ურთულესი მატჩის შემდეგ ძალების აღდგენა და დაღლილობამ იჩინა თავი. ამიტომაც სასტარტო წუთებიდანვე დასვენებულმა „უტრეხტმა" იოლად დაიმორჩილა სახელოვანი მეტოქე. **ნეიჰოლტმა, მულენგამ და ვან ვოლფშვინკელმა** ბევრი თავსატეხი გაუჩინეს **სტეკელენბურგს**, რაზეც სტუმრებმა **სუარესის** ერთადერთი სახიფათო დარტყმით უპასუხეს.

შესაძლოა, მეორე ტაიმში სულ სხვა „აიაქსი" გვეხილა, მაგრამ „უტრეხტმა" მონინაალმდეგეს ძალების მოკრება არ აცალა. მესამე წუთზე მულენგამ დაცვა და მეკარე შეცდომისთვის დასაჯა. 66-ე წუთზე კი **ვუიტენსმა** კუთხურიდან ჩაწოდების შემდეგ თავით გაიტანა.

ამ უადგილო ნაგებამ „აიაქსი" რთულ სიტუაციაში ჩააყენა. „ტვენტესთან" ჩამორჩენა უკვე 9 ქულას შეადგენს და ალბათ, დროა ამსტერდამელებმა ოქროს მედლებისთვის ბრძოლა დაივიწყონ.

შეიძლება ყველას არ ახსოვს, რომ გასულ სეზონში სწორედ „ვიტესმა" შეწყვიტა „ალკმაარის" გრძელი წაუგებელი სერია. **ტეო ბოსის** გუნდი კიდევ ერთხელ გახდა გადაულახავი ბარიერი მოქმედი ჩემპიონისთვის. ამ ყველაფერმა კი ალკმაარელთა მთავარი მწვრთნელი **რონალდ კუმანი** შეიწირა.

მასპინძელთა პრობლემები სტარტიდანვე დაიწყო. მცველებს **გრინი** გაეპარათ და „ვიტესის" ახალბედას სულ ცოტა დააკლდა ანგარიშის გასახსნელად. „ალკმაარმა" ამ გამოუყენებელი მომენტისთვის დასაჯა მეტოქე - **დემბელე სპროკელის** შეცდომას დაუდარაჯდა და მეკარესთან პირისპირ გასულმა მე-9 წუთზე გახსნა ანგარიში.

ამ მატჩში გადამწყვეტი ასევე მცველის შეცდომა აღმოჩნდა. 1:1-ზე **სვერტსნა** ვალი დაუბრუნა „ვიტესს", როცა მარტივ სიტუაციაში წაიფორხილა და ბურთი **სტევანოვიჩს** ჩააბარა, მან კი შანსი ხელიდან აღარ გაუშვა.

როგორც ვთქვით, ამ ნაგებას რონალდ კუმანი შეეწირა. მატჩის შემდეგ „ალკმაარის" ვებგვერდზე ასეთი შინაარსის განცხადება გაჩნდა: *„რონალდ კუმანი მატჩის დასრულებისთანავე განთავისუფლდა თანამდებობიდან. მხარეებს შორის არც ერთი მიმართულებით არ გაგრძელდება თანამშრომლობა. „ალკმაარი" ახალი მწვრთნელის ძებნას იწყებს".*

გუნდის ახალი მწვრთნელი შეიძლება გახდეს ბელგიის ნაკრების ამჟამინდელი დამრიგებელი **დიკ ადვოკაატი**. ჰოლანდიური პრესის ცნობით, ამ სპეციალისტთან მხოლოდ სეზონის ბოლომდე გაფორმდება კონტრაქტი და ზაფხულში „ალკმაარი" ახალ მწვრთნელს იპოვის. ამასთან, ადვოკაატს ორი პოსტის შეთავსება შეეძლება.

**XVI ტური**

| | |
|---|---|
| ვენლო-ვილემი | 2:1 |
| ალკმაარი-ვიტესი | 1:2 |
| როდა-დენ ჰააგი | 1:1 |
| ბრედა-სპარტა | 2:1 |
| უტრეხტი-აიაქსი | 2:0 |
| ფეიენოორდი-გრონინგენი | 3:1 |
| ვაალვიკი-ეინდჰოვენი | 0:2 |
| ჰერაკლესი-ჰერენვეენი | 3:1 |
| ნიიმეგენი-ტვენტე | 3:4 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტვენტე | 16 | 14 | 2 | 0 | 35-14 | 44 |
| 2. ეინდჰოვენი | 16 | 13 | 3 | 0 | 42-13 | 42 |
| 3. აიაქსი | 16 | 11 | 2 | 3 | 50-15 | 35 |
| 4. ფეიენოორდი | 16 | 9 | 4 | 3 | 26-15 | 31 |
| 5. უტრეხტი | 16 | 8 | 5 | 3 | 21-14 | 29 |
| 6. ჰერაკლესი | 16 | 8 | 2 | 6 | 21-23 | 26 |
| 7. ალკმაარი | 16 | 8 | 1 | 7 | 29-20 | 25 |
| 8. ბრედა | 16 | 6 | 4 | 6 | 23-25 | 22 |
| 9. სპარტა | 16 | 5 | 3 | 8 | 16-27 | 18 |
| 10. ვენლო | 16 | 3 | 8 | 5 | 22-25 | 17 |
| 11. ვიტესი | 16 | 5 | 2 | 9 | 18-28 | 17 |
| 12. ჰერენვეენი | 16 | 5 | 2 | 9 | 17-28 | 17 |
| 13. გრონინგენი | 16 | 3 | 5 | 8 | 16-26 | 14 |
| 14. ვილემი | 16 | 4 | 2 | 10 | 19-30 | 14 |
| 15. დენ ჰააგი | 16 | 3 | 5 | 8 | 17-28 | 14 |
| 16. როდა | 16 | 3 | 5 | 8 | 20-32 | 14 |
| 17. ნიიმეგენი | 16 | 2 | 7 | 7 | 19-28 | 13 |
| 18. ვაალვიკი | 16 | 3 | 0 | 13 | 12-32 | 9 |

ბომბარდირები: 17 - სუარესი (აიაქსი); 12 - რუისი (ტვენტე); 8 - ჯუჯაკი (ეინდჰოვენი), ნკუფო (ტვენტე).

პორტუგალია

# ბენფიკა ისევ ბრწყინავს

პორტუგალიის ლიგაში „ბენფიკამ" და მისმა ბომბარდირმა **ოსკარ კარდოსომ** გოლების მორიგი ფეიერვერკი მოაწყვეს, „ბრაგამ" კი ორი ქულა დაკარგა სტუმრად „ლეიქსოეშთან" და ბურთების უარესი სხვაობის გამო ჩამორჩა „არწივებს".

კარდოსო ჰეთ-თრიკს არგენტინელ პარტნიორებს უნდა უმადლოდეს. პირველ ტაიმში მას **ხავიერ სავიოლამ** გაატანინა, ხოლო მეორე ტაიმში ორი გოლი **ანხელ დი მარიას** ზუსტი პასებით შეაგდო. კიდევ ერთი გოლი თავის აქტივში სავიოლამ ჩაიწერა. ბოლო ტურებში მცირე ჩავარდნის შემდეგ, „ბენფიკა" ისევ შედეგიანად ათამაშდა და საშუალოდ მატჩში თითქმის სამ გოლს მიუახლოვდა.

ყოფილი ლიდერი „ბრაგა" კმაყოფილი უნდა იყოს „ლეიქსოეშთან" მოპოვებული ქულით. სტუმრები 89-ე წუთამდე აგებდნენ შეხვედრას, მაგრამ **ალანმა** ბოლოს მაინც შეძლო ანგარიშის გათანაბრება. საინტერესოა, რომ „ბრაგა" **ბრაგამ** გადაარჩინა - „ლეიქსოეშის" ეს ფეხბურთელი მეორე ტაიმის შუაში მეორე ყვითელისთვის გააძევეს და სწორედ ამის შემდეგ გააქტიურდნენ სტუმრები.

ბოლოს ერთი საინტერესო ინფორმაცია ლისაბონის „სპორტინგის" ბანაკიდან. ამ გუნდმა კონტრაქტი გაწყვიტა ცნობილ ესპანელ **მიგელ ანხელ ანგულოსთან**, რომელიც „ვალენსიაში" 12-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ ამ ზაფხულს ერთი წლით გადავიდა „სპორტინგში".

მაგრამ ანგულომ პორტუგალიაში ფეხი ვერ მოიკიდა და ორმხრივი შეთანხმების შემდეგ ესპანელმა კლუბი თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა. ანგულოთი ესპანეთის ჩემპიონატის რამდენიმე საშუალო დონის გუნდია დაინტერესებული, თუმცა ბოლო ინფორმაციით, ყოფილმა ვალენსიელმა კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

**XII ტური**

| | |
|---|---|
| გიმარაეში-პორტუ | 1:4 |
| ნავალი-ფერეირა | 1:0 |
| რიუ ავე-ბელენენსეში | 0:0 |
| ლეიქსოეში-ბრაგა | 1:1 |
| მარიტიმუ-ოლანენსე | 5:2 |
| ბენფიკა-აკადემიკა | 4:0 |
| ლეირია-ნასიონალი | 1:2 |
| სეტუბალი-სპორტინგი | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 12 | 9 | 2 | 1 | 35-7 | 29 |
| 2. ბრაგა | 12 | 9 | 2 | 1 | 18-6 | 29 |
| 3. პორტუ | 12 | 8 | 2 | 2 | 25-10 | 26 |
| 4. ნასიონალი | 12 | 6 | 3 | 3 | 17-19 | 21 |
| 5. მარიტიმუ | 12 | 5 | 4 | 3 | 21-15 | 19 |
| 6. სპორტინგი | 12 | 4 | 6 | 2 | 14-10 | 18 |
| 7. რიუ ავე | 12 | 3 | 7 | 2 | 12-10 | 16 |
| 8. ლეირია | 12 | 3 | 5 | 4 | 15-13 | 14 |
| 9. ნავალი | 12 | 4 | 2 | 6 | 9-16 | 14 |
| 10. გიმარაეში | 12 | 3 | 4 | 5 | 11-15 | 13 |
| 11. ფერეირა | 12 | 2 | 5 | 5 | 10-13 | 11 |
| 12. აკადემიკა | 12 | 2 | 4 | 6 | 13-19 | 10 |
| 13. ბელენენსეში | 12 | 1 | 7 | 4 | 7-15 | 10 |
| 14. ლეიქსოეში | 12 | 2 | 4 | 6 | 11-21 | 10 |
| 15. ოლანენსე | 12 | 1 | 5 | 6 | 7-17 | 8 |
| 16. სეტუბალი | 12 | 2 | 2 | 8 | 4-23 | 8 |

ბომბარდირები: 14 - კარდოსო (ბენფიკა); 8 - ფალკაო გარსია (პორტუ), ედგარი (ნასიონალი); 6 - ჟოაო ტომაში (რიუ ავე).

ბელგია

# ანდერლეხტი უფრო ყოჩაღია

ბელგიის ჩემპიონატის მე-17 ტურის შემდეგ ცხრილის ზედა ნაწილში ცვლილებები არ მომხდარა. „ანდერლეხტი" სტუმრად უპრობლემოდ გაუსწორდა „სერკლ ბრიუგეს" და შეინარჩუნა „ბრიუგესთან" ხუთქულიანი უპირატესობა.

ყურადღება არ უნდა მივაქციოთ იმას, რომ პირველი გოლი მატჩში მხოლოდ 39-ე წუთზე გავიდა. ბრიუსელელებს მანამდეც საკმარისი მომენტები ჰქონდათ, მაგრამ როგორც გაირკვა, 16 წლის **ლუკაკუს** გარეშე ლიდერს უჭირს შეტევის ბოლო ფაზაში ზუსტი თამაში. მაგრამ ბოლოს, რაოდენობამ ხარისხიც მოიტანა - მცველებს **ლეჟარი** გაეპარათ და მან სტუმრები დააწინაურა.

სამ წუთში მსაჯი „ანდერლეხტის" სასარგებლოდ შეცდა. **დენის ვიანესა** და **მბარკ ბუსუფას** ორთაბრძოლაში არბიტრმა მაროკოელის მხარე დაიჭირა და მასპინძელთა კარში პენალტი დანიშნა. **ვერბისტმა ბუსუფას** დარტყმა მოიგერია, მაგრამ დამატებაზე აფრიკელმა მაინც იმარჯვა - 2:0.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა ცოტა ხნით ინტრიგა დაუბრუნეს შეხვედრას, როცა **იაშჩუკმა** მინიმუმამდე შეამცირა ანგარიში, მაგრამ „ანდერლეხტმა" მალე დაიბრუნა თამაშზე კონტროლი, რასაც **ფრუტოსის** დამაგვირგვინებელი გოლი მოჰყვა.

ისევე როგორც პირველ წრეში, „ბრიუგეს" ამჯერადაც გაუჭირდა „ლოკერენის" დამარცხება. **ანდრე კოსტერის** შეგირდებმა ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვეს და სამ ქულას პირველ რიგში მეტოქეს უნდა უმადლოდენ, რომელმაც შეტევის ბოლო ფაზაში უამრავი შანსი ვერ გამოიყენა.

„ბრიუგემ" კი ერთადერთი სახიფათო მომენტი იკმარა გამარჯვებისთვის. სტუმრებს სტანდარტული მდგომარეობიდან ბურთის უნარიანად გათამაშებამ უშველა. **ვარგასმა** საჯარიმოში ჩააწოდა, **გერეტსმა** საჰაერო ბრძოლა მოიგო, მაგრამ მეკარემ მოიგერია, ოღონდ წინ დაუგდო ბურთი საჯარიმოში შეჯგუფებულ სტუმრებს, რომელთაგანაც ყველაზე მოხერხებული **დონკი** აღმოჩნდა. ეს ერთადერთი გოლი იყო მატჩში.

ამ ტურში „გენკის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე დებიუტი ჰქონდა ბელგიის ნაკრების ყოფილ დამრიგებელ **ფრანკ ვერკოუტერენს**. 53 წლის სპეციალისტმა **ჰეინ ვანჰაზებრუკი** შეცვალა, რომელიც წინა ტურის შემდეგ დაითხოვეს თანამდებობიდან. თუმცა ვერც ვერკოუტერენმა ივარგა - მისი ხელმძღვანელობით „გენკმა" შინ ვერ მოუგო „ვესტერლოს" - 0:0.

**XVII ტური**

| | |
|---|---|
| მეხელენი-გენტი | 2:5 |
| შარლერუა-სტ. ტრუიდენი | 0:0 |
| კორტრიიკი-ვარეგემი | 1:0 |
| გენკი-ვესტერლო | 0:0 |
| რუზელარე-მუსკრონი | 1:2 |
| სტანდარდი-ბეერსხოტი | 2:2 |
| ლოკერენი-ბრიუგე | 0:1 |
| სერკლი-ანდერლეხტი | 1:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 17 | 13 | 2 | 2 | 33-13 | 41 |
| 2. ბრიუგე | 17 | 11 | 3 | 3 | 32-20 | 36 |
| 3. ბეერსხოტი | 17 | 9 | 4 | 4 | 27-21 | 31 |
| 4. გენტი | 17 | 9 | 3 | 5 | 33-20 | 30 |
| 5. ვარეგემი | 17 | 7 | 5 | 5 | 28-23 | 26 |
| 6. სტანდარდი | 17 | 6 | 8 | 3 | 27-18 | 26 |
| 7. კორტრიიკი | 17 | 6 | 6 | 5 | 19-17 | 24 |
| 8. მუსკრონი | 17 | 6 | 5 | 6 | 22-22 | 23 |
| 9. სტ. ტრუიდენი | 17 | 6 | 4 | 7 | 20-23 | 22 |
| 10. ვესტერლო | 17 | 6 | 4 | 7 | 19-24 | 22 |
| 11. მეხელენი | 17 | 7 | 0 | 10 | 22-31 | 21 |
| 12. გენკი | 17 | 4 | 6 | 7 | 19-21 | 18 |
| 13. სერკლი | 17 | 4 | 5 | 8 | 24-29 | 17 |
| 14. შარლერუა | 17 | 3 | 6 | 8 | 17-30 | 15 |
| 15. ლოკერენი | 17 | 3 | 3 | 11 | 16-27 | 12 |
| 16. რუზელარე | 17 | 2 | 4 | 11 | 20-39 | 10 |

ბომბარდირები: 10 - იოვანოვიჩი (სტანდარდი); 8 - ტერეო (შარლერუა), ლუკაკუ (ანდერლეხტი), ოკვუნვანე (მუსკრონი), ჰარუნი (ბეერსხოტი), სიდიბე (სტ. ტრუიდენი).

შოტლანდია

# ლიდერებმა სამ-სამი გაიტანეს

წინა კვირას „აბერდინთან" დამარცხების შემდეგ, „რეინჯერსს" უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა. **უოლტერ სმითის** გუნდი „ფალკირკს" სტუმრობდა და პირველივე წუთებიდან შეუტია, რამაც მალე მოიტანა შედეგი. მარჯვენა ფლანგიდან განვითარებული ლამაზი შეტევა **კრის ბოიდმა** დაასრულა და ანგარიში გახსნა. პრემიერლიგის ბომბარდირს საგოლე პასი **ბუგერამ** გაუკეთა.

კრისმა 20 წუთში დუბლი შეასრულა. ამის შემდეგ **პედრო მენდესმა** ერთი გოლი გაქვითა, მაგრამ ბოლო სიტყვა „რეინჯერსისა" იყო - პენალტი ზუსტად შეასრულა **კენი მილერმა**. ამ დროისთვის ბოიდი მოედნიდან იყო გასული, თორემ ამ ფორვარდის ჰეთ-თრიკს ვიხილავდით.

*„პირველ ტაიმში ბრწყინვალედ ვითამაშეთ. ეს იყო საუკეთესო სტარტი ამ სეზონში"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ უოლტერ სმითმა.

სამი გოლი გაიტანა და სამი ქულა მიითვალა „სელტიკმაც". „კელტების" მსხვერპლი ის „აბერდინი" აღმოჩნდა, რომელმაც ერთი კვირით ადრე „რეინჯერსის" დამარცხება მოახერხა. „სელტიკ პარკზე" **მარკ მაკგის** გუნდს შანსი არ ჰქონია.

39-ე წუთზე ანგარიში **მაკდონალდმა** გახსნა. **სკოტ ბრაუნმა** მოედნის სიღრმიდან **ჰინკელს** ფლანგზე გაუკეთა პასი, გერმანელმა საჯარიმოს გასწვრივ ჩააწოდა და სკოტმა თავისი საქმე ხუთიანზე შეასრულა.

მეორე ტაიმში კი სტუმრებს ორჯერ გამოეპარათ **სამარასი. მაკგიდიმ** კარგად ჩააწოდა მარჯვენა ფლანგიდან და ბერძენმა გუნდი არ დაალალატა. შეხვედრაში წერტილი ისევ ამ წყვილმა დასვა. ამჯერად აიდენმა ცენტრიდან წამოიწყო საგოლე შეტევა. გეორგიოსმა მცველებთან იბრძოლა და ბოლოს მაინც მოახერხა მეკარე **ლენგფილდის** მოტყუება.

პრემიერლიგის მე-14 ტური სკანდალით დასრულდა. „ჰემილტონმა" ცხრა კაცით დარჩენილი „ჰართსი" 2:1 დაამარცხა. ეს მასპინძლების პირველი მოგება იყო შინ ბოლო სამი თვის განმავლობაში. მთავარი მოვლენები მატჩის შემდეგ განვითარდა. გაძევებულმა **მაიკლ სტიუარტმა** და **ისმაელ ბუზიდმა** გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში არბიტრთან კამათი წამოიწყეს, მათ „ჰართსის" სხვა ფეხბურთელები - **სუზო სანტანა, იან ბლეიკი** და გუნდის მასაჟისტი **ალან რობსონი** აჰყვნენ. მსაჯის დაცვა მასპინძლებმა ითავეს და ისეთი ჩხუბი ატყდა, რომ პოლიციის ჩარევა გახდა საჭირო.

ახლა ჯერი პრემიერლიგის სადისციპლინო კომისიაზეა. „ჰართსი" დისციპლინით არც აქამდე გამოირჩეოდა. აგვისტოში ედინბურგულმა კლუბმა სარეკორდო თანხა - 50 ათასი ფ. უნტი გადაიხადა იმის გამო, რომ წინა სეზონში 11 წითელი ბარათი დაუგროვდა.

**XIV ტური**

| | |
|---|---|
| ფალკირკი-რეინჯერსი | 1:3 |
| სელტიკი-აბერდინი | 3:0 |
| დანდი იუნ-სტ. მირენი | 3:2 |
| ჰიბერნიანი-მოზერველი | 2:0 |
| სტ. ჯონსტონი-კილმარნოკი | 0:1 |
| ჰემილტონი-ჰართსი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 14 | 9 | 3 | 2 | 30-14 | 30 |
| 2. რეინჯერსი | 13 | 8 | 4 | 1 | 23-9 | 28 |
| 3. ჰიბერნიანი | 14 | 8 | 4 | 2 | 21-9 | 28 |
| 4. დანდი იუნ | 13 | 7 | 5 | 1 | 21-12 | 26 |
| 5. მოზერველი | 14 | 4 | 8 | 2 | 17-16 | 20 |
| 6. აბერდინი | 14 | 4 | 6 | 4 | 11-14 | 18 |
| 7. ჰართსი | 14 | 3 | 4 | 7 | 13-18 | 13 |
| 8. სტ. ჯონსტონი | 14 | 3 | 4 | 7 | 20-26 | 13 |
| 9. სტ. მირენი | 14 | 3 | 4 | 7 | 17-23 | 13 |
| 10. ჰემილტონი | 14 | 3 | 4 | 7 | 13-23 | 13 |
| 11. კილმარნოკი | 14 | 3 | 3 | 8 | 10-19 | 12 |
| 12. ფალკირკი | 14 | 1 | 5 | 8 | 11-24 | 8 |

ბომბარდირები: 10 - ბოიდი (რეინჯერსი); 8 - მაკდონალდი (სელტიკი); 7 - რაიორდანი (ჰიბერნიანი); 6 - იუტკევიჩი (მოზერველი), კ. მილერი (რეინჯერსი).

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამბები

## გადაარჩენს გროსი შტუტგარტს?

### შვეიცარიელს თავისი შესაძლებლობების დამტკიცება სურს

„შტუტგარტის" მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან **მარკუს ბაბელის** გათავისუფლების გაცხადებიდან ზუსტად 17 წუთის შემდეგ, შვაბენლანდური კლუბის თავკაცად შვეიცარიელი **კრისტიან გროსი** დაინიშნა. 55 წლის მწვრთნელმა ბუნდესლიგაში მე-16 ადგილზე მყოფ კლუბთან კონტრაქტი 2011 წლამდე გააფორმა.

გროსი უმკაცრეს სპეციალისტადაა მიჩნეული. ყველამ იცის, რომ ის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს დისციპლინას. შვეიცარიაში გროსს ხან მოტივაციის ხელოვანს უწოდებენ, ხანაც დიქტატორს. გროსი შვეიცარიაში უაღრესად წარმატებული სპეციალისტია. თვითონ განსაჯეთ, მას შვეიცარიის ჩემპიონატი მწვრთნელის რანგში ექვსჯერ აქვს მოგებული. გროსმა „ბაზელი" ორჯერ გაიყვანა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე. სამაგიეროდ, შვეიცარიელმა უცხოეთში ვერ გაამართლა. გროსი ინგლისში „ტოტენჰემს" წვრთნიდა, მაგრამ მძიმე ნნეხს ვერ გაუძლო. „შტუტგარტის" ახალი მწვრთნელი ბოლოს „ბაზელში" მუშაობდა, საიდანაც წინა სეზონში ათწლიანი სამსახურის შემდეგ გაათავისუფლეს. ალსანიშნავია, რომ ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონმა ორი შვეიცარიელი სპეციალისტი - **მარსელ კოლერი** („ბოხუმი") და **ლუსიენ ფავრი** („ჰერტა") შეიწირა. ვნახოთ, რას მიაღწევს გროსი...

**გოტფრიდ ლენცი**

## FIFA WORLD PLAYER 2009:

### აქაც მესი?

„ბარსელონას" არგენტინელ ვარსკვლავ **ლიონელ მესის** შესანიშნავი შანსი აქვს „ოქროს ბურთს" ფიფას მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის პრიზიც მიამატოს. ამ შემთხვევაში 22 წლის მესი პირველი არგენტინელი ფიფას რჩეული იქნება. გუშინ გამოქვეყნდა ნომინანტთა ხუთკაციანი სია, რომელშიც „ბარსელონა" სამი ფეხბურთელით არის წარდგენილი: ლიონელ მესი, **ანდრეს ინიესტა** და **ჩავი ერნანდესი**. ორი დანარჩენი კი მადრიდის „რეალის" ფეხბურთელია - **კრიშტიანო რონალდო და კაკა**. მოკლედ, გამარჯვებული აუცილებლად ესპანური საკლუბო ფეხბურთის წარმომადგენელი იქნება.

2007 წელს მესიმ მეორე ადგილი აილო და მხოლოდ კაკას ჩამორჩა, 2008-ში კი მესის კრიშტიანო რონალდომ აჯობა. ოქტომბერში ნომინანტთა 23-კაციანი სია გამოქვეყნდა, რომელთა რიცხვი ახლა ხუთამდე შემცირდა. გამარჯვებულებს ფიფას გალასალამოზე ციურიხში დააჯილდოვებენ, რომელიც 21 დეკემბერს გაიმართება. ამასთან, გამოვლინდება ფიფას წლის გუნდი, რომელსაც 50 ათასი პროფესიონალი ფეხბურთელი შეარჩევს. ფიფა „პუშკაშის ტროფეით" დააჯილდოვებს 2009 წლის ულამაზესი გოლის ავტორს. საუკეთესო ქალი ფეხბურთელის პრიზისთვის იბრძვიან: **კრისტიანე** (ბრაზილია), **ინკა გრინგსი** (გერმანია), **მარტა** (ბრაზილია), **კელი სმითი** (ინგლისი) და **ბრიგიტ პრინცი** (გერმანია).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## კაკა ახალ წლამდე...

ესპანური „დიარიო ას-ის" მიხედვით, „რეალის" ბრაზილიელი ვარსკვლავი კაკა „სამეფო გუნდს" წელს ველარ დაეხმარება, რადგან მტკივანი საზარდული ნახევარმცველს არაფრით მოურჩა. კაკამ ტრავმა „ელ კლასიკოზე" მიიღო და ის გაცილებით სერიოზული ალმოჩნდა, ვიდრე თავიდან ეგონათ. ექიმებმა კაკას სრული გამოჯანმრთელებისთვის ერთი თვე დათქვეს. „სამეფო კლუბს" გაუმართლდა, რომ სეზონში მალე შესვენება იქნება და კაკას ბევრის გამოტოვება არ მოუწევს, თუმცა ის არც ჩემპიონთა ლიგის მატჩში იქნება „მარსელთან" და არც „ვალენსიასთან" ჩემპიონატში. პირველად სეზონში, „რეალს" მოუწევს ორივე მეგა-ვარსკლავის, კაკას და **კრიშტიანო რონალდოს** გარეშე თამაში, თანაც სტუმრად მესამეადგილოსან „ვალენსიასთან". შეგახსენებთ, რომ „ლოს მერენგესი" „ბარსელონას" 5 ქულით ჩამორჩება, თუმცა კონკურენტზე თამაშით ნაკლები აქვს გამართული.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ბოიანი არსენალს სურს

„დეილი სტარის" ინფორმაციით, ლონდონის „არსენალი" „ბარსელონას" 19 წლის ფორვარდით, **ბოიან კრკიჩითაა** დაინტერესებული. გაზეთის მტკიცებით, ბოიანს „კამპ ნოუდან" წასვლა სურს, რადგან **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** მისვლამ მისი შანსები საგრძნობლად შეამცირა. მასზე წინ **ხოსეპ გვარდიოლა** კიდევ ერთ ახალგაზრდა ფორვარდ, **პედროსაც** აყენებს. „არსენალს" სასწრაფოდ ესაჭიროება მაღალი დონის ფორვარდის შეძენა, რადგან **რობინ ვან პერსი** ხუთი თვით გამოეთიშა ფეხბურთს. „დეილი სტარი" ამტკიცებს, რომ „მეთოფეებმა" „ბარსელონას" უკვე შესთავაზეს 8 მილიონი ფუნტი სტერლინგი სერბული წარმოშობის ფორვარდის სანაცვლოდ, თუმცა კატალონიელები უფრო იჯარის წესით გასხვისებაზე არიან თანახმა და ნიჭიერი ახალგაზრდა თავდამსხმელის გაყიდვა არ სურთ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ზლატანის პატრიოტიზმი

რამდენადაც კარგი ფეხბურთელია **ზლატან იბრაჰიმოვიჩი**, იმდენად ცუდი პატრიოტი ყოფილა ის საკუთარი ქვეყნის. შვედურ მედიასთან საუბარში ზლატანმა შემდეგი განაცხადა:

*„ყოველთვის დიდი პატივი იყო ჩემთვის შვედეთის ნაკრებში თამაში, მაგრამ ახლა ეროვნულ ნაკრებში არ ვითამაშებ, რადგან უმოტივაციოდ ვარ. არც მსოფლიოს ჩემპიონატია, არც ევროპის ჩემპიონატი. ახლა ნაკრებში თამაში უბრალოდ ენერგიის უაზროდ ხარჯვაა და მეტი არაფერი. ახლა შვედეთის ნაკრების ამხანაგურ მატჩებში თამაშს, „ბარსელონაში" თამაშზე კონცენტრირება მირჩევნია. ჩემი გადაწყვეტილების შესახებ კარგა ხანია ვაცნობე მწვრთნელ ერიკ ჰამრენს. ვნახოთ, რა მოხდება გაისად".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## სევილიამ ფაბიანო დაკარგა

„ვალიადოლიდთან" მატჩში დაშავებული **ლუიშ ფაბიანო** „სევილიას" სამი კვირით დააკლდება. გამოდის, რომ ბრაზილიის ნაკრების ფორვარდი წლეულს ველარ ითამაშებს. ლუიშ ფაბიანო გამოტოვებს ჩემპიონთა ლიგის მატჩს „რეინჯერსთან", შემდეგ კი ორ შეხვედრას პრიმერა დივიზიონში - „სპორტინგისა" და „ხეტაფეს" წინააღმდეგ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

გამოხმაურება

## პრეციოზი ალიაქოთში

### ჯერ გალანძლა, შემდეგ აგინეს



ენრიკო პრეციოზი

მატჩი „ჯენოასა" და „პარმას" შორის ახალი დამთავრებული იყო, „სტადიო მარასის" გასახდელთან ჟურნალისტებმა რომ მოიყარეს თავი. მედიის წარმომადგენელთა ყურადღება იმ ინციდენტებმა მიიპყრო, რომლებიც „ჯენოას" პრეზიდენტ **ენრიკო პრეციოზის** შეემთხვა. დიახ, ინციდენტები, რადგან პრეციოზი ჯერ მის პარმელ კოლეგა **ტომაზო გირარდის** წაეკიდა, შემდეგ კი ვეტერან მცველ **კრისტიან პანუჩის**.

კლუბების პრეზიდენტები ერთმანეთს გასახდელში გადააწყდნენ, გირარდიმ პრეციოზის ხელი გაუწოდა, თუმცა ამ უკანასკნელისგან მისალმებაზე ცივი უარი მიიღო. ენრიკომ კოლეგას ზურგი აქცია და მიაძახა: არ მინდა შენთან საქმის დაჭერა, ქურდი ხარ, ჩემი ფული მოიპარეო. მედიის წარმომადგენლები ვერ მიხვდნენ რაში იყო საქმე, თუმცა შემდეგ ყველაფერი გამოარკვიეს და ეს ამბავი ჩვენამდეც მოიტანეს.

საქმე დანიელ ფეხბურთელს, **ტროესტს** ეხება, რომელიც „ჯენოას" საკუთრებაში გახლდათ და გასულ სეზონში იჯარის წესით „პარმას" ღირსებას იცავდა. პრეციოზის მისი გაყიდვა სურდა და რადგან ფეხბურთელს ხელშეკრულების ვადა ეწურებოდა, მის გასხვისებაზე დაიწყო ზრუნვა. გირარდის რომ ეს ამბავი გაუგია, პრეციოზისთვის შეუთვლია, ტროესტის თაობაზე სხვა კლუბებთან ნუ გამართავ მოლაპარაკებებს, მას მე გამოვისყიდი, თქვენს ანგარიშზე კი ერთ მილიონ ევროს გადმოვრიცხავო. ენრიკოს ყველანაირი მოლაპარაკება გაუჩერებია, იმ იმედით, რომ გირარდი დანაპირებს შეასრულებდა. ბევრი რომ ალარ გავაგრძელოთ, ტროესტის ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა, გირარდიმ კი მისი გამოსყიდვა ალარ ისურვა. სკანდინავიელმა თავისუფალი აგენტის სტატუსით დაიწყო ახალი კლუბის ძიება, „ჯენოა" კი ხელმოცარული დარჩა.

მოკლედ, ისე გამოვიდა, რომ გირარდიმ პრეციოზის ერთი მილიონი ევრო დააკარგვინა. მეორე შემთხვევა კიდევ უფრო ხმაურიანი გამოდგა - სტადიონის ფოიეში მიმავალ პრეციოზიზე კრისტიან პანუჩიმ გაიწია და რომ არა გამშველებლები, ვეტერანი მცველი პრეზიდენტს ფიზიკურად გაუსწორდებოდა. ხელით ვერ შეეხო, მაგრამ სიტყვები ნამდვილად არ დაუკლია: პანუჩი დაემუქრა ენრიკოს, სადმე დაგიჭერ და თავ-ყბას გაგიერთიანებო. თუ რამ განარისხა ასე პანუჩი, ჟურნალისტთათვის უცნობია. სავარაუდოდ, საქმე გასული ზაფხულის სატრანსფერო მოვლენებს ეხება. პანუჩი ერთბაშად რამდენიმე კლუბთან აწარმოებდა მოლაპარაკებას, მათ შორის „ჯენოასთან" და ისეთი პირი უჩანდა, რომ სწორედ გენუურ კლუბში გააგრძელებდა კარიერას. თუმცა, ბოლო მომენტში გარიგება ჩაიშალა და კრისტიანმაც არჩევანი „პარმაზე" შეაჩერა. როგორც ჩანს, პრეციოზის და პანუჩის შორის სწორედ მაშინ მოხდა რალაც გაუგებრობა, რამაც ის ტრანსფერი ჩაშალა.

ჯობდა საერთოდ არ ჩასულიყო გასახდელში სენიორ ენრიკო, არც კოლეგას გადაეყრებოდა და არც აგინებდნენ ჟურნალისტების თანდასწრებით.

**ლაშა ნიკლაური**

## მოურინიო დადუმდა, ფერარა ხარობს

### ...ბუფონი კი საოპერაციო ყოფილა

დიდი იტალიური დერბის შემდეგ **ჟოზე მოურინიო** საშინელ განწყობაზე გახლდათ, რაც მისი ხასიათებიდან გამომდინარე, გასაკვირი ნამდვილად არ არის. მარცხის შემდეგ კარგ გუნებაზე ვერც ვერავინ იქნება, მაგრამ პორტუგალიელი თითქოს მთელ სამყაროზე გაბრაზდება-ხოლმე. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტები მას ამაოდ ელოდნენ - ჟოზემ ფაქტობრივად ბოიკოტი გამოუცხადა მედიის წარმომადგენლებს და „იუვენტუსთან" განცდილ მარცხზე დღემდე არაფერი უთქვამს. სამაგიეროდ, **ხავიერ ძანეტიმ** გააკეთა კომენტარი და ტრადიციულად, საკმაოდ ვრცლად ისაუბრა:



ჟოზე მოურინიო და ჩირო ფერარა

*„ჟოზემ პრესას ბოიკოტი გამოუცხადა? - არამგონია ჟურნალისტებს ერჩოდეს, უბრალოდ, ცუდ ხასიათზეა და ლაპარაკის სურვილი არ აქვს. მატჩის შემდეგ არც ჩვენ გველაპარაკებოდა, მილანში ისე დავბრუნდით, რომ ხმა არ ამოულია. ძალიან მძიმედ განიცადა „იუვენტუსთან" განცდილი მარცხი და მესმის კიდეც, ჩვენ ხომ უშუალო კონკურენტთან წავაგეთ. შედეგზე პირველ რიგში მწვრთნელია პასუხისმგებელი და როდესაც ასეთი წნეხის ქვეშ გიწევს მუშაობა, ხანდახან იმის უფლებაც გაქვს, რომ უბრალოდ დადუმდე. რაც შეეხება განვლილ პაექრობას, ახალს და საინტერესოს ვერაფერს გეტყვით. ვფიქრობ, თანაბარი თამაში იყო და სამართლიანი იქნებოდა, რომ მატჩი ფრედ დასრულებულიყო. სახიფათო მომენტები ჩვენ მეტი გვქონდა, თუმცა რიგ ეპიზოდებში კონცენტრაცია დავკარგეთ, რაც ძვირად დაგვიჯდა. ამ მარცხისგან ტრაგედიის შექმნა არ ღირს, ჩვენ იტალიის ჩემპიონატში ვთამაშობთ და არა რომელიმე სამოყვარულო ტურნირში. ყველა თამაშს ვერ მოიგებ და ეს კარგად უნდა გავაცნობიეროთ. თუმცა, მიზანი მაქსიმალური დავისახეთ, რაც გადახედვას არ ექვემდებარება, ჩვენ სკუდეტოს მოგებას ვგეგმავთ".*

მოურინიოსგან განსხვავებით, ბედნიერია **ჩირო ფერარა**. რთული კვირეები გადაიტანა და მისთვის ამ გამარჯვებას მართლაც ოქროს ფასი ჰქონდა. ამბობდნენ, თუ იტალიურ დერბიში ვერ გაიმარჯვა, პოსტის დატოვება მოუწევსო. დღეს, ასე ნამდვილად ალარ დგას საკითხი და ნდობის ლიმიტიც საკმაოდ მაღალი აქვს. აი, რა თქვა „ტუტო სპორთან" საუბარში სენიორ ჩირომ:

*„უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოვიპოვეთ, როგორც სატურნირო, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ახლა მთავარია მიუნხენის „ბაიერნს" დავუხვდეთ ღირსეულად და კიდევ ერთი დიდი გამარჯვება მოვიპოვოთ. მართალია, ფრეც გვაძლევს ხელს, მაგრამ ჩვენი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება იქნება. საბედნიეროდ, ასეთი შეხვედრებისთვის მოტივაციასთან დაკავშირებით არავითარი პრობლემა არ გვექმნება, ფეხბურთელები საბრძოლველად არიან განწყობილნი. სამაგიეროდ, „პატარა" გუნდებთან გვიჭირს თამაში და ამაზე სერიოზულად უნდა ვიმუშაოთ. ქულები ერთნაირად ფასობს და მათი გაფლანგვის უფლება ალარ გვაქვს. აქვე, მინდა კლაუდიო მარკიზიო შევაქო, ვინაც „ინტერთან" მართლაც ბრწყინვალე შეხვედრა ჩაატარა. მას რთული დროება ედგა, რომელიც ტრავმით გახლდათ განპირობებული, თუმცა ყველანაირი პრობლემა გადალახა და დღეს დიდ ფეხბურთს თამაშობს. ძალიან გააზრებულად ისპარეზა და მაღალი კლასი გამოავლინა. არ შემიძლია არ შევაქო მარტინ კასერესი - „იუვეში" რომ გადმოვიდა, კარგა ხანს ჩაკეტილი იყო, ადაპტაციისთვის დასჭირდა დრო, თუმცა შემდეგ გაიხსნა და შესანიშნავად ათამაშდა. „ინტერთან" შეუდარებელი იყო და იმედია, ტრემპს არც მომავალში დააგდებს".*

ბოლოს **ჯიჯი ბუფონსაც** მოვუსმინოთ, რომელმაც შესანიშნავ თამაშთან ერთად, **ტიაგო მოტაზე** გაწევითაც დაგვამახსოვრა თავი:

*„ბედნიერი ვარ, რადგან ამ გამარჯვებას, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. დავრწმუნდით, რომ თუ მოვინდომეთ, ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეგვიძლია. რაც შეეხება მოტასთან ჩხუბს, ეს ამბავი წარსულს ჩაბარდა და ალარ მინდა მივუბრუნდე. ტიაგოს შეხვედრის შემდეგ ხელი ჩამოვართვი და ამით გაუგებრობას წერტილი დავუსვი".*

აქვე, „იუვენტუსის" გულშემატკივრებს მეტად სამწუხარო ინფორმაცია უნდა ვამცნოთ, რომელსაც „იუვენტუსის" წარმომადგენლები აქამდე ასაიდუმლოებდნენ. თურმე, ბუფონს მუხლის ტრავმა ჰქონია, რომლის სამკურნალოდაც ოპერაციის ჩატარებაა საჭირო. ჯიჯიმ „ინტერთან" გამაყუჩებელი პრეპარატების დახმარებით ითამაშა და ასე იქნება „ბაიერნთან" დაპირისპირების დროსაც. აი შემდეგ კი ჯიჯის საოპერაციო მაგიდაზე დაწოლა და გარკვეული პერიოდით ლაზარეთში გადანაცვლება მოუწევს. როგორც „ვეკია სენიორას" ექიმები იუწყებიან, ბუფონი დაახლოებით ორმოც დღეს დაისვენებს და მოედანს 2010 წელს, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის პირველი მატჩისთვის დაუბრუნდება. „სკუადრა აძურას" კიპერი სერია A-ს რამდენიმე პაექრობას გამოტოვებს, მათ შორის ერთ-ერთს „მილანის" წინააღმდეგ. მთელი ამ დროის განმავლობაში „ბიანკონერის" კარს **ალექს მანინგერი** დაიცავს.

**ლაშა ნიკლაური**

ძიუდო

ინტერვიუ ამირან ტოტიკაშვილთან

# ტოტიკაშვილი ახალ სტრატეგიას ირჩევს


ამირან ტოტიკაშვილი

ძიუდოისტთა საქართველოს ჩემპიონატმა რაღაც გაორებული შეგრძნება დამიტოვა. ერთი შეხედვით, აქ ახალი სახეები თითქმის არ გამოჩენილან, მაგრამ ტურნირი საკმაოდ მაღალი დონისა გამოდგა - დაძაბული, საინტერესო, აზარტული, მიმზიდველი... რაოდენ ნარუმატებელი სეზონიც უნდა გვქონდეს, საბედნიეროდ, ტიტულოვანი ფალავნები არ გვაკლია, მათ კი ჭიდაობაც ჯილდოების შესაფერისი იციან და ნებისმიერი დონის ტურნირს დაამშვენებენ. ამიტომ გამოვიდა პირველობა ლამაზი, სანახაობას კი რამდენიმე ლიდერის - ევროპის სამგზის ჩემპიონის ზაზა კედელაშვილის (73), ევროპის ორგზის ვიცე-ჩემპიონის დავით ქევხიშვილის (73), ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონის ირაკლი ცირეკიძის (100) არყოფნამაც ბევრი ვერაფერი დააკლო. ცხადია, მათი ჭიდაობა კიდევ უფრო გაალამაზებდა ტურნირს, მაგრამ ახლაც ხარისხიანი შეჯიბრება გამოვიდა.

სიტყვამ ეს სამეული მოიტანა და, ბარემ გეტყვით, რომ ხმები მათი სპორტიდან წასვლის შესახებ ქუთაისშიც დამხვდა. ირაკლი ცირეკიძემ თვითონ დაგვიდასტურა, რომ წასვლას არ აპირებს. იგივე გვითხრა დავით ქევხიშვილმაც, რომელიც ჩემპიონატს ესწრებოდა, ოღონდ ისიც წონის შეცვლას და 81-ში გადასვლას აპირებს. მისგან განსხვავებით, ცირეკიძემ და კედელაშვილმა უკვე საბოლოოდ გადაწყვიტეს ზევით ანაცვლება.

ჩემპიონატმა იქნებ ბევრი ახალი სახე ვერ გამოავლინა, მაგრამ სხვა მხრივ გამოდგა საყურადღებო - რამდენიმე ძველმა პერსპექტიულმა ფალავანმა იმდენად კარგად იჭიდავა, გაგვიჩნდა იმედი, რომ ერთხელ და სამუდამოდ გაიხსნებიან. ნაკრების თავკაცმა ამირან ტოტიკაშვილმა რამდენიმე ისეთი ფალავანი შეიგულა, რომლებიც ამჯერად პრიზიორებში ვერ მოხვდნენ. ის ოლიმპიადისთვის განსხვავებული ტაქტიკით აპირებს მზადებას და რამდენიმე ძალზე ახალგაზრდა ლონდონისთვის აქედანვე შეიგულა აპირებს. ამის შესახებ თვითონ გვიამბობს ინტერვიუში, რომელიც ქუთაისში, ჩემპიონატის დამთავრებისთანავე ჩავიწერეთ.

**- როგორ შეაფასებთ ამ ჩემპიონატს, რა სიახლეები დაგანახვათ მან?**

- ჩემპიონატი კარგად იყო ორგანიზებული, წმინდა სპორტულ მხარეზე თუ ვიტყვით, ზოგიერთ წონაში არის სიახლეები, ზოგან კი პრობლემებია. მთლიანობაში, აქცენტს მაინც ახალგაზრდებზე ავიღებთ, თუმცა ნაკრებში მოხვედრის შანსი, ოღონდ არათანაბარი, იმ ლიდერებსაც მიეცემათ, რომლებმაც ამჯერად ვერ იჭიდავეს.

შედეგებს რაც შეეხება, 90 კილოგრამ წონით კატეგორიას გამოვარჩევ - არც ვალერი ლიპარტელიანის წაგებას მოველოდი და არც საბა გავაშელიშვილის ასეთ კარგ ჭიდაობას იმის მიუხედავად, რომ ბოლო ხანებში კარგადაც ემზადებოდა და შესანიშნავად იყო განწყობილი. ყველა ახალგაზრდას ვუსურვებდი ასეთ განწყობას და ასეთ შემართებას.

**- შეიძლება, ამ ჩემპიონატმა ახალი სახეები ნაკლებად წარმოაჩინა, მაგრამ თუ იყვნენ ისეთები, რომლებმაც თავი მოგაწონეს?**

- ახალგაზრდები მაინც გამოჩნდნენ. მაგალითად, 73 კილოგრამი წონითი კატეგორიის კვარცხლბეკზე მთლიანად ახალგაზრდები ავიდნენ, თუმცა უმედლოდ დარჩენილთაგანაც მომეწონა რამდენიმე. მაგალითად, შიდაქართლელები - დავით ჭაბუკაშვილი და ნოდარ კუდუხაშვილი 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში. მძიმე წონაშიც აუცილებლად ავიყვანთ რამდენიმე ახალგაზრდას ნაკრებში. ამ ეტაპისთვის კანდიდატებად ვაჟა დაბრუნდაშვილი და როსტომ ხახალეიშვილი ჩანან. ყველამ ვნახეთ, რომ ამ წონაში დიდი პრობლემებია, ოლიმპიადა კი სამი წლის შემდეგ ტარდება და ახალგაზრდები აქედანვე უნდა შევამზადოთ ლონდონის თამაშებისთვის. საამისოდ დღე და ღამე უნდა ვიმუშაოთ.

**- სხვა წონებშიც ხომ არ აპირებთ ამგვარ ექსპერიმენტს?**

- ჯერ კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით იმის მეტს, რომ თავის გამოჩენის შანსი ყველას მიეცემა. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ არავინ დაიჩაგრება.

**- იმ ლიდერებს, რომლებმაც ახლა არ იჭიდავეს, თავის გამოჩენის შანსი სად მიეცემათ - თბილისის ტურნირზე, მანამდეც თუ უფრო გვიან?**

- ამას ჯერ ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ ევროპის ჩემპიონატამდე მოხდება. მათ აუცილებლად წავიყვანთ შეკრებაზე ბაკურიანში, რადგან ეს მთელი წლის მარაგია, როგორც ფიზმომზადებისთვის განკუთვნილი შეკრება. აი, ამის შემდეგ უკვე ბევრი რამ დალაგდება და ბევრიც გაირკვევა.

**- რამდენიმემ ახალ წონაში იჭიდავა. მათ საბოლოოდ შეიცვალეს წონითი კატეგორიები და მიმდინარე სეზონს ახალ წონაში ჩაატარებენ თუ მისცემთ ძველში დაბრუნების უფლებას?**

- როგორც ვიცი, მათ ახალ წონებში გადაწყვიტეს ჭიდაობა და მომავალშიც ასე გაგრძელდება. როცა ოლიმპიური ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაზე ჩამოვყალიბდებით, ალბათ, ბევრი კამათი და პირადად ჩემთვის უსიამოვნო ლაპარაკიც იქნება მათ შერჩევაზე, მაგრამ მიმაჩნია, რომ, მაგალითად, ნესტორ ხერგიანი ის მოჭიდავეა, რომელიც ნაკრებში უნდა იყოს როგორც მაგალითის მიმცემი. იგივე ითქმის ზურაბ ზვიადაურზეც, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონია, დღესაც საკმაოდ კარგად იჭიდავა და ოლიმპიურ ნაკრებში მოხვედრის სურვილი აქვს. ამაში ხელი არ უნდა შევუშალოთ, თუმცა ისიც მინდა ვთქვა, რომ ნაკრებში ადგილი გარანტირებული არავის ექნება. ნურავის ეგონება, რომ ან ჩემპიონობა, ან სამეულში მოხვედრა ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე ან ოლიმპიადაზე ავტომატურად წასვლას ნიშნავს. ჩვენ გვექნება მოსამზადებელი ეტაპი და ვინც უკეთესად გაივლის მას, ნაკრებშიც ის მოხვდება. თუმცა ამასაც მწვრთნელთა საბჭო გადაწყვეტს - ნაკრების შემადგენლობაზე საბოლოო დასკვნას ის გააკეთებს.

ირაკლი თავაძე

ჭადრაკი



# ლიდერებს მდევართა სუნთქვა ესმით

დიდოსტატმა თამარ წერეთელმა ზაფხულში წარმატებით ითამაშა თურქეთისა და აზერბაიჯანის საერთაშორისო ტურნირებზე, რომლებშიც ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა, სხვა შეჯიბრებებზეც გამოიჩინა თავი. და აი, საქართველოს ქალთა ჩემპიონატის პირველი ლიგის შეჯიბრებაშიც გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევს. გუშინ მეექვსე ტურში მისი მეტოქე იყო **ინგა ხურცილავა**. შავი ფიგურებით წერეთელმა გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწია და გათამაშების ცხრილში მეხუთე ქულა ჩაიწერა. მსგავს წარმატებას მიაღწია **ანა გავაშელმა**, ოღონდ მან თეთრებით სძლია **სოფიო ნიკოლაძეს.**

ხუთი ტურის შემდეგ ხუთ მოჭადრაკეს 3,5-3,5 ქულა ჰქონდა. გუშინ მათი პარტიები ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ: **ინგა ჭარხალაშვილი-მაკა ფურცელაძე, ქეთი ნაწალაშვილი-მერი არაბიძე, ალა ვახანია-მარიამ დანელია.** ტურის მოულოდნელობა ის იყო, რომ **ლიკა კობეშავიძემ** ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი, დიდოსტატი **სოფიკო გურამიშვილი** დაამარცხა. მეწინავეთა ჯგუფის დანარჩენი პარტიების შედეგები ასეთია: **მერი ჟორჟოლიანი-თეკლა მაჭარაშვილი** 1:0, **ნინო ბაციაშვილი-სალომე ხაჟომია** 1:0, **ნათია ჯალაბაძე-თამარ ხმიადაშვილი** 1:0, **ლილე ცალუღელაშვილი-სოფიო გვეტაძე** 0:1.

ამრიგად, ექვსი ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილს სათავეში უდგანან თამარ წერეთელი და ანა გავაშელი. ლიდერებს თითო ქულით ერთბაშად 12 მოჭადრაკე ჩამორჩება.

დღეს მე-7 ტურში ითამაშებენ: თამარ წერეთელი (5)-ანა გავაშელი (5), სოფიკო ნიკოლაძე (4)-ინგა ჭარხალაშვილი (4), მარიამ დანელია (4)-ინგა ხურცილავა (4), მერი არაბიძე (4)-ნინო ბაციაშვილი (4), ლიკა კობეშავიძე (4)-ქეთი ნაწალაშვილი (4), სოფიო გვეტაძე (4)-მერი ჟორჟოლიანი (4), მაკა ფურცელაძე (4)-ნათია ჯალაბაძე (4).

ტიგრან პეტროსიანის მემორიალზე 5 ტურის შემდეგაც არ შეცვლილა ერთპიროვნული ლიდერი — 4,5 ქულით **დავით ჯოჯუა** მეწინავეობს. მას ნახევარნახევარი ქულით ჩამორჩებიან **ლევან ფანცულაია, ნინო ხურციძე, გაიოზ ნიგალიძე, თამაზ მგელაძე, დავით ბენიძე და ლუკა პაიჭაძე.**

მე-6 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ჯოჯუა-ფანცულაია, ბენიძე-ხურციძე, პაიჭაძე-ნიგალიძე, **გიორგი ბალათუროვი** (3,5)-მგელაძე, **შოთა აზალაძე** (3,5)-**ლევან ბრეგაძე** (3,5), **ბაჩანა მორჩიაშვილი** (3)-**ზვიად ფაცია** (3,5).

ვაჟა დანელია

თავისუფალი ჭიდაობა

# წახალისებამ გამოაცოცხლა...

საქართველოს ოლიმპიური მზადების ეროვნულ ცენტრში ორი ასაკობრივი ჯგუფის ტურნირი ჩატარდა თავისუფალ ჭიდაობაში.

სამ ხალიჩაზე პარალელურად ასპარეზობდნენ უმცროსი — 1997-1998 და უფროსი — 1995-1996 წლებში დაბადებული ჭაბუკები. სულ 245 მოჭიდავე.

ეს იყო ოლიმპიური ცენტრის მწვრთნელთა ინიციატივით გამართული შეჯიბრება. მოგეხსენებათ, არცთუ ისე ხშირად ტარდება მსგავსი შეჯიბრებები ქვეყნის მასშტაბით. ამიტომ რაიონების მონდომებული მწვრთნელები შანსს არ უშვებენ ხელიდან თავიანთი შეგირდების გამოსაცდელად.

ბოლო დროს ზოგ რაიონში თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელებმა მუშაობა საგრძნობლად გააუმჯობესეს. ამის მიზეზი, ვფიქრობ, წარმატებული მწვრთნელების ფინანსური წახალისება უნდა იყოს.

ამბროლაურის და ამავე რაიონის სოფელ ჭრებალოს მოჭიდავეებს, მაგალითად, შინ აქვთ მწვავე კონკურენცია, რაც უკეთესი შედეგის საწინდარია.

თავისუფალი ჭიდაობის დანერგვა დაიწყეს ბაღდათშიც. კარგად მუშაობს წყნეთის, საგარეჯოს, კასპის, რუსთავის, სოფელ გამარჯვების, დედოფლისწყაროს ჯგუფები, რასაც ვერ ვიტყვით გურია-სამეგრელოს რაიონებზე...

ამ ასაკობრივ ჯგუფში 2010 წელს მხოლოდ 1995-1996 წლებში დაბადებულ თავისუფალ მოჭიდავეთა საქართველოს პირველობა გაიმართება. უმცროს ასაკში კი მხოლოდ მსგავს ტურნირებზე იასპარეზებენ. როდესაც ამ ტურნირის პერიპეტიებს ვუყურებდით, შთაბეჭდილება ერთობ დამაიმედებელი დაგვრჩა. თუ ასე გააგრძელეს და, ვფიქრობ, ასეც იქნება, ამ მოზარდებიდან რამდენიმე უეჭველად დადგება დიდი ფალავანი.

გზგაცნობთ გამარჯვებულებს.

**1997-1998 წლებში** დაბადებულები: **გიორგი ელბაქიძე** (23 კგ), **გიგი მელაშვილი** (26, ორივე — ამბროლაური), **გიორგი კარატიელი** (29, დედოფლისწყარო), **ალექსანდრე ლომიძე** (32, ხაშური), **სიმონ ოსკანიანი** (35, ქარელი), **გიორგი ყაზარაშვილი** (38, კასპი), **ავთანდილ კენჭაძე** (42, ამბროლაური), **ზაურ ბერაძე** (46, კარტოზიას კლუბი) **ჰუსეინ გულიევი** (50, ქარელი), **თორნიკე კიკნაძე** (54, ხაბელოვის კლუბი), **სტეფანე ინდუაშვილი** (58), **ჯონი პეტრიაშვილი** (63, ორივე — გორი), **ნიკა მელიქიშვილი** (69, რუსთავი).

**1995-96 წლებში** დაბადებულები: **ლაშა აბუთიძე** (35 კგ, ამბროლაური), **ნიკა თუშიშვილი** (38), **მიხეილ მამუკაშვილი** (42, ორივე — საგარეჯო), **ლერი კვიციანი** (46, ხაბელოვის კლუბი), **ლევან სიბაშვილი** (50, სოფ. დიღომი), **ნიკა კაპანაძე** (54, ხაშური), **მუხრან ნარსავიძე** (58, „მართვე“, თბილისი), **გიორგი ბეჭიაშვილი** (63, საგარეჯო), **გიორგი ჩხარტიშვილი** (69, კარტოზიას კლუბი), **ვალერი კბილაშვილი** (+69, ოლიმპიური მზადების ცენტრი).

გაბრიელ ბარჯაძე

# კიბორძალიძის ტურნირზე ქვემო ქართლმა იპირველა

ზამთრის დადგომასთან ერთად ქუთაისში ძიუდოს დღეები დაიწყო. როგორც მოგეხსენებათ, იმერეთის სატახტო ქალაქმა ახლახან ძიუდოში საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა, ცოტა ხნის წინ აქ იმერეთის ჩემპიონატიც ჩატარდა, ამ ღონისძიებებს შორის კი ქუთაისის სპორტის სასახლემ ევროპის ჩემპიონისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის **აკაკი კიბორძალიძის** სახელობის საერთაშორისო გუნდურ ტურნირს უმასპინძლა, რომელიც 1992-93 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა შორის გაიმართა. საერთაშორისო ტურნირი კი ერქვა, მაგრამ ისე მოხდა, რომ შეჯიბრებაში მხოლოდ საქართველოს რეგიონებისა და ქალაქების 9 გუნდმა მიიღო მონაწილეობა. ტურნირში თბილისის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, მცხეთა-მთიანეთის, გურიის, ქუთაისის და იმერეთის გუნდებმა იასპარეზეს, რომლებიც ერთმანეთს 8 წონით კატეგორიაში გაეჯიბრნენ. ფინალში იმერეთისა და ქვემო ქართლის გუნდები გავიდნენ. დაძაბული ორთაბრძოლა ქვემოქართლელთა გამარჯვებით 4:3 დასრულდა. გამარჯვებული გუნდი ტურნირზე ასეთი შემადგენლობით ასპარეზობდა: **აბესალომ აბესაძე**(55კგ), **ტარიელ ნამგალაური**(60), **ბაჩანა ტიტვინაძე**(66), **ბექა რატიანი**(73), **ფრიდონ გიგანი**(81), **ბექა ვიბლიანი**(90), **ბექა მატიაშვილი**(100), **სემლარ მილდიანი**(+100). მე-2 ადგილზე გასულ იმერეთის ნაკრებში კი ამ ძიუდოისტებმა იჭიდავეს: **ლერი ჭელიძე** (55), **ლაშა კვირიკაშვილი** (60), **ნუგზარ ქურასბედიანი** (66), **ბექა ტულუში** (73), **თამაზ ონიანი** (81), **გიორგი ჯიბლაძე** (90), **ელგუჯა ბიბილაშვილი** (100), **როსტომ ხახალეიშვილი** (+100).

მესამე საპრიზო ადგილზე თბილისის ნაკრები გავიდა, მეოთხე ადგილი კი შიდა ქართლის გუნდმა მოიპოვა. გამარჯვებულები და პრიზიორები ქუთაისის მერიის კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და განათლების საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ დაწესებული თასებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ. ასევე საპრიზო სამეულის უკლებლივ ყველა ძიუდოისტს საჩუქრად მობილური ტელეფონებიც გადაეცა.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

კალათბურთი

ლეგიონერები




მანუჩარ მარკოიშვილი



ვიქტორ სანიკიძე (მარცხნივ)

# ტყუპი ერთიანები

## მარკოიშვილისა და სანიკიძის დუელის მოლოდინში

**მანუჩარ მარკოიშვილსა** და **ვიქტორ სანიკიძეს** იტალიის პირველობის მეცხრე ტურში თითქმის იდენტური მონაგარი ჰქონდათ. ქულათა უმეტესობა ორივემ მეოთხე პერიოდში ჩააგდო, 5-5 ორქულიანიდან 3-3 გამოიყენა და მატჩი 11-11 ქულით დაასრულა.

სანიკიძის „ვირტუსმა" სტუმრად „ფერარა" დაამარცხა - 90:73. მარკოიშვილის „კანტუმ" ასევე საგარეო შეხვედრაში „კასერტასთან" წააგო - 67:82.

■ ■ ■

წინა ტურში „კასერტამ" ვიქტორის „ვირტუსი" ბოლონიაში დაამარცხა, თუმცა კვირას საშინაო შეხვედრაში „კანტუსთან" გამარჯვება გარანტირებული მაინც არ ჰქონდა, რადგან მანუს „კანტუ" ფეთქებადი გუნდია და სამი გასვლითი მატჩი აქვს მოგებული.

კანტუელებმა „კასერტასაც" დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, პირველ პერიოდში წინ გაჭრილ მასპინძლებს დიდი შესვენების შემდეგ ანგარიში გაუთანაბრეს - 40:40. გამაყაიმებელი ორქულიანი მარკოიშვილის ანგარიშზეა. მან მალე „კანტუ" დააწინაურა კიდეც - 43:42. მანუჩარი მეოთხე რაუნდს 4-ქულიანი მონაგარით შეხვდა, ხოლო „კანტუ" 6-ქულიანი ჩამორჩენით - 50:56.

გადამწყვეტი რაუნდის დაწყებისთანავე მანუჩარმა მეოთხე ჯარიმა მიიღო. მწვრთნელმა იგი სათადარიგოთა სკამზე დასვა, რათა ბოლო წუთებისთვის შემოენახა, თუმცა არ დასცალდა - „კასერტამ" სხვაობა 9 ქულამდე გაზარდა და **ანდრეა ტრინჩიერი** იძულებული იყო, ქართველი მოედანზე დაებრუნებინა. ჯარიმებით თუ ორქულიანებით მანუმ მეოთხე რაუნდში 7 ქულა მიითვალა, 39-ე წუთამდე თანაგუნდელებს რვაქულიან ჩამორჩენას უნარჩუნებდა, მაგრამ ბოლო წუთზე კასერტელმა **ები ერემ** ზუსტად ისროლა და „კანტუ" 67:82 დამარცხდა.

კანტუელთა ბოლო ქულა მარკოიშვილის ანგარიშზეა.

■ ■ ■

ვირტუსელთა ბოლო, 90-ე ქულაც ჩვენებურის ვიქტორ სანიკიძის ანგარიშზეა. თუ მარკოიშვილს საწყის 30 წუთში 4 ქულა ჰქონდა ჩაგდებული, სანიკიძეს ერთადერთი სამიანი ჰქონდა გამოყენებული. ვერც მოხსნების სიმრავლეს მოვუწონებდით. თუმცა ესპანელი ცენტრის, **ფახარდოს** დაბრუნების შემდეგ სანიკიძეს ისევ ფორვარდობა დაავალეს და წინა მატჩებისგან განსხვავებით ფარქვეშ ბევრი არ უტრიალია. აქვე დავამატებთ, რომ „ვირტუსი" მეტოქეს მოხსნებში აშკარად ჩამორჩა - 24:35. საყურადღებოა, რომ პირველ ტაიმში ბოლონიელებს მხოლოდ 14 მოხსნა ჰქონდათ.

ფარქვეშ მოპოვებული უპირატესობა „ფერარამ" სათანადოდ ვერ გამოიყენა, რაც უმთავრესად სანიკიძის, **პეტრი კოპონენისა** და **დევიდ მოსის** დამსახურება იყო. მეოთხე პერიოდის დასაწყისში ქართველმა ფორვარდმა ორი ორქულიანით თანაგუნდელებს 7-ქულიანი ფორა შეუნარჩუნა (69:62), ხოლო მისი ორი საჯარიმოს შემდეგ სხვაობა 14-მდე გაიზარდა (76:62). სირენამდე 5 წუთით ადრე ასეთი უპირატესობა უკვე გამარჯვებას ნიშნავდა. თუმცა ვიქტორი არ შეჩერებულა - წერტილი როგორ დასვა, უკვე გითხარით...

დევიდ მოსმა და პეტრი კოპონენმა 24-24 ქულა ჩააგდეს. მესამე იყო ვიქტორი - 11. გარდა ამისა, სანიკიძის ანგარიშზე 3 მოხსნაა.

■ ■ ■

ბოლო ტურამდე „ვირტუსსა" და „კანტუს" მოგებათა თანაბარი რაოდენობა ჰქონდათ. მე-9 ტურის შემდეგ მათი გზები გაიყო - სანიკიძის გუნდი მესამეზე ავიდა (6 მოგება, 3 მარცხი), ხოლო მანუჩარისა - მერვემდე დაეშვა (5 მოგება, 4 მარცხი).

მეათე ტურში ჩვენთვის საინტერესო მატჩი გაიმართება: 12 დეკემბერს მარკოიშვილის „კანტუ" სანიკიძის „ვირტუსს" უმასპინძლებს. მატჩი თბილისის დროით 23 საათზე დაიწყება.

შეგახსენებთ, რომ 2004 წელს ფიბა-ს თასის ფინალში მანუს „მიტელდოიჩერი" ვიქტორისა და **ვახტანგ ნაცვლიშვილის** „დიჟონს" დაუპირისპირდა, თუმცა მაშინ სანიკიძეს არ უთამაშია.

ვაჟა სიმონიშვილი

# ბუდუჩნოსტმა ნაკრები გაგვახსენა

**ვლადიმერ ბოისას** "ზადარმა" ადრიატიკის თასზე "ბუდუჩნოსტთან" სტუმრად 81:97 წააგო. ზადარელებს ამ ტურნირში ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი ჰყავთ და ფინალურ ოთხეულში გასვლასაც აპირებენ, თუმცა ჩერნოგორიულმა გუნდმა მესამე პერიოდის შემდეგ ხელები ააწევინა – 30 წუთი 80:61 მოუგო.




ვლადიმერ ბოისა (ბურთით)

ყურადღებას კიდევ ერთხელ გავამახვილებთ: "ბუდუჩნოსტი" ჩერნოგორიის წარმომადგენელია. მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნის ნაკრებმა A დივიზიონის საგზური მოიპოვა, ჩერნოგორიელები დაფაცურდნენ და ნაკრებისთვის საბაზოდ ძლიერი გუნდი შეკრიბეს. დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, ისინი უახლოეს ევრობასკეტზე ითამაშებენ...

... A დივიზიონის საგზური საქართველოს ნაკრებმაც მოიპოვა, მაგრამ ჩვენ ჯერაც ვერ მივმხვდარვართ, რომ ეროვნული გუნდის წარმატება თუ გვინდა, მას ერთი საბაზო კლუბი აუცილებლად სჭირდება. საქართველოში კი კალათბურთელები ხურდებზე თამაშობენ, ნახევარი სულაც უხელფასოდაა... ევროტურნირებზე გასვლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ასეთი გადახვევისკენ "ბუდუჩნოსტის" დამაჯერებელმა თამაშმა გვიბიძგა. წლეულს თუ არა, ჩერნოგორიელებს გაისად აუცილებლად უნდა მივბაძოთ, თორემ თუ ასე გავაგრძელეთ, ევროპის ჩემპიონატი კი არა, A დივიზიონიც სანატრელი გაგვიხდება.

ვლადიმერ ბოისა "ბუდუჩნოსტთან" სასტარტო ხუთეულში იყო, 30 წუთი ითამაშა, 5 ქულა, 2 მოხსნა და 1 პასი მიითვალა.

6 მოგებით და 4 წაგებით "ზადარი" ადრიატიკის ლიგის ცხრილში მეოთხე ადგილზეა.

ხორვატები მომდევნო მატჩში, 12 დეკემბერს "ცრვენა ზვეზდას" უმასპინძლებენ.

ვაჟა სიმონიშვილი



# გამყრელიძემაც 11

მიმდინარე ბუნდესლიგაში მეტად უცნაურად თამაშობს „მიტელდოიჩერი". **ლაშა გამყრელიძის** გუნდი, ბოლო ოთხი ტურია, შინ აგებს, სტუმრად იგებს.

მე-12 ტურში „მიტელდოიჩერმა" „ბრაუნშვაიგს" უმასპინძლა და, როგორც მიხვდით, დამარცხდა - 75:82.

მასპინძლებმა ოდენ პირველი პერიოდის მოგება მოახერხეს - 25:20, დარჩენილ დროში ბრაუნშვაიგელები ყოჩაღობდნენ...

ლაშა გამყრელიძემ მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო და გუნდის ვიცე-ბომბარდირი გახდა - 11 ქულა ჩააგდო (8-დან 4 ორქულიანი, 5-დან 3 საჯარიმო). ამასთან, ლაშამ 2-2 ჩაჭრა-პასი და 3 მოხსნა მიითვალა.

ბომბარდირი „დოიჩერის" ამერიკელი ლეგიონერი **ჯონი ჯილბერტი** იყო - 15 ქულა.

7 მოგებითა და 5 წაგებით „მიტელდოიჩერი" მეცხრე ადგილზეა. პლეი ოფში საუკეთესო რვა გუნდი გადის.

ვაჟა სიმონიშვილი

# საბერძნეთიდან კარგი არაფერი ისმის...

საბერძნეთის ჩემპიონატში **ნიკა ცქიტიშვილის** გუნდმაც ითამაშა, **გიორგი შერმადინისამაც** და **გიორგი ცინცაძისამაც**, თუმცა მოედანზე მხოლოდ ცინცაძე ვიხილეთ. მისი „ტრიკალა" შინ „მარუსთან" შერცხვა - 69:81. „ბუმ" 18 წუთში 4 ქულა, 3 მოხსნა და 2 შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

მოიგო გიორგი შერმადინის „პანათინაიკოსმა", თუმცა მწვრთნელმა **ჟელკო ობრადოვიჩმა** ქართველი მეფარე მოედანზე არ შეიყვანა. "მწვანეებმა" ათენში პაოკ-ი ძლივს დაამარცხეს - 83:78.

ცქიტიშვილის „პანიონიოსმაც" გაიმარჯვა. მან „არისს" 74:70 სძლია. ნიკას არ უთამაშია...

შეგახსენებთ, რომ იგი გასულ კვირას ესპანეთში გაიქცა, „ფუენლაბრადაში" აპირებდა თამაშს, თუმცა ფიბა-მ ბერძნული მხარე გაამართლა და ქართველს ათენში დაბრუნება მოუხდა. რას გადაწყვეტს ცქიტიშვილი, დარჩება თუ არა „პანიონიოსში," ამის შესახებ ჯერ ვერაფერს გეტყვით. იგი ამ საკითხზე გუნდის უფროსობას უნდა დაელაპარაკოს.

ვაჟა სიმონიშვილი



გიორგი ცინცაძე (მარცხნიდან მეორე) ცდილობდა თამაშისთვის თვალი აერიდებინა

ჩოგბურთი

# უცნაური დაქვეითება



ერთი-ორ გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით, ქართველ ჩოგბურთელებს ახალ რეიტინგში ცვლილებები ნაკლებად შეეხოთ. ამიტომ მხოლოდ ჩამონათვალს შემოგთავაზებთ: 176 (-) **ანა ტატიშვილი** - 328 ქულა; 180 (-) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 320; 205 (+1) **მაკა ჩახნაშვილი** - 258; 354 (-2) **სოფიო შაფათავა** - 109; 431 (-2) **სოფიო ქვაცაბაია** - 80; 478 (-1) **მანანა შაფაქიძე** - 66; 485 (+3) **თათია მიქაძე** - 65; 540 (-58) **ეკა გორგოძე** - 50; 1020 (+4) **მაგდა ოქრუაშვილი** - 6; 1077 (+7) **ანა ჯიქია** - 4. ვაჟებში **ნიკოლოზ ბასილაშვილი** 48 ქულით მსოფლიოს 577-ე (-1) ჩოგანია, სხვა ჩვენებურები ათასეულში არ არიან.

როგორც ხედავთ, მხოლოდ გორგოძეს აქვს დიდი რეგრესი (58 საფეხურით ჩამოქვეითდა). ამის მიზეზი კი ცოტა უცნაურია, შარშან ამ დროს გორგოძეს არსად უთამაშია, ქულები კი მას ასაკობრივი წესის დარღვევისთვის (იმაზე მეტ ტურნირში შეიტანა განაცხადი, ვიდრე მის ასაკში შეიძლებოდა) ჩამოაკლდა. გორგოძე გასულ კვირაში გახდა 18 წლის.

ნიკოლოზ ნეფარიძე

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



საუნივერსიტეტო სპორტი

# საუკეთესო ვარიანტი: რექტორის სურვილი და მონდომება

საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი ლიდერია უმაღლეს სასწავლებლებში. ვერ გეტყვით, სხვა დარგებში როგორ, მაგრამ სპორტი რომ ამ უმაღლესში მართლაც უმაღლეს დონეზეა, ამაში სულ მალე თავად დარწმუნდებით.

"ლელოს" სტუმარია აგრარული უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი გელა ჯავახიშვილი.

**– ერთ დროს სპორტის ბუმი იყო სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ახლა ამ სასწავლებლებში რატომღაც განელდა ინტერესი, თქვენთან კი ბევრი კეთდება ტრადიციების აღსადგენად და გასაღრმავებლად...**

– 70-იან წლებამდე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი არც ერთ უმაღლეს სასწავლებელს ტოლს არ უდებდა. მერე რატომღაც სპორტსმენები იურიდიულ, ისტორიის და სხვა ფაკულტეტებს მიეძალნენ. არადა, თავის დროზე კახი ასათიანი და ვლადიმერ უგრეხელიძე ჩვენი ინსტიტუტის მექანიზაციის, ლევან მოსეშვილი, მურმან ქურიძე (არ მინდა, ვინმე გამომრჩეს) კვების პროდუქტების ტექნოლოგიის ფაკულტეტებზე სწავლობდნენ. ანუ ეს ინსტიტუტი, ასე ვთქვათ, მოდაში იყო. შემდეგ რატომღაც „მოდიდან გავიდა" და შესაბამისად, სპორტული პოტენციალიც დაიკარგა.

საუნივერსიტეტო სპორტის გარეშე წარმოუდგენელია ზოგადად სპორტის განვითარება. უნივერსიტეტებში ძირითადად თავმოყრილია იმ ასაკის ახალგაზრდობა (18-22 წელი), რომლებიც სწორედ ამ წლებში უნდა დაოსტატდნენ, მოხვდნენ ეროვნულ ნაკრებებში. სწორედ სასწავლებლის ტრადიციებმა გადამაწყვეტინმა, მიმეხადა საუნივერსიტეტო სპორტისთვის.



გელა ჯავახიშვილი

**– რაც თქვენ შეძელით, სხვა უმაღლესი სასწავლებლები ამის მეოთხედსაც ვერ ან არ აკეთებენ...**

– ჩემგან უხერხულია სხვა უნივერსიტეტებზე ლაპარაკი. ვფიქრობ, მთავარია, იყოს სურვილი და მონდომება

**– სურვილი სურვილად, ფინანსები?**

— ძირითადად ჩვენი კურსდამთავრებულები, მეტ-ნაკლებად წელში გამართული ხალხი შემოწირულობებით გვეხმარება. ცხადია, უნივერსიტეტსაც აქვს თავისი სახსრები.

**– თქვენს სასწავლებელში ათამდე სპორტის სახეობაა განვითარებული, გაქვთ დარბაზები, გყავთ რამდენიმე გუნდი...**

– მხოლოდ ფეხბურთში გვიჭირს. ჩვენი სახელით ორი გუნდი კი გამოდის, მაგრამ გვინდა, ძველი ტრადიციები აღვადგინოთ. სამწუხაროდ, არა გვაქვს მოედანი. ამ ათი წლის წინათ ჩვენი მოედანი იჯარით გადაეცა ფეხბურთის ფედერაციას. ხელშეკრულებაში წერია, რომ ფედერაციამ აგრარული უნივერსიტეტი უნდა მოამარაგოს რამდენიმე კომპლექტი სპორტული ეკიპირებით, ინვენტარით, ბურთებით, უნდა გაკეთებულიყო ორი სტადიონი და ერთ სტადიონზე ჩვენი უნივერსიტეტის გუნდი ივარჯიშებდა, შეხვედრებს ჩაატარებდა. ამ ათი წლის განმავლობაში ფედერაციას არანაირი პირობა არ შეუსრულებია. ახლა ახალი ხელმძღვანელობის იმედი გვაქვს. ძალიან მინდა, უნივერსიტეტში აღდგეს ფეხბურთი და რაგბი, ამ სახეობებში ყოველთვის გვქონდა მიღწევები.

**– დავუშვათ, ფედერაციის ახალმა ხელმძღვანელობამაც არ შეასრულა დანაპირები, მოედნის დაბრუნების უფლება ხომ გაქვთ?**

– ორმოცი წლის შემდეგ კი დავიბრუნებთ, მაგრამ შეიძლება, ორმოცი წელიწადი ამხელა უნივერსიტეტს მოედანი არ ჰქონდეს?! არა მგონია, ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობა არ მიესალმოს, ჩვენი გუნდი საქართველოს რომელიმე ლიგაში თუ ითამაშებს...

**– რაგბის ტრადიციები ახსენეთ, გუნდი ხომ გყავთ?**

– დიახ, სტუდენტურ თამაშებში მონაწილეობს. ჩვენ არ გვინდა რეკლამა და პიარი. ჩვენი ნიშნავს ჩვენს! აქ რომ ივარჯიშებს, აქ, საკუთარ მოედანზე ითამაშებს შინაურ მატჩებს, ამ უნივერსიტეტის ცხოვრებით რომ იცხოვრებს...

ხუთი ათასზე მეტი სტუდენტი გვყავს და დარწმუნებული ვარ, ამ ხუთი ათასიდან ფეხბურთისა და რაგბისთვისაც შეირჩევიან პერსპექტიული, მაგარი ბიჭები. ჩვენი სტუდენტები სხვა გუნდებში თამაშობენ. მაგალითად, კლიმიაშვილი „ვიტ-ჯორჯიაში" თამაშობს. მარცვალაძე ჩვენთან სწავლობდა, ბევრი ფეხბურთელი იყო ზოოვეტში... წლეულს კალათბურთელებში უკვე შევსებაა, ახალი თაობა მოვიდა. რომ ეცოდინებათ, რაგბის გუნდი გვყავს, სიამოვნებით გახდებიან მორაგბეები ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები.

**– სასიამოვნო და სასიხარულოა, რომ ქართული ჭიდაობის გუნდი გყავთ და შეჯიბრებებსაც ატარებთ...**

– ეს ჩემი იდეაა. სპორტის ცენტრის ხელმძღვანელობას შევხვდი და შევთავაზე წინადადება, ჩვენი ცნობილი სპორტსმენების სახელობითი ტურნირების ჩატარება დაგვეწყო. გადავწყვიტეთ დაფინანსების პრობლემა.

მალე ფუტზალში კახი ასათიანის მემორიალს ჩავატარებთ, გაზაფხულზე ვლადიმერ უგრეხელიძის სახელობის ტურნირს გავმართავთ, ანზორ კიკნაძისას...

ქართული ჭიდაობის ფედერაციის თანადგომით უკვე მეორედ ვუმასპინძლეთ უნივერსიტეტის ღია პირველობას, რომელშიც საქართველოს ყველა აკრედიტებულმა უნივერსიტეტმა მიიღო მონაწილეობა.

სხვათა შორის, ცხენოსნობის განვითარებასაც ვაპირებთ.

**– ეს ხომ ძალიან ძვირად ღირებულია.**

– გეთანხმებით, მაგრამ შესაძლოა, უცხოელი პარტნიორები დაგვეხმარონ ან ვილაც ამოგვიდგეს მხარში. ხომ გითხარით, მთავარია სურვილი და მონდომება...

**– ბატონო გელა, საუნივერსიტეტო სპორტი ერთია და დიდი სპორტი სულ სხვა. თქვენი კალათბურთელთა გუნდი სუპერლიგაში თამაშობს, შარშან ვერცხლის მედლები მოიპოვა და წლეულსაც ჯერჯერობით უდანაკარგოდ მიიწევს წინ...**

– ერთ დღეს დავსხედით და დავიწყეთ ბჭობა, რომელი სახეობიდან დაგვეწყო. ფეხბურთი ცოტა უფრო ძვირად ღირებულია, რაგბი გაცილებით იაფია, გარდა ამისა, ჩვენს უნივერსიტეტში მუდამ სწავლობდნენ ჯანმაგარი ბიჭები, მაგრამ არ გვაქვს მოედანი.

გადავწყვიტეთ დაგვეწყო კალათბურთით, ხელბურთითა და ფრენბურთით. ხელბურთში „საუ-მამული" ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში, გვყავს ფრენბურთელ გოგონათა და ვაჟთა გუნდები. კალათბურთი კი იმიტომ ჩანს, რომ მეტი პროპაგანდა აქვს, ტელევიზიით გადაიცემა რეპორტაჟები. აქ არ იყო დიდი კაპიტალდაბანდება საჭირო. გვაქვს დარბაზები. საზღვარგარეთ შევუკვეთეთ ფარები თავისი ტაიმერებით, ტაბლოები. დარბაზს აუცილებლად გავარემონტებთ ფიფას სტანდარტების დაცვით, რათა საერთაშორისო ოფიციალური მატჩების გამართვა შევძლოთ. ტრიბუნები რვაას კაცამდე იტევს, არის გასახდელები, საშხაპეები, გათბობა განათლების სამინისტროს დახმარებით მოვაწესრიგეთ.

**– შარშანდელი ვერცხლისმედალოსნები როგორ წაახალისეთ?**

– გუნდს შევპირდი, თუ ჩემპიონობას მოვიპოვებდით, სერიოზულად წავახალისებდი. სპონსორებიც დავიყოლიე. სამწუხაროდ, ეს არ მოხდა, მაგრამ უნივერსიტეტმა სააქტო დარბაზში მაღალ დონეზე მოუწყო შეხვედრა, გაიმართა კონცერტი, ბიჭებს გადავეცით მცირე საჩუქრები...

**– ფანკლუბიც გყავთ...**

– სპორტის სასახლეში ათასამდე ჩვენი სტუდენტი მოდის ჯგუფელების, კურსელების საქომაგოდ. ძალიან მიხარია, ასეთი ურთიერთობა რომ ყალიბდება. ფანკლუბის წევრებს დაფინანსებას შევპირდი, რომ დამჭირდეს, ჩემი ხელფასიდან მივცემ. გაგეცინებათ, მე თვითონ ვხატავ უნივერსიტეტის სპორტული კლუბის ლოგოს, მინდა, აგრარული სიმბოლიკაც იყოს. ალბათ მივცემთ მაისურების, კეპების შეკვეთას, რითაც იმოსებიან ფანკლუბების წევრები...

ესაუბრა
**გიორგი ყიფშიძე**

---

**თბილისის ფეხბურთის ფედერაცია თანაუგრძნობს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარეს, დავით ნამგალაურს დედის გარდაცვალებით გამოწვეულ ღრმა მწუხარებაში.**

**ქუთაისის მერიის კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის და განათლების საქმეთა სამსახური თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარეს, დავით ნამგალაურს დედის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარეს, დავით ნამგალაურს დედის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარეს, დავით ნამგალაურს დედის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაცია სამძიმარს უცხადებს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარეს, დავით ნამგალაურს დედის გარდაცვალების გამო.**

---

რაგბი

ინტერვიუ გიორგი ნიყარაძესთან

# შავი ზღვის თასი თბილისში



გიორგი ნიყარაძე

**ახლახან დუბლინში გაიმართა IRB-ის გენერალური ასამბლეა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გიორგი ნიყარაძემ. ასამბლეაზე რამდენიმე საჭირბოროტო საკითხი განიხილეს, რომელთაგან უმრავლესობა მჭიდროდაა დაკავშირებული ქართულ რაგბისთან, მის შემდგომ განვითარებასთან. მსოფლიო რაგბის მმართველ ორგანოში განვითარებული მოვლენების პერიპეტიებზე რაგბის კავშირის პრეზიდენტს ვესაუბრეთ.**

- IRB-ის გენერალურ ასამბლეაზე ძირითადი განსახილველი თემა სტრატეგიული განვითარების ათწლიანი გეგმა იყო. გაკეთდა განვლილი პერიოდის ფინანსური ანგარიში. ისაუბრეს კრიზისის გამო მომხდარ ცვლილებებზე. ძალიან ბევრი ქვეყნის ფედერაციას დახმარების ოდენობა შეუმცირეს. ჩვენ შეიძლება სეკვესტრი არ შეგვეხოს, ან შესაძლოა, დაფინანსება 9 პროცენტით შეგვიმცირდეს.

საკმაოდ დიდი დრო დაეთმო შვიდკაცა რაგბის განვითარების საკითხს. IRB-ის მაღალჩინოსნები მალე დაიწყებენ სამუშაო შეხვედრებს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში, სადაც დააყენებენ ოლიმპიადაზე გუნდების რაოდენობის გაზრდის საკითხს. ამ მოთხოვნას ასამბლეაზე ყველა მონაწილემ დაუჭირა მხარი. 12 გუნდი ნამდვილად ცოტაა. ახლა IRB-ის მიზანია, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ეს რაოდენობა მინიმუმ თექვსმეტამდე და მაქსიმუმ ოცდაოთხამდე გააზრდევინოს.

**- ბოლო დროს IRB-ში ბევრს ლაპარაკობენ რაგბის კომერციალიზაციის თემაზე. როგორია ქართული რაგბის მდგომარეობა ამ მიმართულებით?**

- ამ მხრივ საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაში ვართ. თუ ერთა თასზე მოასპარეზე გუნდებს განვიხილავთ, ასეთ სურათს მივიღებთ. ოთხი ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყანა, პლუს უზარმაზარი, უდიდესი შესაძლებლობების მქონე რუსეთი და ჩვენ. ჩვენნაირმა პატარა ქვეყანამ სწორი და ეფექტიანი საქმიანობით უნდა დაიცვას თავისი ინტერესები. ჩვენს მუშაობას IRB დადებით შეფასებას აძლევს. ვმუშაობთ განვითარების რამდენიმე პროექტზე, რომლებიც 3-4 წელიწადში ძალიან კარგ შედეგს მოგვიტანს.

სპორტული თვალსაზრისით, როგორც მინიმუმ, უნდა შევინარჩუნოთ ის ნიშა, რაც გვიკავია. აუცილებლად უნდა მოვიპოვოთ 2011 წლის მსოფლიო თასის საგზური, რათა მომდევნო ოთხ წელიწადში ჩვენი იდეებისა და პროექტების განხორციელების საშუალება მოგვეცეს.

აქვე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ათწლიან გეგმაში, ყველას ერთსულოვანი მოთხოვნით, შევა სპეციალური თავი სარაგბო ფასეულობების შესახებ. კომერცია, ცხადია, კარგია, მაგრამ რაგბიმ უნდა შეინარჩუნოს თავისი სულისკვეთება, ფასეულობები, რომლებზეც დღემდე დგას სპორტის ეს სახეობა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი დეტალია.

**- რა უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ IRB-ის „ახალ" მოთხოვნებს ფეხი ავუწყოთ, განვითარება არ შევწყვიტოთ?**

- ამისთვის საჭიროა რაც შეიძლება მეტ ტურნირზე ჩვენი გუნდების თამაში. ასევე აუცილებელია საერთაშორისო ტურნირების ორგანიზებაც ვითავოთ.

უკვე გადაწყვეტილია, რომ 2010 წლის აგვისტოს ბოლოს თბილისში შავი ზღვის თასის გათამაშება გაიმართება. ტურნირი IRB-ის ეგიდით ჩატარდება. მასში მონაწილეობას მიიღებს რუსეთის ოთხი, რუმინეთის ორი და საქართველოს ორი კლუბი. საქართველოდან მონაწილეობას ორი საუკეთესო კლუბი მიიღებს, რომლებსაც საშუალება ექნებათ, სხვა გუნდებიდანაც დაიმატონ მათთვის სასურველი მორაგბეები.

ეს შეჯიბრება ყოველ წელიწადს გაიმართება. მომდევნო ტურნირს რუსეთი უმასპინძლებს, ამის შემდეგ კი რუმინეთი. ამდენად, საქართველოში საკმაოდ მაღალი რანგის ტურნირი სამ წელიწადში ერთხელ გაიმართება. ვფიქრობ, ეს საკმაოდ კარგი სტიმულია ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე კლუბებისთვის, მორაგბეებისთვის. იმედი გვაქვს, ეს ყოველივე სათამაშო დონის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

ასევე გადაწყვეტილია ივნისის ბოლოს ჩვიდმეტწლამდელთა შორის შავი ზღვის თასის გათამაშების გამართვა აჭარაში. აქ ექვსი ქვეყნის ნაკრები იასპარეზებს: საქართველო, რუმინეთი, რუსეთი, უკრაინა, მოლდოვა და პოლონეთი. შეჯიბრების პარალელურად გაიმართება მსაჯთა და მწვრთნელთა სემინარები. ყოველივე ამის ორგანიზება კი, სერიოზული დახმარების გარეშე როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო სექტორის მხრიდან, პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.

**- საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის ხომ არ დაგეგმილა მომავალ წელს გასამართი ტესტმატჩები?**

- ძალების, ყურადღების მთელი კონცენტრაცია 2010 წლის თებერვალ-მარტზე გვექნება გადატანილი. ჩვენ გაისად მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირზე უფრო მნიშვნელოვანი არაფერი გვაქვს. რაც შეეხება ეროვნული ნაკრების შემდგომ გეგმებს, სავარაუდოდ, ივნისში ბუქარესტში ვითამაშებთ IRB-ის ერთა თასზე. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნო, რომ რუმინეთში უძლიერესი შემადგენლობა ალბათ არ გვეყოლება. ამიტომ მწვრთნელებმა საქართველოს A ნაკრებიდან უნდა დაიმატონ მოთამაშეები, რომლებიც ეროვნულ გუნდში კონკურენციას გაზრდიან.

რაც შეეხება საშემოდგომო ტესტებს, შესაძლებლობა მოგვეცა, ტურნე მოვაწყოთ სამხრეთ აფრიკაში, თუმცა ეს ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არა არის.

**- საქართველოს A ნაკრები ახსენეთ. ამ გუნდისთვის თუა დაგეგმილი საწვრთნელი შეხვედრები?**

- საქართველოს A ნაკრები ნოემბერში ბელგიისა და ჰოლანდიის ნაკრებებს სტუმრად დაუპირისპირდება. მანამდე კი, სავარაუდოდ, თებერვალ-მარტში, საწვრთნელ შეკრებას მოვუწყობთ სამხრეთ აფრიკაში. იქვე გამართავენ საკონტროლო შეხვედრებს ადგილობრივ გუნდებთან. სამხრეთ აფრიკის რაგბის ფედერაციიდან თანხმობა უკვე მივიღეთ.

**- გამოდის, საკმაოდ დატვირთული სეზონი გექნებათ.**

- დიახ, ასეა. სხვანაირად წინ ვერ წავალთ, ვერ განვვითარდებით. შინაურ რაგბიში ძალიან ბევრი სამუშაოა. მალე ამუშავდება შოტლანდიელი სპეციალისტის, რიჩი დიქსონის მიერ შემუშავებული ბავშვთა რაგბის განვითარების პროგრამა. პარალელურად დავიწყებთ მუშაობას შვიდკაცა რაგბის განვითარების სტრატეგიის შექმნაზე.

კვლავ დიდ ყურადღებას მივაქცევთ მასობრიობას. რაგბი უნდა შევიტანოთ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში. რაც შეეხება რეგიონებს, მომავალ წელს რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთშიც დავაფუძნებთ სარაგბო კერებს, რითაც საქართველოს მთელი ტერიტორიის ათვისებას დავასრულებთ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

● სხვადასხვა

ჩოგბურთი

## ანენმა მოგებით დაიწყო

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **ჟუსტინ ანენმა**, რომელიც მომავალი წლიდან პროფესიულ ჩოგბურთში აპირებს დაბრუნებას, პირველი მატჩი ჩაატარა საჩვენებელ ტურნირში, რომელიც სახელწოდებაა - Women Tennis Trophy. ბელგიელმა ორ სეტში - 6:4, 6:4 დაამარცხა თანამემამულე **კირსტენ ფლიპკენსი**.

ფინალურ მატჩში ანენის მეტოქე ფრანგ **ალიზ კორნესა** და იტალიელ **ფლავია პენეტას** შეხვედრაში ირკვეოდა. პენეტამაც ორ პარტიაში (6:4, 6:0) გაიმარჯვა და ფინალში ბელგიელს დაუპირისპირდა.

ანენმა ზუსტად იმავე ანგარიშით მოიგო გადამწყვეტი მატჩი, როგორითაც ნახევარფინალში, რითაც დაამტკიცა, რომ სერიოზულად ემზადება მომავალი სეზონისთვის.

შემდეგ მატჩს ჟუსტინი 12 დეკემბერს ქაიროში რუსი **ნადია პეტროვას** წინაალმდეგ ჩაატარებს. ბელგიელის პირველი ოფიციალური ტურნირი Brisbane International იქნება, რომელიც ავსტრალიის ქალაქ ბრისბენში 3 იანვარს დაიწყება.

## შარაპოვას ორი გამარჯვება

სამხრეთამერიკულ ტურნეში მყოფმა **მარია შარაპოვამ** მეორე მატჩი ჩაატარა არგენტინელ **ხისელა დულკოსთან**. ამჯერად ჩოგბურთელები ერთმანეთს ბრაზილიაში შეხვდნენ და ახლაც რუსმა მოიპოვა გამარჯვება.

პორტუ ფელიზში მარიამ პირველი სეტი 6:3 მოიგო, მეორეში ასეთივე ანგარიშით დამარცხდა, რის შემდეგაც მესამე პარტიის ნაცვლად ტაი-ბრეიკი გათამაშდა, რომელშიც შარაპოვამ 10:7 გაიმარჯვა.

უფრო ადრე, მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ჩილეში დაამარცხა დულკო.

## სამპრასი ვერდასკოს შეხვდება

ლეგენდარული ამერიკელი **პიტ სამპრასი** მომავალ წელს სან დიეგოს ტურნირზე საჩვენებელ მატჩს გამართავს. SAP Open-ის ორგანიზატორებმა დაადასტურეს, რომ „დიდი სლემის" ტურნირების 14-გზის ჩემპიონი ტურნირს ესპანელ **ფერნანდო ვერდასკოსთან** ამხანაგური მატჩით გახსნის.

სხვათა შორის, სამპრასი ბოლო ორი წელია თამაშობს სან დიეგოში - მან ორი შეხვედრა ჩაატარა გერმანელ **ტომი ჰაასთან**.

ჰოკეი

## სელიანე თვეზე მეტხანს ვერ ითამაშებს

როგორც უკვე ვწერდით, „ანაჰაიმ დაქსის" ვეტერანმა ფორვარდმა **ტეემუ სელიანემ** „დალას სტარტზთან" მატჩის მეორე მეოთხედში მარცხენა ხელი მოიტეხა.

მეორე დღეს ფინელს ოპერაცია გაუკეთეს და ექიმების ვარაუდით, ის დაახლოებით 4-6 კვირა ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას.

ამ სეზონში 39 წლის სელიანე საკმაოდ შედეგიანად თამაშობდა და **რაიან გეტცლაფის** შემდეგ კლუბის მეორე ბომბარდირი იყო - 27 მატჩში მის ანგარიშზე 14 გოლი და 7 შედეგიანი პასი მოდის.

## კროსბიმ უნდა იმკურნალოს

ჰოკეის ეროვნული ლიგის ერთ-ერთი მთავარი ვარსკვლავი **სიდნი კროსბი** კვლავ შეაწუხა საზარდულის ტრავმამ. ამის გამო „პიტსბურგ პინგვინზის" კაპიტანმა შაბათს „ჩიკაგო ბლეკჰოქსთან" მატჩი გამოტოვა. ფორვარდს რამდენიმე დღე უსაქმოდ ყოფნა მოუწევს.

*„ეს ტრავმა უკვე დიდი ხანია მაწუხებს. სამი-ოთხი დღის გამოტოვება მომიწევს. როცა საზარდულის ტკივილი მახსენებს თავს - ეს ცუდის ნიშანია. ყურადღებით უნდა ვიყო, რომ ტრავმა არ გავიმიზეზო. ამიტომაც გადავწყვიტე პაუზის აღება, რათა დავრწმუნდე, რომ ყველაფერი წესრიგშია"*, - ამბობს კროსბი.

სიდნი ბოლო ტურებში განსაკუთრებით შედეგიანად თამაშობდა და თავისი მონაგარი 36 ქულამდე (19 გოლი+17 შედეგიანი პასი) აიყვანა.

ფორმულა 1

## ზაუბერი ფიზიკელას უმიზნებს

მომავალ წელს „ზაუბერის" შემადგენლობაში მოხვედრაზე ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად იტალიელი ვეტერანი **ჯანკარლო ფიზიკელა** განიხილება, რომელმაც შარშანდელი სეზონი „ფორს ინდიაში" დაიწყო და „ფერარიში" დაასრულა, სადაც ტრავმირებულ **ფელიპე მასას** ცვლიდა.

ახლა იტალიელი „ფერარის" მესამე პილოტად ითვლება, იტალიური კომპანია კი ძრავებს მიაწვდის „ზაუბერს", ასე რომ, მომავალი გარიგება ორივე მხარისთვის მომგებიანი უნდა იყოს.

სხვათა შორის, ჯანკარლო „ზაუბერში" 2004 წელს გამოდიოდა და მაშინ მისი პარტნიორი ფელიპე მასა იყო.

კრივი

## მეორე ტური დაინიშნა

ცნობილი გახდა Super Six-ის ტურნირის მეორე ტურის ორი ბრძოლის თარიღი. როგორც იცით, ამ შეჯიბრებამ საშუალო წონაში (76.2 კგ) საუკეთესო უნდა გამოავლინოს. გერმანელ **არტურ აბრაჰამსა** და ამერიკელ **ანდრე დირელს** შორის ბრძოლა 23 იანვრიდან 6 მარტს გადაიტანეს, დანიელი **მიკელ კესლერი** და ბრიტანელი **კარლ ფროჩი** კი 17 აპრილს შეხვდებიან ერთმანეთს.

ტურნირში კიდევ ორი მოკრივე მონაწილეობს. **ანდრე უორდი** და **ჯერმეინ ტეილორი**, თუმცა ამ უკანასკნელის მონაწილეობა კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება: პირველ ტურში აბრაჰამმა ტეილორი მძიმე ნოკაუტში ჩააგდო და გამორიცხული არ არის, რომ ამერიკელმა სპორტული კარიერა დაასრულოს.

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**რეინჯერსი-დეტროიტი 1:3**

1:0, 0:1, 0:2

გოლები: 1:0 ბ. ბოილი-3 (ჰიგინსი-6), 1:1 დაიცუკი-7 (ზეტერბერგი-19, ლიდსტრიომი-9), 1:2 ქლირი-7 (ზეტერბერგი-20, ლიდსტრიომი-10), 1:3 დრეიპერი-6.

**ანაჰაიმი-ოტავა 3:4 (ბ)**

2:2, 0:0, 1:1, 0:0

გოლები: 0:1 ი. რუუტუ-5, 1:1 გეტცლაფი-6, 1:2 სპეცა-3 (ალფრედსონი-18, კოვალიოვი-10), 2:2 ლუპული-9 (გეტცლაფი-29, პერი-21), 2:3 კუბა-2 (სპეცა-14, ფოლინო-5), 3:3 პერი-15 (ს. ნიდერმაიერი-15).

**ბულიტები გაიტანეს:** კოვალიოვი (ოტავა), გეტცლაფი (ანაჰაიმი), ალფრედსონი (ოტავა).

● კრივი

# ბრიტანელმა ტიტული შეინარჩუნა

გასულ კვირას პროფესიულ რინგზე რამდენიმე საინტერესო ბრძოლა გაიმართა. ერთ-ერთ მათგანში ცნობილი ბრიტანელი **არიმ ხანი** (21-1-0, 15 KO) პირველ ნახევრად საშუალო წონაში WBA-ის ტიტულს იცავდა უკრაინული წარმოშობის ამერიკელ **დმიტრი სალიტასთან** (30-0-1, 16 KO) ბრძოლაში.

27 წლის ორთოდოქსი ებრაელი სალიტა უკრაინის ქალაქ ოდესაში დაიბადა და იქ ცხრა წელი ცხოვრობდა. ანტისემიტიზმის ხშირი გამოვლენის გამო ოჯახი იძულებული გახდა ამერიკაში გაქცეულიყო. იქ სალიტამ 13 წლის ასაკიდან კრივში დაიწყო ვარჯიში. 19 წლისამ „ოქრო ხელთათმანის" ღია პირველობა მოიგო და თან „განსაკუთრებული ოსტატობის" გამოჩენისთვის სპეციალური პრიზი დაიმსახურა.

ყოფილმა უკრაინელმა პროფესიულ რინგზე 31 ბრძოლის გამართვა მოასწრო და არც ერთში დამარცხებულა, თუმცა ამ ბრძოლაში აშკარა ფავორიტად მაინც ხანი მიიჩნეოდა. პროგნოზის მოყვარულები და ბუკმეიკერები არც შემცდარან.

ინგლისის ქალაქ ნიუკასლში ბრძოლა სულ 76 წამს გაგრძელდა და ამ დროის განმავლობაში სალიტა სამჯერ აღმოჩნდა რინგზე. პირველი ნოკდაუნისას ხანის დარტყმა არც ისე ძლიერი იყო და მის მოგერიებას ნებისმიერი ნორმალური მოკრივე შეძლებდა. როგორც ჩანს, ამერიკელი არ ელოდა, რომ ბრიტანელი თავიდანვე შეეცდებოდა აქცენტირებული დარტყმის შესრულებას. ამის შემდეგ ნიუიორკელი კიდევ ორჯერ აღმოჩნდა ნოკდაუნში, რის გამოც რეფერის ნერვებმა უმტყუნა და ბრძოლა შეწყვიტა. ასე რომ, ცნობილი მწვრთნელის **ფრედი როუჩის** (ფილიპინელი **მენი პაკიაოს დამრიგებელი**) შეგირდმა ტიტულის პირველი დაცვა წარმატებით განახორციელა.

*„ყველაფერი გავაკეთე, რაც მწვრთნელმა მითხრა. მეტოქეზე გაცილებით ძლიერი ვიყავი, - აღნიშნა ხანმა. - პირველი ნოკდაუნის შემდეგ დავინახე, რომ ის ფეხზე ძლივს იდგა, ამიტომაც ბრძოლის დასრულება დროის საქმე იყო".*

■ ■ ■

ორი ბრძოლა გაიმართა სუპერმძიმე წონაში. რუსი **ალექსანდრ პოვეტკინი** (17-0-0, 12 KO), რომელიც IBF-ის ვერსიით აუცილებელ პრეტენდენტად ითვლება, ნაკლებად ცნობილ ამერიკელ ლეო ნოლანს (27-1-0, 10 KO) ხვდებოდა.

თავდაპირველად რუსს მეტოქედ ოუენ ბეკი შეურჩიეს, მაგრამ პოვეტკინის მწვრთნელმა ტედი ატლასმა ჩათვალა, ბეკი მისი შეგირდისთვის იოლი ლუკმა გახდებოდა და ამიტომაც პოვეტკინი კრიმინალური წარსულის მქონე 37 წლის ნოლანთან აჩხუბა. ეს უკანასკნელი აქამდე მეორე ეშელონის მოკრივეთა დამარცხებით იყო დაკავებული და როგორც კი სერიოზულ მეტოქეს გადაეყარა, უშანსოდ დარჩა.

ამერიკელმა მხოლოდ სამი რაუნდი გაძლო და მეორე ნოკდაუნის შემდეგ მსაჯებმა ბრძოლის გაგრძელება მიზანშეუწონლად მიიჩნიეს.

რაც შეეხება სუპერმძიმე წონაში მეორე ბრძოლას, მასში მონაწილეობას იღებდა ამერიკელი **კრის არეოლა** (28-1-0, 27 KO). ეს იყო ამ მოკრივის პირველი გასვლა რინგზე **ვიტალი კლიჩკოსთან** ნაგების შემდეგ. არეოლა თანამემამულე **ბრაიან მინტოს** (34-3, 21 KO) ხვდებოდა და აქაც, ბრძოლა ორი ნოკდაუნის შემდეგ შეწყდა. არეოლასთვის ეს იყო კარიერაში რიგით 27-ე გამარჯვება ნოკაუტით.

### რა გველის დეკემბერში

**11 დეკემბერი. საკრამენტო, აშშ. სარეიტინგო ბრძოლა სუპერმძიმე წონაში. ოლეგ მასკაევი (36-6-0, 27 KO) ნადემ აგილერას (14-2-1, 9 KO) წინაალმდეგ**

WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა **ოლეგ მასკაევმა** ამავე ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონთან, უკრაინელ **ვიტალი კლიჩკოსთან** ბრძოლის შანსი მიიღო. ამისთვის მან საშუალედო ბრძოლაში უნდა დაამარცხოს აგილერა, შემდეგ კი **რეი ოსტინს** სძლიოს (2010 წლის მაისში), რომელიც WBC-ის რეიტინგში პირველ პოზიციაზე იმყოფება.

23 წლის დომინიკელი აგილერა ცხოვრობს და ვარჯიშობს ამერიკაში. ეს არის მასკაევის ყველა მეტოქეს შორის ყველაზე ახალგაზრდა მოწინააღმდეგე. ბრძოლა საკრამენტოში გაიმართება, სადაც მასკაევი ცხოვრობს.

**12 დეკემბერი. ბერნი, შვეიცარია. სუპერმძიმე წონაში WBC-ის ჩემპიონი ვიტალი კლიჩკო (38-2-0, 37 KO) ტიტულს დაიცავს კევინ ჯონსონის (22-0-1, 9 KO) წინააღმდეგ**

საკუთარ თავში დარწმუნებულ ამერიკელს ეჭვი არ ეპარება, რომ 12 დეკემბერს ჩემპიონის ტიტულს მოიპოვებს, რითაც თავის წაუგებელ სერიას გააგრძელებს, რომელიც 23 ბრძოლას უტოლდება. ამის შესახებ **ჯონსონი** პრაქტიკულად ყოველდღე წერს თავის ბლოგში. ის თავის უპირატესობად სისწრაფეს ასახელებს და მიაჩნია, რომ სწორედ ეს კომპონენტი გახდება კლიჩკოსთან ბრძოლაში წარმატების საწინდარი.

ჯონსონს შეუძლია, რაც უნდა ის ილაპარაკოს, მაგრამ როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, საორატორო ხელოვნების მქონე მოკრივეები, ხშირ შემთხვევაში მეტოქეთა იოლი მსხვერპლნი ხდებიან. თითქმის არავის ეპარება ეჭვი, რომ ამ შემთხვევაშიც ასე იქნება.

**12 დეკემბერი. რანჩო მირაჟი, აშშ. მეორე უმჩატეს წონაში WBC-ისა და WBA-ის ჩემპიონი ვიკ დარჩინიანი (32-2-1, 26 KO) ტიტულებს დაიცავს აუცილებელ პრეტენდენტ ტომას როხასსთან (32-11-1, 22 KO) ბრძოლაში**

მექსიკელი **როხასი** უხერხულ მეტოქედ ითვლება. მისი სიმაღლე 174 სანტიმეტრია, რაც ხშირ შემთხვევაში დაბალ ოპონენტებთან ბრძოლებში წარმატების საწინდარია. ასეთად უნდა მოინათლოს მისი ახალი მოწინააღმდეგე **ვახტანგ დარჩინიანი**, ვისი სიმაღლეც 166 სანტიმეტრია. მაგრამ ამ ბრძოლაში სიმაღლეში სხვაობა გადამწყვეტი ფაქტორი არ უნდა გახდეს. დარჩინიანს შეუძლია ხელების სისწრაფის წყალობით სძლიოს მეტოქეს.

სომხისგან ბრძოლის ნაადრევად დასრულებასა და **ჯოზეფ აგბეკოსთან** ამასწინანდელი მარცხისთვის რეაბილიტაციას ელოდებიან. საერთოდ ვახტანგს მომავალი წლისთვის გრანდიოზული გეგმები აქვს. დარჩინიანი მატჩ-რევანშს გეგმავს ფილიპინელ **ნონიტო დონერთან**, რომელმაც 2007 წელს სომეხს პირველი მარცხი აგემა კარიერაში.

**19 დეკემბერი. ლას ვეგასი, აშშ. საშუალო WBC-ისა და WBO-ის ჩემპიონი, 27 წლის ამერიკელი კელი პავლიკი (35-1-0, 31 KO) 29 წლის თანამემამულე მიგელ ესპინოს (20-2-1, 9 KO) შეხვდება**

გაუგებრია **კელი პავლიკის** მოქმედება, რომელმაც **პოლ უილიამსთან** ჩხუბს **მიგელ ესპინოსთან** შეხვედრა ამჯობინა. შეგახსენებთ, რომ თავიდან პავლიკი და უილიამსი 5 დეკემბერს უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, მაგრამ კელიმ ტრავმა მოიმიზეზა და უარი თქვა რინგზე გასვლაზე. უილიამსმა თავის მხრივ ახალი მეტოქის (**მარტინესი**) ძებნა დაიწყო, მაგრამ ცოტა ხანში გაიგო, რომ პავლიკი ჯანმრთელია და ესპინოსთან ბრძოლაზე კონტრაქტის გაფორმებაც მოასწრო.

**19 დეკემბერი. კარაკასი, ვენესუელა. WBA-ის საჩემპიონო ტიტულისთვის ბრძოლა ვენესუელელ ედვინ ვალეროსა (25-0-0, 25 KO) და მექსიკელ ექტორ ველასკესს (51-13-2, 35 KO) შორის**

თავიდან **ვალერო** 14 ნოემბერს WBC-ის ჩემპიონ **უმბერტო სოტოსთან** აპირებდა ტიტულის დაცვას, მაგრამ ამერიკული ვიზა არ მისცეს და ამან აურია გეგმები აქამდე დაუმარცხებელ ჩემპიონს. ვალერო ალტერნატიული ვარიანტის ძებნას შეუდგა და მალე იპოვა კიდეც. ედვინს სამშობლოში ბრძოლის გამართვა სავსებით ხელს აძლევს - მას ვენესუელაში 2006 წლის თებერვლის შემდეგ არ უჩხუბია.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

**კალათბურთი.** NBA რეგულარული ჩემპიონატი

# უინტერესო ტური



რეგულარული ჩემპიონატის გასული დღე ორი ფავორიტის - „კლივლენდ კავალიერზისა“ და „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ იოლი გამარჯვებებით აღინიშნა.

„კლივლენდის“ უპირატესობა „მილუოკი ბაქსზე“ იმდენად დიდი იყო, რომ მთელი მატჩის განმავლობაში **ლებრონ ჯეიმსს** ათზე მეტი სროლის შესრულება არ დასჭირვებია. უფრო სწორად, ამის საჭიროება არ არსებობდა. პირველ ნახევარში **მაიკ ბრაუნის** შეგირდებმა ფანტასტიკური გაქცევა განახორციელეს - 29:0 (!!!) და ფაქტობრივად მეოთხედნახევარში გადაწყვიტეს მატჩის ბედი.

უფრო საინტერესო ბრძოლას ელოდნენ დასავლეთ კონფერენციის ლიდერებს შორის. ლოს ანჯელესში ადგილობრივი „ლეიკერსი“ „ფინიქს სანზს“ ხვდებოდა. სამწუხაროდ, არც აქ არის ბევრი რამ მოსაყოლი. ცალფარა თამაშში კალიფორნიელებმა მცირე შანსიც არ დაუტოვეს „მზეებს“. სტუმრები ძალზე პასიურობდნენ და მეტოქეს ყველაფრის უფლებას აძლევდნენ. არიზონელთა რიგებში ერთადერთი ნათელი წერტილი **ამარე სტაუდმაიერი** იყო, მაგრამ შეტევაში მისმა კარგმა თამაშმა მაინც ვერ შეძლო პარტნიორების გამოღვიძება.

გრძელდება „ვაშინგტონის“ კრიზისი. დედაქალაქელებმა მორიგი მარცხი დეტროიტში ინვნიეს. თავად „პისტონზიც“ არ იმყოფება ლიდერთა შორის, თუმცა **ჩარლი ვილანუევას** მწყობრში ჩადგომამ ადგილობრივ გულშემატკივრებს ოპტიმიზმი დაუმატა. „პისტონზი“ თავიდანვე გაიჭრა წინ. **როდნი სტაკისა** და ვილანუევას შედეგიანმა თამაშმა „უიზარდს“ თამაშის ხალისი დაუკარგა. სტუმრებს მთელი მატჩის განმავლობაში არაფერი გამოსდიოდათ. ამ გუნდის „დიდი ტრიოდან“ მხოლოდ **კერონ ბატლერის** გამოყოფა თუ შეიძლება, რომელიც ფაქტობრივად მარტო ებრძოდა „პისტონზს“. საფინალო სირენამდე წუთით ადრე „ვაშინგტონმა“ მაინც დაუბრუნა შეხვედრას ინტრიგა, მაგრამ დაცვაში საშინელმა თამაშმა ბატლერის მონდომება წყალში ჩაყარა.

„ლეიკერსთან“ დასანანი მარცხის შემდეგ „მაიამი“ დროზე მოვიდა გონს და დასავლურ ტურნეში მორიგ გამარჯვებას მიაღწია. „ჰიტმა“ კიდევ ერთი კალიფორნიული კლუბის წინააღმდეგობა დაძლია. ფლორიდელთა მსხვერპლი „საკრამენტო კინგზი“ გახდა. თამაშის ბედი **დუეინ უეიდის** ბრწყინვალე თამაშმა განაპირობა, რომელმაც ბოლო ტურებში უფრო მეტი იმედგაცრუება მოუტანა თავის გულშემატკივარს, ვიდრე სიხარული. სწორედ უეიდის მონდომებით სტუმრებმა მეორე მეოთხედში გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწიეს - მატჩის ბედი თამაშის ამ მონაკვეთში გაირკვა.

**ნიუ იორკი-ნიუ ჯერსი 106:97**

26:30, 27:31, 33:18, 20:18

ნ-ი: ჰარინგტონი 26+14 მოხსნა+5 პასი, ჰიუზი 25, ლი 24+9 მოხსნა.

ნ-ჯ: დაგლას-რობერტსი 26, ჰარისი 19+6 პასი+3 ჩაჭრა, ლოპესი 19+6 მოხსნა+3 დაფარება.

**მილუოკი-კლივლენდი 86:101**

17:21,16:31, 24:23, 29:26

მ: ჯენინგსი 24, ურიკი 11+9 მოხსნა, დელფინო 11.

კ: უესტი 21, ჯეიმსი 14+10 მოხსნა+5 პასი, უილიამსი 13, ჰიქსონი 11+8 მოხსნა, ო'ნილი 10.

**დეტროიტი-ვაშინგტონი 98:94**

24:19, 28:30, 19:20, 27:25

დ: სტაკი 25, ვილანუევა 18+5 პასი, ბინუმი 16, დეი 11, ყერებკო 10+11 მოხსნა.

ვ: ბატლერი 20+10 მოხსნა, ბოიკინსი 18, ჯეიმისონი 13, ფოიე 12.

**საკრამენტო-მაიამი 102:115**

25:30, 19:29, 33:29, 25:27

ს: უეიდი 30+3 ჩაჭრა, გრინი 21, კასპი 14, უდრიხი 11+4 მოხსნა.

მ: უეიდი 34+10 პასი+5 მოხსნა+4 დაფარება, რიჩარდსონი 20+5 მოხსნა, ბიზლი 20+5 მოხსნა, რაიტი 19+5 პასი, ჰასლემი 15+6 მოხსნა.

**ლეიკერსი-ფინიქსი 108:88**

29:26, 25:18, 33:22, 21:22

ლ: ბრაიანტი 26+7 მოხსნა, არტესტი 15+5 პასი+5 ჩაჭრა, გასოლი 14, ბინუმი 13+6 მოხსნა, ბრაუნი 12, ფარმარი 11.

ფ: სტაუდმაიერი 18+8 მოხსნა, ნეში 12+10 პასი, ჰილი 12+5 მოხსნა, რიჩარდსონი 12+5 პასი.

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონატი** | |
| უოტფორდი-ქუინზ პარკი | 3:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ვიჩენცა-პიაჩენცა | 0:0 |
| **სერია C1/A** | |
| ნოვარა-არეცო | 0:0 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ფიურტი-ალემანია | 0:2 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ნანტი-არლი | 1:0 |
| **პორტუგალია** | |
| ლეირია-ნასიონალი | 1:2 |
| სეტუბალი-სპორტინგი | 0:2 |
| **შოტლანდიის თასი** | |
| კლაიდი-ლივინგსტონი | 1:2 შეწყდა |
| **დანია** | |
| ორჰუსი-ესბერგი | 1:1 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ვადუცი-ლუგანო | 1:1 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ანაგენისი-ეგალეო | 2:0 |
| იონიკოსი-ოფი | 1:1 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ერჩიესი-ალთაი | 1:2 |
| **კვიპროსი** | |
| არისი-დოხა | 1:4 |
| **რუმინეთი** | |
| ინტერნასიონალი-კლუჟი | 0:1 |
| უნივერსიტატეა-სტიაუა | 1:2 |
| **ბულგარეთი** | |
| მონტანა-ჩერნო მორე | 1:2 |
| ლიტექსი-სპორტისტი | 2:0 |
| **მოლდოვა** | |
| შერიფი-ზიმბრუ | 3:0 |
| **ისრაელი** | |
| ჰაპოელი (თ-ა)-ჰაპოელი (ჰ) | 2:0 |

| ხელბურთი | |
|---|---|
| **მსოფლიოს ჩემპიონატი** | |
| **ქალები** | |
| გერმანია-ბრაზილია | 32:30 |
| დანია-კონგო | 37:24 |
| საფრანგეთი-შვედეთი | 23:21 |
| უკრაინა-ტაილანდი | 41:13 |
| ანგოლა-ავსტრია | 21:28 |
| რუსეთი-ავსტრალია | 48:8 |
| იაპონია-ტუნისი | 31:31 |
| ნორვეგია-ჩილე | 44:15 |
| კოტ დივუარი-არგენტინა | 19:19 |
| კორეა-ჩინეთი | 33:25 |
| ესპანეთი-ყაზახეთი | 30:12 |
| რუმინეთი-უნგრეთი | 31:25 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ავტომობილისტი-ს. იულიაევი | 4:3 |
| მეტალურგი (მ)-ავანგარდი | 5:3 |
| ტრაქტორი-ბარისი | 2:4 |
| ვიტიაზი-ცსკა | 1:2 |
| სკა-ტორპედო | 5:1 |
| დინამო (მ)-აკ ბარსი | 4:2 |
| დინამო (მნ)-ლადა | 4:2 |
| დინამო (რ)-ნეფტეხიმიკი | 6:3 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-იურგორდენი | 0:3 |
| ბრიუნასი-როგლე | 6:1 |
| ტიმრა-სიოდერტალე | 6:4 |

## სხვადასხვა

**კალათბურთი**

### აივერსონი სასტარტოში იქნება

„ფილადელფია სიქსერზის“ ახალბედა **ალენ აივერსონი**, სავარაუდოდ, სასტარტო ხუთეულში დაიწყებს „დენვერ ნაგეტსთან“ შეხვედრას. როგორც კლუბის წარმომადგენლები იტყობინებიან, ვეტერანი გამთამაშებელი პირველ ხუთეულთან ერთად გადის წვრთნას.

*„ალენმა ძალიან მოუმატა. ის დიდ დროს უთმობს ვარჯიშებს, რაც სასიკეთოდ დაეტყო მის თამაშს. და საერთოდაც, მარტო მისი მოედანზე ყოფნა გუნდს დიდ სამსახურს გაუწევს“*, - აცხადებს „ფილადელფიას“ დამრიგებელი **ედი ჯორდანი**.

შეგახსენებთ, რომ „ფილადელფიამ“ ზედიზედ 9 მატჩი წააგო და წესით, აივერსონის სამსახური უნდა წაადგეს.

### პრინსი და ჰემილტონი მალე დაბრუნდებიან

„დეტროიტ პისტონზს“ წამყვანი კალათბურთელები უბრუნდებიან. **ტაიშონ პრინსი** და **რიჩარდ ჰემილტონი** უკვე აქტიურად ვარჯიშობენ და მალე შეძლებენ რეგულარულ ჩემპიონატში ჩართვას.

პრინსმა ამ სეზონში მხოლოდ სამი მატჩი ჩაატარა და შემდეგ ზურგის ტრავმა მიიღო, ჰემილტონს კი ერთხელ მოუწია თამაშმა და მარცხენა ხელის დაზიანების გამო გამოეთიშა ჩემპიონატს.

*„სიტუაცია საკმაოდ ოპტიმისტურია. ტაიშონი და რიჩარდი თითქმის სრული დატვირთვით ვარჯიშობენ. სამწუხაროდ, უახლოეს ხანში შინ ბევრი ვარჯიში არ გვიწევს. მიუხედავად ამისა, ვიმედოვნებთ, რომ ტაიშონი უახლოეს დღეებში დაუბრუნდება გუნდს“*, - იმედიანად არის განწყობილი „დეტროიტის“ მთავარი მწვრთნელი **ჯონ კუისტერი**.

### ბიედრინსიც ბრუნდება

ასევე მალე დაუბრუნდება რეგულარულ ჩემპიონატს „გოლდენ სტეიტის“ ცენტრი **ანდრის ბიედრინსი**. მან ტრავმა 6 ნოემბერს მიიღო და მაშინ ექიმებმა აღდგენითი პროცესისთვის 4-6 კვირა ივარაუდეს. ახლა სწორედ სარეაბილიტაციო კურსის მეოთხე კვირა მიმდინარეობს.

*„ანდრისის გარეშე გვიჭირს - ის ხომ ჩვენს გუნდში საუკეთესო მომხსნელია. მე მგონი ყველას დაავიწყდა მისი არსებობა“*, - ამბობს „მეომრების“ ერთ-ერთი ლიდერი **მონტა ელისი**.

„გოლდენ სტეიტი“ ხუთმატჩიან გასვლით ტურნეს იწყებს და სავარაუდოდ, ლატვიელი მეორე-მესამე მატჩში შეუერთდება გუნდს.

ბიედრინსი ამ სეზონში საშუალოდ 6.0 ქულასა და 7.3 მოხსნას აგროვებს.

### 50 ნაკერი იანლიანს

„ნიუ ჯერსი ნეტსის“ ფორვარდმა **იი იანლიანმა**, რომელიც 3 ნოემბრის შემდეგ მუხლის ტრავმის გამო ვერ გადის მოედანზე, მორიგი დაზიანება მიიღო.

ჩინელი კალათბურთელი მზად იყო რეგულარულ ჩემპიონატში დასაბრუნებლად, მაგრამ კვირას გამართულ ვარჯიშზე თანაგუნდელის იდაყვი მოხვდა სახეში, რის გამოც ტუჩი გაუსკდა და 50 (!) ნაკერი დაადეს.

დღეს გაირკვევა კიდევ რამდენი ხანი ვერ შეძლებს იანლიანი თამაშის განახლებას.

**სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი**

**ბივერ კრიკი (აშშ). კაცები**

**სწრაფდაშვება**

1. კარლო იანკა (შვეიც) - 1:43.49; 2. დიდიე კუში (შვეიც) - 1:43.51; 3. აქსელ-ლუნდ სვინდალი (ნორ) - 1:43.53; 4. ბოდე მილერი (აშშ) - 1:43.94; 5. მიხაელ ვალხოფერი (ავსტრია) - 1:43.95; 6. პატრიკ შტაუდახერი (იტა) - 1:44.18.

**გიგანტური სლალომი**

1. კარლო იანკა (შვეიც) - 2:29.44 (1:15.18+1:14.26); 2. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) - 2:29.91 (1:15.43+1:14.48); 3. აქსელ-ლუნდ სვინდალი (ნორ) - 2:30.37 (1:16.36+1:14.01); 4. ტედ ლიჯეტი (აშშ) - 2:30.58 (1:16.26+1:14.32); 5. ჩეტილ იანსრუდი (ნორ) - 2:30.61 (1:16.78+1:13.83); 6. ჰანს რაიხელტი (ავსტრია) - 2:30.77 (1:16.55+1:14.22).

**საერთო ჩათვლა**

1. კარლო იანკა (შვეიც) - 460; 2. დიდიე კუში (შვეიც) - 355; 3. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) - 281; 4. დიდიე დეფაგო (შვეიც) - 185; 5. აქსელ-ლუნდ სვინდალი (ნორ) - 178; 6. ტედ ლიჯეტი (აშშ) - 175.

**ლეიკ ლუისი (კანადა). ქალები**

**სწრაფდაშვება**

1. ლინდსი ვონი (აშშ) - 1:50.06; 2. მარია რიში (გერ) - 1:50.41; 3. ემილი ბრიდონი (კან) - 1:50.76; 4. ანია პერსონი (შვედ) - 1:51.17; 5. დომინიკ გისინი (შვეიც) - 1:51.29; 6. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია) - 1:51.33.

**სუპერგიგანტი**

1. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია) - 1:21.91; 2. ლინდსი ვონი (აშშ) - 1:21.94; 3. ინგრიდ ჟაკემო (საფ) - 1:22.53; 4. ანა ფენინგერი (ავსტრია) - 1:22.57; 5. მარია რიში (გერ) - 1:22.60; 6. ფაბიან სუტერი (შვეიც) - 1:22.76.

**საერთო ჩათვლა**

1. ლინდსი ვონი (აშშ) - 389; 2. მარია რიში (გერ) - 361; 3. კატრინ ცეტელი (ავსტრია) - 220; 4. ტინა მაზე (სლოვენ) - 173; 5. ანია პერსონი (შვედ) - 172; 5. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია) - 172.

**ჩოგბურთი**

### ნოვაკის კალენდარი

სერბმა ჩოგბურთელმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** თავის ოფიციალურ ვებგვერდზე იმ ტურნირების სია გამოქვეყნა, რომლებშიც 2010 წლის სეზონის პირველ ნახევარში მიიღებს მონაწილეობას.

მსოფლიოს მესამე ჩოგანმა დაადასტურა, რომ ახალ სეზონს კუიონგში საჩვენებელი ტურნირით დაიწყებს. იქ სერბის მეტოქეები იქნებიან: ფრანგი **ჟო-ვილფრიდ ცონგა**, არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტრო**, ესპანელი **ფერნანდო ვერდასკო**, გერმანელი **ტომი ჰაასი**, ჩილელი **ფერნანდო გონსალესი** და შვედი **რობინ სიოდერლინგი**. ტურნირის მერვე მონაწილე შეიძლება გახდეს შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი**, რომელსაც ჯერ არ დაუდასტურებია თავისი მონაწილეობა.

სეზონის პირველ ნახევარში ჯოკოვიჩის ტურნირების განრიგი ასე გამოიყურება:

1. კუიონგი (საჩვენებელი ტურნირი)
2. ავსტრალიის ღია (დიდი სლემი)
3. როტერდამი (ATP 500)
4. დუბაი (ATP 500)
5. ბელგრადი (დევისის თასი)
6. ინდიან უელსი (ATP 1000)
7. მაიამი (ATP 1000)
8. მონტე კარლო (ATP 1000)
9. რომი (ATP 1000)
10. ბელგრადი (ATP 250)
11. მადრიდი (ATP 1000)
12. როლან გაროსი (დიდი სლემი)

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## TV პროგრამა

**8 დეკემბერი. სამშაბათი**

**I არხი**

23:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური (LIVE).
02:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. VI ტური მიმოხილვა.

**რუსთავი 2**

23:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. მარსელი-რეალი (LIVE).
02:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. VI ტური მიმოხილვა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-დეტროიტი.
09:45 სპორტული სამყარო.
10:10 Libero. ანალიტიკური პროგრამა.
11:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. კიოლნი-ვერდერი.
14:00 კალათბურთი. ევროლიგა. VI ტური. ბარსელონა-ფენერბაჰჩე.
15:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-სტოკი
17:30 სპორტული ცეკვები.
18:20 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის მიმოხილვა.
19:10 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:15 სპორტული სამყარო.
19:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:50 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:55 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (LIVE).
23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. იუვენტუსი-ბაიერნი (LIVE).
01:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (LIVE).
02:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტურის მიმოხილვა.
03:35 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
04:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-აილენდერსი (LIVE).
06:45 კალათბურთი. ევროლიგა. VI ტური. ბარსელონა-ფენერბაჰჩე.

**SPORT 2 (უკრაინა)**

08:50 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ჰოფენჰაიმი.
10:35 კალათბურთი. ევროლიგა. VI ტური. რეალი-ხიმკი.
12:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ბარნლი.
14:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-დეტროიტი.
15:55 სპორტული სამყარო.
16:25 ჩოგბურთი. ATP-ის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.
19:05 სპორტული ცეკვები.
19:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ინტერი.
21:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-მაინცი.
23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. მარსელი-რეალი (LIVE).
01:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ბეშიქთაში-ცსკა
03:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. იუვენტუსი-ბაიერნი.
05:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ციურიხი-მილანი.
07:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ვოლფსბურგი-მანჩესტერ იუნ.

**EUROSPORT**

11:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
12:15 ქიორლინგი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური. ეტაპი. გერმანია-შოტლანდია. აბერდინი. ბრიტანეთი (LIVE).
15:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS138. ლილეჰამერი. ნორვეგია.
16:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
17:30 სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. IV დღე. ტელფორდი. ბრიტანეთი (LIVE).
21:00 ქიორლინგი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური. ეტაპი. ნორვეგია-შოტლანდია. აბერდინი. ბრიტანეთი (LIVE).
22:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:10 ქიორლინგი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური. ეტაპი. ნორვეგია-შოტლანდია. აბერდინი. ბრიტანეთი (LIVE).
23:00 რალი. დაკარი. ტელეჟურნალი.
23:15 სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. IV დღე. ტელფორდი. ბრიტანეთი (LIVE).
02:00 ექსტრემალური სპორტი.
02:15 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. სეზონის მიმოხილვა.
03:15 რალი. დაკარი. ტელეჟურნალი.
03:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS138. ლილეჰამერი. ნორვეგია.

FM 107.9
საქართველოს ხმა
ყოველ შაბათ-კვირას 15:00-22:00
რადიო „საქართველოს ხმის“ (FM 107.9) პირდაპირ ეთერში ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ახარეზონებების შედეგები და ანალიზი, სტუდიის სტუმარი, სატელეფონო ზარები, ვიქტორინა და პრიზები - გადაცემაში „სპორტ ონლაინ“ დონ ქლოხთან ერთად.
გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერია სპორტული გაზეთი „ლელო“

# კანადა გუნდურ პირველობას უმიზნებს

ვანკუვერის ოლიმპიადის დაწყებამდე ორი თვით ადრე თამაშების ორგანიზატორებმა ნათლად აგრძნობინეს ყველას, რომ საშინაო ოლიმპიადაზე საერთო გუნდური პირველი ადგილის დაკავებას აპირებენ და მიზნის მისაღწევად ერთ უცნაურ ხერხს მიმართავენ. არაკანადელი სპორტსმენებისთვის ოლიმპიურ ტრასებზე ვარჯიში მკაცრად არის რეგლამენტირებული.

მასპინძლები ოლიმპიურ ობიექტებს თვალისჩინივით უფრთხილდებიან. არენები ვიდეოკამერებითაა აღჭურვილი, შემოღობილია და ამას ერთადერთი მიზანი აქვს - არ მისცენ კანადის ნაკრების მეტოქეებს ვარჯიშის საშუალება. ერთი მხრივ, ეს თამაშების ორგანიზატორთა სავსებით გასაგები სურვილია, მაგრამ მათი მონდომება აშკარად გადამეტებულ ხასიათს ატარებს. ბრიტანელმა და ამერიკელმა ოლიმპიელებმა სკანდალიც კი მოაწყვეს იმის გამო, რომ ტრასების მასპინძელთაგან განსხვავებით მათ სავარჯიშოდ ათჯერ ნაკლებ დროს აძლევენ. ამერიკელი სკელეტონისტი **კეტი ულანდერი** ემოციებს ვერ მალავდა: *„ეს აღმაშფოთებელია!"*

## ნაწყენი ბრიტანელები

მომავალი ოლიმპიადის გულია - დაბა უისტლერი, რომელიც 126 კილომეტრით არის დაშორებული ვანკუვერიდან. აქ სათხილამურო რბოლებისა და ორჭიდის გარდა ბიატლონის, ტრამპლინის, სამთო-სათხილამურო სპორტის, ბობსლეის, სკელეტონისა და ციგაობის სტარტები ჩატარდება. დანარჩენი ოლიმპიური არენები ან უშუალოდ ვანკუვერშია განლაგებული ან მის გარეუბნებში - რიჩმონდსა (საციგურაო სპორტი) და ვესტ-ვანკუვერში (ფრისტაილი და სნოუბორდი).

ბრიტანულმა გაზეთებმა დაწვრილებით აღწერეს ეპიზოდი, როცა ბრიტანეთის მოციგავეთა ნაკრები უისტლერში ვარჯიშზე გაემგზავრა, მაგრამ კანადელები ნებისმიერი ხერხით შეეცადნენ მათთვის ხელის შეშლას. განსაკუთრებით აღშფოთებული იყო **ენდი ჰუნტი** - ბრიტანეთის ოლიმპიური კომიტეტის შეფი. *„უპირატესობას არ უნდა გაძლევდეთ ის ფაქტი, რომ თქვენ ტრასის მასპინძლები ხართ. ხელს არ უნდა უშლიდეთ ვარჯიშში სხვა ქვეყნის სპორტსმენებს"*, - ასეთი სიტყვებით უწყრებოდნენ კანადელებს ბრიტანელი ფუნქციონერები. ამის შემდეგ ბრიტანეთის ნაკრებს საკმარისი მიზეზი ჰქონდა იმისთვის, რომ ოკეანისგაღმელთათვის ცივი ომი გამოეცხადებინა.

## პირველი ადგილი მასპინძლებისთვის

ვანკუვერში უკვე გაიმართა წინასაოლიმპიადო ტურნირები და მსოფლიოს თასის ეტაპები, რისი წყალობითაც ათლეტებს ტრასების შემოწმების საშუალება მიეცათ. მაგრამ ოლიმპიადის მომავალი მონაწილეებისთვის ეს არასაკმარისია. მაგალითად, ციგაობაში ტრასის ცოდნას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საციგაო ტრასა 2007 წლის გაზაფხულზე გაიხსნა და იმ სეზონზე მასპინძლებმა 100 დაშვება განახორციელეს, რასაც შემოდგომაზე კიდევ 80 დაშვება დაემატა. სხვა ქვეყნის ნაკრებებს კი იმ წელს ოცზე მეტი ცდა არ განუხორციელებიათ. წინასაოლიმპიადო კვირეულის დროს ორგანიზატორები მხოლოდ დროის მკაცრად განსაზღვრულ მონაკვეთში აძლევდნენ ვარჯიშის საშუალებას უცხოელებს. რა თქმა უნდა, ეს წესი კანადელ სპორტსმენებზე არ ვრცელდებოდა.




მასპინძლების ამგვარი საქციელის მიზეზი გასაგებია. კანადის სპორტულმა ხელმძღვანელობამ ამბიციური გეგმა შეიმუშავა ოლიმპიური მედლების დეფიციტის შესავსებად. 1976 წელს მონრეალსა და 1988 წელს კალგარიში თამაშების მასპინძლებმა ვერც ერთი ოქრო ვერ აიღეს. უფრო მეტიც, ისინი საპრიზო სამეულშიც არ მოხვედრილან. დღეს კანადელები, როგორც არასდროს ახლოს არიან დაკარგულის ანაზღაურებასთან. სპეციალურ პროგრამაში, რომელიც კანადური სპორტის აღორძინებას ისახავს მიზნად, 70 მილიონი ევროს ოდენობის ინვესტიცია ჩაიდო. ამ თანხის ამოღებას მასპინძლები ოლიმპიური მედლებით აპირებენ. მათ კონკრეტული მიზანი აქვთ - 35 მედალი და პირველი ადგილი საერთო გუნდურ ჩათვლაში.

■ ■ ■

ციგაობისა და ბობსლეის ტრასა - მომავალი ოლიმპიადის ერთ-ერთი ყველაზე რთული ნაგებობაა. თუ მსოფლიოს დანარჩენ ტრასებზე მაქსიმალური სიჩქარე საათში 140 კილომეტრს უახლოვდება, უისტლერში ციგა 154 კილომეტრ/საათს ავითარებს. ასეთ სიჩქარესთან შეგუება გამოცდილ ათლეტებსაც უჭირთ. წინასაოლიმპიადო ვარჯიშის დროს რამდენიმე ბობსლეისტმა დაზიანება მიიღო. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა, მაგრამ ორგანიზატორები ჩაფიქრდნენ იმაზე, როგორ გაამარტივონ ტრასა. მართალია, კორექტივები შეიტანეს, მაგრამ სისწრაფე მაინც შეშფოთებას იწვევს.

სპეციალისტებზე უფრო სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა ბიატლონისა და სათხილამურო რბოლის სტადიონებმა. ბიატლონისტთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტმა **ანდრეას ბესებერგმა** კარგი შეფასება მისცა ტრასის განლაგებასა და სასროლეთზე ქარის მიმართულებას.

სათხილამურო ტრასაზე არ არის მძიმე აღმართები და არც ტექნიკურად რთული დაღმართები ან მოსახვევები. ეს იმას ნიშნავს, რომ მოთხილამურეებს მაქსიმალური სიჩქარის განვითარება შეუძლიათ. წრეები მაქსიმალურად მოკლეა, რათა სპორტსმენები ხშირად გამოჩნდნენ სტადიონზე. მოკლედ ეს ტრასები არა ფუნქციონალური, არამედ ძალისმიერი მრბოლელებისთვისაა. ასეთია სპეციალისტთა საერთო შეფასება.

2006 წელს ტურინის თამაშებზე კანადელმა სპორტსმენებმა მეხუთე გუნდური ადგილი დაიკავეს. მათ ანგარიშზე 24 მედალი (7 ოქრო) მოდიოდა. მათზე ნაკლები მედალი (22) ჰქონდა რუსეთს, მაგრამ ეს გუნდი მეოთხეზე რვა ოქროს წყალობით გავიდა. ახლა მასპინძლებს ნამდვილად არ დააკმაყოფილებთ ძალთა ასეთი განლაგება.

**გია თვალაბეიშვილი**

